# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 15 მარტი, 2006 წელი.

№ 52 (5390)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


◉ თურქეთის პრეზიდენტი საქართველოში



ჰემალ კასრაშის ფოტო.

## აჰმეთ ნეჯდეთ სეზერი:

## თურქეთს სურს, საქართველო ძლიერ და აყვავებულ სახელმწიფოდ იხილოს

იხ. მე-2 გვ.

## ხელისუფლებამ ხალხის სიცოცხლე ჯოჯოხეთად გადააქცია

იხ. მე-3 გვ.



გივი ხოლბორდის ფოტო.

## გაუაზრებელმა რეფორმებმა დასავლური სასკოლო განათლება დაღუპა...

იხ. მე-12 გვ.






იხ. მე-6 გვ.

## განუკითხაობა თბილისის ქუჩაში

## „მუტანტები“ – დეპუტატთა ახალი „ეპითეტი“

იხ. მე-2 გვ.

◉ სხვისი კარიკატურა ფიქრთ ასაშლელად

ვიქტორ ზუევი (უკრაინა)



## გაძლიერებული სოფელი გაძლიერებული საქართველოა

იხ. მე-8 გვ.

ანუ გლეხის მოთმინებასაც ხომ აქვს საზღვარი...?

**თურქეთის პრეზიდენტი საქართველოში**

# აჰმეთ ნეჯდეთ სეზერი: თურქეთს სურს, საქართველო ძლიერ და აყვავებულ სახელმწიფოდ იხილოს

**საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობა ასეთი წარმატებული და სასარგებლო არასდროს ყოფილა.**

ამის შესახებ გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავის თურქ კოლეგასთან აჰმეთ ნეჯდეთ სეზერთან პარლამენტში გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა.

„ჩვენ ისტორიული დროის მომსწრენი ვართ, ბევრ რამეში თურქეთი საქართველოსთვის მისაბაძი ქვეყანაა“, — განაცხადა სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართველები არასდროს დაივიწყებენ თურქეთის მხარდაჭერას რუსეთის მიერ საქართველოს ენერგობლოკადაში მოქცევის დროს.

„იმ დღეებში, როდესაც ერთ-ერთმა მეზობელმა ქვეყანამ, საქართველოს მოქალაქეების დეპორტაცია დაიწყო და ვიზების გაცემა შეაჩერა, თურქეთმა საქართველოსთან სავიზო მიმოსვლა გააუქმა. ეს კარგი დამთხვევა იყო“, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოსა და თურქეთს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შესახებ, რომლის თანახმადაც ქართული პროდუქციის გარკვეული სახეობები თურქეთის ბაზარზე თავისუფლად შევა.

საქართველოს პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა თურქეთის როლს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის გზაზე. „საქართველოსთვის ნატოში შესვლა სასიცოცხლო საკითხია და ვაფასებთ თურქეთის მხარდაჭერას“, — განაცხადა სააკაშვილმა.

როგორც თურქეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, თურქეთს სურს, საქართველო ძლიერ და აყვავებულ სახელმწიფოდ იხილოს. მისივე თქმით, თურქეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით, უმოკლეს დროში აღდგენას და მომხრეა ამ მიმართულებით სამხრეთ კავკასიაში ფართო თანამშრომლობა ჩამოყალიბდეს.

„მხარს ვუჭერთ საქართველოს ორიენტაციას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით და ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს საქართველოს მიერ ამ კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს“, — განაცხადა აჰმეთ ნაჯდეთ სეზერმა.



თურქეთის პრეზიდენტმა საქართველოს მხარდაჭერა აღუთქვა მაჰმადიანი მესხების საქართველოში რეპატრიაციის საქმეშიც. აჰმეთ ნეჯდეთ სეზერმა საქართველოს პრეზიდენტი თურქეთში მიიწვია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით ნავთობის პირველი ნაკადის ტანკერში ჩატვირთვის ცერემონიაზე, რომელიც ზაფხულში გაიმართება.

გუშინვე, საქართველოსა და თურქეთის მთავრობებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას ბათუმის აეროპორტის ერთობლივი გამოყენების შესახებ. შეთანხმების მიხედვით, ბათუმის აეროპორტს შიდა აეროპორტის დატვირთვა ექნება, რაც ბილეთის ღირებულებას გააიაფებს.

* * *

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძის განცხადებით, თურქეთის პრეზიდენტ აჰმეთ ნეჯდეთ სეზერთან გამართული შეხვედრა კეთილგანწყობილი და საქმიანი იყო.**

აღნიშნული განცხადება პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინ, თურქეთის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

როგორც ბურჯანაძემ აღნიშნა, შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველო-თურქეთის ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე, კონკრეტულად კი ეკონომიკური პროექტების განხორციელებაზე. მათ შორის უმნიშვნელოვანესად, საქართველოს პარლამენტის სპიკერმა, ენერგოუსაფრთხოებასთან დაკავშირებული ენერგოპროექტების რეალიზაცია დაასახელა.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, თურქეთის ხელისუფლებამ არაერთხელ დააფიქსირა, რომ მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს და საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების პროცესს, რაც საქართველოს ხელისუფლებისთვის და საქართველოს განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია.

პარლამენტის სპიკერის თქმით, თურქეთს გაეროს უშიშროების საბჭოს წევრობა სურს, რაც საქართველოსთვის კიდევ ერთი პოზიტიური მომენტია, რადგან თურქეთი მხარს უჭერს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას.

* * *

**საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა აჰმეთ ნეჯდეთ სეზერმა გუშინ გმირთა მოედანზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.**

მემორიალთან საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფო ჰიმნები შესრულდა. სტუმარმა დაღუპულ გმირთა ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგო. თურქეთის დელეგაციასთან ერთად ცერემონიალს თბილისის პრემიერი თემურ ქურხული დაესწრო.

გმირთა მოედანზე გამართული ცერემონიით გუშინდელი ოფიციალური შეხვედრები დასრულდა.

**ინტერპრესნიუსი**

**კანონმდებლები**

# «მუტანტები» — დეპუტატთა ახალი «ეპითეტი»

**პარლამენტის გუშინდელი პლენარული სხდომა განცხადებებით დაიწყო. მანანა ჯებაშვილმა საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის გამონათქვამი გააპროტესტა — მუტანტები გვიწოდაო.**

ხელისუფლების წარმომადგენლებს ჯერ სალომე ზურაბიშვილის მიერ შერქმეული „ქაჯები“ არ ჰქონდათ მონელებული და ახლა „მუტანტებიც“ დაემატა. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გაეცეს პასუხი დეპუტატთა შეურაცხმყოფელებსო, — აღშფოთება არ დაუმალავს ჯებაშვილს. იგი ზურაბიშვილთან ერთად „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალურ დირექტორს გულისხმობდა, რაკი თამარ კინწურაშვილმა სწორედ მისი და ელენე თევდორაძის მისამართით თქვა, — დეპუტატებმა კანონების კითხვა არ იციანო. დეპუტატის განცხადებას გამოეხმაურა პარლამენტის თავმჯდომარე. ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ იმედი გამოთქვა, რომ მოესწრება იმ დროს, როდესაც ოპოზიციის წარმომადგენლები ხელისუფლების ლანძღვას კონსტრუქტიულ კრიტიკასა და თანამშრომლობას ამჯობინებენ.

სანამ ეს დრო დადგება, ალბათ, კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის. რაკი წყალი ვახსენეთ, აქვე აღვნიშნოთ, რომ ნაზი არონიამ კოლეგების ყურადღება ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე მიაპყრო. მისი თქმით, თუ მთავრობამ დროზე არ უშველა, ენგურჰესი თავზე ჩამოგვექცევა და წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავას მოსახლეობასაც თან დაიტანს. ქალბატონმა ნაზიმ ვიდეომასალა წარმოადგინა და დეპუტატებს ნათლად დაანახა, როგორ გადმოდის ჩანჩქერების სახით წყალი გვირაბიდან, რომელიც წყალსაცავს ტურბინებთან აერთებს და როგორ არის დამეწყრილი სოფელი მუჟავა. ამის შემდეგ მან საკითხის დეტალურად გასარკვევად სამთავრობო კომისიის შექმნა მოითხოვა.

მას არ დაეთანხმა სამეგრელოს დეპუტაციის კიდევ ერთი წარმომადგენელი, „დემოკრატიული ფრონტის“ წევრი გიორგი ცანავა. მისი თქმით, ენგურჰესზე საგანგაშო ვითარება არ არის შექმნილი და ეს განცხადება ნაზი არონიას საკუთარი პერსონისადმი ყურადღების მისაპყრობად დასჭირდა. მისგან განსხვავებით, წამოჭრილი საკითხი მნიშვნელოვნად ჩათვალა პარლამენტის თავმჯდომარემ და მთავრობას მისი შესწავლა დაავალა.

განცხადებების შემდეგ დეპუტატებმა კობა ბექაურის ადგილმონაცვლის, ზურაბ აბულაძის უფლებამოსილება ცნეს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალზედა პარლამენტარი წინამორბედისაგან განსხვავებით უფრო ნაყოფიერად მომუშავე და ნაკლებად სკანდალური იქნება.



პარლამენტის დღის წესრიგი განსაკუთრებულად საინტერესო საკითხებს არ მოიცავდა. დეპუტატებმა რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტი განიხილეს. იმსჯელეს საზოგადოება „დემოკრატიულ არჩევანზე“, რომელიც საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტების ინიციატივით ყალიბდება. ბორჯომისა და კიევის დეკლარაციების მიხედვით, ამ ორგანიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს შავი ზღვის აღმოსავლეთის ქვეყნების ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციას. ეს ის საკითხია, რომლის ირგვლივაც ხელისუფლება და ოპოზიცია ერთიანდება და ოპონენტები არ ჰყავს.

**რუსუდან გოგუა**

**შეფასება**

# ქვეყნის მიღწევები და საორჭოფო რევოლუცია

**ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველებს, ალბათ, გახსოვთ, რომ იანვარში ასოციაცია „კანონი ხალხისათვის“ გამოვიდა ინიციატივით დამოუკიდებლობის 15 წლისთავის უმთავრესი მიღწევებისა და შეცდომების განსახილველად საზოგადოებრივი კონფერენციის მოწვევის შესახებ. ამ მიზნით შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც საზოგადოების სხვადასხვა სფეროს თერთმეტ წარმომადგენელს აერთიანებს. ალბათ, ასოციაცია „კანონი ხალხისათვის“ თავმჯდომარის ზაქარია ქუცნაშვილის ორგანიზატორულ უნარს უნდა მიეწეროს ის, რომ კომიტეტის წევრები აქტიურად მუშაობენ და საზოგადოებას უკვე მათი თვალით დანახული წარმატებები წარუდგინეს (ჩვენ ადრე გაგაცანით შეცდომათა ის ჩამონათვალი, რომელიც, მათი აზრით, დაუშვა საქართველომ ბოლო 15 წლის განმავლობაში).**

მიღწევების გასაცნობად მოწვეული პრესკონფერენცია დისკუსიაში გადაიზარდა. კომიტეტის წევრები ვერ შეთანხმდნენ ერთ საკითხზე — წარმატებად უნდა ჩაითვალოს თუ არა „ვარდების რევოლუცია“. სანამ ამაზე ვისაუბრებდეთ, ჩამოვთვლი იმ ცხრა მიღწევას, რომელთა შესახებაც კომიტეტის ერთსულოვნება არ დარღვეულა: სიკვდილით დასჯის გაუქმება; ტრანსკავკასიური პროექტები — აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი ისტორიული ფუნქციის საქართველოსთვის დაბრუნება; საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბება; თავისუფალი მედიის შექმნა; დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისათვის გადადგმული ნაბიჯები; საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის გადადგმული ნაბიჯები; რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ შეთანხმების მიღწევა; ნატოში გასაწევრიანებლად გადადგმული ნაბიჯები; აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ავტორიტარული რეჟიმის შეცვლა.

როგორც აღვნიშნეთ, „ვარდების რევოლუციის“ შესახებ კომიტეტის წევრთა აზრები გაიყო, თუმცა, არა — თანაბრად. პროფესორები გიორგი გაჩეჩილაძე, იგორ კვესელავა, კინოდოკუმენტალისტი თომა ჩაგელიშვილი და არასამთავრობო ორგანიზაცია „14 აპრილის“ თავმჯდომარე ვახტანგ ძაბირაძე, რომლებიც, ასე ვთქვათ, „პროვარდებისეულ“ ორიენტაციას იცავდნენ, უმცირესობაში აღმოჩნდნენ.

„კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო ცენტრის“ ხელმძღვანელმა, პროფესორმა გიორგი ხუციშვილმა „ვარდების რევოლუციის“ შესაფასებლად გარკვეული დროის გასვლა მიიჩნია აუცილებლად, გიორგი გაჩეჩილაძის თქმით კი, საქართველოს არ აქვს ლოდინის ფუფუნება. მისი მტკიცებით, უსისხლო რევოლუცია ახლავე უნდა შეფასდეს.

— „ვარდების რევოლუცია“ არ მოეწონათ მხოლოდ სეპარატისტულ რეჟიმებს, დანარჩენი მსოფლიო კი მისით აღტაცებას გამოხატავს. ამ დროს საქართველოში გამოჩნდა ინტელექტუალური ძალა, რომელსაც ამ მოვლენის მიღწევად ჩათვლა არ სურს და შესაფასებლად დროს ითხოვს. ეს ის ხალხია, რომელიც შევარდნაძის რეჟიმის დამხობით უკმაყოფილოა.

სიმართლე გითხრათ, გაჩეჩილაძის ამ სიტყვების შემდეგ მწვავე რეპლიკებს ველოდი, მაგრამ კომიტეტის წევრებმა აკადემიური სტილის შენარჩუნება შეძლეს. მხოლოდ ის აღინიშნა, რომ ნაწყენი არიან არა შევარდნაძის რეჟიმის დამხობით, არამედ დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროსა თუ სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში არსებული ვითარების გამო. საპასუხოდ გიორგი გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ ამგვარი რამ უამრავ ქვეყანაში ხდება, რაც, ვფიქრობ, საკმაოდ სუსტი არგუმენტია და შსს-ში მკვლელების ყოფნას არ ამართლებს.

ჩემი აზრით, გაცილებით სწორი არგუმენტები მოიშველია მეორე მხარემ იმის დასასაბუთებლად, რომ არ შეიძლება, „ვარდების რევოლუცია“ ერთ-ერთ უმთავრეს მიღწევად ჩაითვალოს. ჟურნალისტმა გიორგი უძილაურმა ხაზი გაუსვა ერთ მომენტს — საორგანიზაციო კომიტეტის წევრების აზრით, ხელისუფლების ცვლის არასაარჩევნო პრაქტიკა საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი შეცდომაა. ამის შემდეგ თუ იგივე კომიტეტი „ვარდების რევოლუციას“ მიღწევად მიიჩნევდა, ცხადია, საკუთარსავე თვალსაზრისს დაუპირისპირდებოდა. ამას გარდა, ზაქარია ქუცნაშვილის თქმით, არ შეიძლება, ხელისუფლებაში ვინმეს მოსვლა საქართველოს მთავარ მიღწევად ჩაითვალოს; და რაც მთავარია, ხელისუფლების რევოლუციური გზით შეცვლის ფაქტის ქვეყნის მიღწევად მიჩნევა იქნება წაქეზება სხვა პოლიტიკური ძალებისა, რომლებმაც შესაძლოა, ასე მოინდომონ მთავრობის შეცვლა და პარლამენტში შეცვენა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რევოლუციიდან გასული ორიოდე წლის შემდეგ თერთმეტკაციან ჯგუფში მის მიღწევად ჩათვლას მხოლოდ ოთხმა კაცმა დაუჭირა მხარი. ვფიქრობთ, საგულისხმო ფაქტია.



დაბოლოს, გეტყვით, რომ კომიტეტი თავის აზრს არავის ახვევს თავს. 9 აპრილამდე ჩატარდება გამოკითხვა, რომელიც სამ უმთავრეს მიღწევასა და შეცდომას გამოავლენს. გამოკითხვაში მონაწილეობას მიიღებენ მიხეილ სააკაშვილი, ედუარდ შევარდნაძე და ექსპერტები საზოგადოების ყველა სფეროდან. ამდენად, ფართო საზოგადოებას მიეცემა საშუალება, თავად შეაფასოს საქართველოს დამოუკიდებლობის 15 წლისთავი.

**რუსუდან გახარია**

◉ აქცია

# ხელისუფლებამ ხალხის სიცოცხლე ჯოჯოხეთად გადააქცია

## არქიფოებო, არავიძეებო, ყვარყვარეებო – დაეხსენით საქართველოს!

**მონარქისტული პარტიის ორასამდე წევრი გუშინ ვერის ბაღში შეიკრიბა. 12 საათზე მსვლელობა რუსთაველის გამზირისკენ დაიწყეს, აქცია პარლამენტის შენობის წინ უნდა გაემართათ. შეკრება კარგად რომ იყო ორგანიზებული, ამაზე მონაწილეთა ჩაცმულობა და საჭირო ატრიბუტიკაც მიუთითებდა. უმრავლესობას პატიმრების შავ-თეთრი ზოლებიანი ხალათები ეცვა, ზოგიც ჯალათის შავ მოსასხამში შემოსილიყო. შავი მანტიებიდან პარლამენტართა პორტრეტები გვიმზერდნენ. ჰქონდათ შალვა რამიშვილის ფოტო, წარწერით – სინდისის პატიმარი, ასევე ზურაბ ჟვანია და სანდრო გირგვლიანის ფოტოები წარწერით – მოკლულია. იყო საგანგებოდ მომზადებული ფიცარი, მასზე შემოდგმული ყუთები უნივერსიტეტისა და ეკლესიის ფოტოებით, რომლებსაც სამგლოვიარო მუსიკის ფონზე მიასვენებდნენ, რადგან, აქციის მონაწილეთა თქმით, დღეს უნივერსიტეტი მკვდარია, ხელისუფლება ებრძვის მართლმადიდებლობასაც. ქუჩაში გამსვლელებს კი პატარ-პატარა პლაკატებს ურიგებდნენ, სადაც საკუთარი მოთხოვნები ჰქონდათ ჩამოყალიბებული, იგივეს მეგაფონშიც იმეორებდნენ:**

– შეწყდეს განსხვავებული აზრის დევნა. არქიფოებო, არავიძეებო, ყვარყვარეებო – დაეხსენით საქართველოს! შეწყდეს საქართველოს მოსახლეობის გენოციდი, ქართველი ხალხის უფლებების დარღვევა, ჩვენ მოვითხოვთ სიცოცხლის უფლებას!

აქციის მონაწილენი ქართველ ერს გამოფხიზლებისკენ მოუწოდებდნენ, რათა ყველა ერთად შეებრძოლოს ქვეყანაში გამეფებულ უკანონობას:

– თანამემამულენო! სოროსისა და შევარდნაძის მიერ ორგანიზებულმა ე.წ. „ვარდების რევოლუციამ“ ხალხის სიცოცხლე ჯოჯოხეთად გადააქცია. უკეთესი მომავლის იმედით გვაიძულებენ დავემორჩილოთ მათ დამანგრეველ პოლიტიკას, მონობისა და ღალატის საფასურად გვყიდიან, სულში გვაფურთხებენ! ჩვენც მივუყვებით ბორკილების ჟღარუნით გოლგოთის გზას თავჩაღუნულნი, დამცირებულნი, დაბეჩავებულნი. დაგვავიწყეს ვინ ვართ და ვისი გორისანი ვართ. ნუთუ ქართველი დედის გოდებას მათი იარაღის ჟღარუნი ჩაახშობს, ნუთუ გავყიდით დედაენას, ჯვარს დავამხობთ სატანისტების გასახარად. ან შევეგუებით რეალობას და გადავშენდებით ან ყველა ერთად დავამარცხებთ სააკაშვილის დიქტატურას.

დანიშნულების ადგილამდე მძღოლთა „კურთხევით“, როგორც იქნა, მიაღწიეს და აქციის კარგად ორგანიზებულობაც სწორედ იქ დამთავრდა. მოვლენები დაგეგმილი სცენარის მიხედვით ველარ განვითარდა, მონარქისტებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, რაშიც წვლილი ისევ საქართველოს პრეზიდენტს მიუძღვის, თორემ პარლამენტში მისი და თურქეთის პრეზიდენტის შეხვედრა რომ არა, ვინ დაუშლიდა აქციის მონაწილეებს საკანონმდებლო უწყების წინ სანახაობის სცენარის მიხედვით გაგრძელებას. პოლიციასა და მონარქისტებს შორის მცირე შეკამათების შემდეგ გადაწყდა, რომ რამდენიმე წუთით მათი პარტიის თავმჯდომარეს თემურ ჟორჟოლიანს პარლამენტის წინ ტერიტორიის ავანსცენას დაუთმობდნენ. ათვლა დაიწყო: – ქვეყანაში, სადაც სიკვდილით დასჯა აკრძალულია, ხალხს ხოცავენ, საქართველო საკონცენტრაციო ბანაკად გადააქციეს, სადაც დესპოტური რეჟიმი მეფობს. დადგინდა, რომ შს სამინისტროში მკვლელთა ბრიგადები მუშაობენ, რომლებიც შეკვეთით ანადგურებენ ხალხს. ასეთი მმართველები ქვეყანას უნდა მოსცილდნენ – განაცხადა ჟორჟოლიანმა.

აქციის მონაწილეებმა ბატონი თემურისგან მადლობა დაიმსახურეს და მითითებაც მიიღეს – პატიმრის ტანსაცმელები პარლამენტის წინ ჯალათებისთვის დაეტოვებინათ. შავ-თეთრზოლიანი ხალათები შენობის წინ უმალ გაიფინა, მაგრამ შავ მოსასხამებს რაც შეეხება, გადასაყრელად ვერ გაიმეტეს, ეტყობა, მათი შენახვა უფრო ძვირი დაუჯდათ, მანტიებს ალბათ შემდგომშიც გამოიყენებენ.



მონარქისტების გვერდით ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი ირაკლი წერეთელიც იდგა, ამის მიზეზი მარტივი იყო – აზრთა თანხვედრა ჟორჟოლიანის პარტიასთან, მანაც იგივე მოთხოვნები ჩამოაყალიბა. მისგან განსხვავებით ვერაფერი გვითხრეს იმ ახალგაზრდებმა, რომლებიც უფროსის მითითებებს უმალ ასრულებდნენ, ვერის ბაღიდან პარლამენტამდე კი პატიმრისა და ჯალათის ტანსაცმლით შემოსილებმა იარეს, თუმცა არ იციან რატომ, ფიქრობენ, რომ ამით ქვეყანას ეხმარებიან. ვერც იმას გიპასუხებენ, მონარქისტული პარტიის წევრები არიან თუ არა, კის და არას ერთდროულად ამბობენ.

ისე, კულუარებში ლაპარაკობენ, ამ ახალგაზრდებს ფეხის ქირას 20-30 ლარს უხდიანო, მონარქისტების გააქტიურება და ასეთი სანახაობით აქციების დაფინანსება კი თავის თავზე იგორ გიორგაძემ აიღოო. თავად თემურ ჟორჟოლიანი ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ აქცია პარტიის სახსრებით იყო ორგანიზებული, აქტიურობით ისინი ყოველთვის გამოირჩეოდნენ, პარტია „სამართლიანობასთან“ უბრალოდ თანამშრომლობენ, ფარული ზრახვებით არასოდეს არავისთან არ შეკრულან, ყოველთვის ჭეშმარიტების, დემოკრატიული საქართველოს აღმშენებლობის მომხრეები არიან.

მონარქისტების აქტიურობით კმაყოფილი დარჩა როზა ბეზოც, მათი წყალობით, ხელის ქირა იშოვა, დავალება მისთვის მარტივი იყო, პარლამენტის წინ მდებარე ტერიტორია 30 წუთში უნდა დაესუფთავებინა, ვიდრე იქ თურქეთისა და საქართველოს პრეზიდენტები შეაბიჯებდნენ.

**ლელა ხვადაგიანი**

◉ ინფორმაცია

### დეპუტატები სხდომებს ისევ აცდენენ

**პარლამენტის პლენარულმა სხდომამ სხდომის გამცდენი დეპუტატების – ნინო კალანდაძის, ედვარდ სურმანიძის, გიგი წერეთლის, ელენე თევდორაძისა და გივი თარგამაძის გამო მუშაობა დროებით შეწყვიტა.**

**ჯერჯერობით გაურკვევია, რამდენი ლარი დაექვითება საკუთარი ხელფასიდან იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ნინო კალანდაძეს, რომლის გამოც, გუშინ რამდენიმე კანონპროექტის განხილვა გადაიდო. შესაძლოა მან მხოლოდ გუშინდელი სხდომის გაცდენის გამო ხელფასის 40 ან 50 პროცენტი დაკარგოს.**

### შინაგან საქმეთა მინისტრს უტევენ!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს წინ პარასკევს დაგეგმილი აქციის საორგანიზაციო საკითხებს ოპოზიციური პარტიების ლიდერები არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად განიხილავენ.**

**ამასთან დაკავშირებით პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების“ ოფისში საგანგებო სხდომა გაიმართა.**

**პარასკევს დაგეგმილ აქციაზე სანდრო გირგვლიანის ოჯახის წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომას მოითხოვენ. თუმცა არ გამორიცხავენ გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის დაყენებასაც.**

**სხდომას პოლიტიკური პარტიების – „კონსერვატორების“, „ლეიბორისტების“, „საქართველოს გზის“, „ახალი მემარჯვენეების“ და „რესპუბლიკელების“ ლიდერები ესწრებოდნენ.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ ახალი პროექტი

# ერთმანეთის გვერდით სხედან მაკონტროლებლები და გასაკონტროლებლები

**საქართველოს კონტროლის პალატის სასწავლო ცენტრში, გაეროს განვითარების პროგრამისა და კონტროლის პალატის პროექტის ფარგლებში დაიწყო ტრენინგების ციკლი სხვადასხვა დისციპლინაში კონტროლის პალატის მოხელეთათვის, და არა მხოლოდ მათთვის. პროექტის სახელწოდებაა: „სახელმწიფო კონტროლის ქმედუნარიანობის გაძლიერება“.**

უკანასკნელ წლებში კონტროლის პალატის რევიზია-შემოწმებებმა ცხადყო, რომ საფინანსო-ეკონომიკური დარღვევებისა და უკანონო ქმედებების არსებითი მიზეზები მხოლოდ სახელმწიფო მოხელეთა ანგარებიანი, კორუფციული გადაწყვეტილებები კი არ არის, არამედ, ასევე, საფინანსო-ეკონომიკური სამსახურების მუშაკთა ეკონომიკური და სამართლებრივი განათლების დაბალი დონე, არაკომპეტენტურობა და გამოუცდელობა.

ამიტომ საქართველოს კონტროლის პალატის რეფორმისტულ ღონისძიებებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა სახელმწიფო დაწესებულებების საფინანსო-ეკონომიკური სამსახურების მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება. ეს სამომავლოდ გამორიცხავს უცოდინარობით გამოწვეულ დარღვევებს, გატარდება პრევენციული ღონისძიებები და დაიზოგება საბიუჯეტო სახსრები, დამყარდება წესრიგი სახელმწიფო ფინანსურ და ქონებრივ ურთიერთობებში.

– დღეს უჩვეულო ღონისძიებაა კონტროლის პალატაში, – თქვა ბრიფინგზე კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილემ იაკობ მესხიამ, – სემინარზე ერთმანეთის გვერდით სხედან შემმოწმებლები და შესამოწმებლები, მაკონტროლებლები და გასაკონტროლებლები. კონტროლის პალატის ხელმძღვანელობამ გაეროს განვითარების პროგრამის პროექტთან ერთად გადაწყვიტა სასწავლო ცენტრში კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოეწვია ისინი, ვისაც უწინ ამოწმებდა და ვის საქმეებსაც სამართალდამცავებს უგზავნიდა სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად.

ეს უპრეცედენტო მოვლენაა, რაც უწინ არ ხდებოდა, მაგრამ ცხოვრება წინ მიდის, შენდება სამართლიანი, დემოკრატიული ქვეყანა. შესაბამისად, კონტროლის ფორმებიც იცვლება, შემოდის ახალი სისტემა და ახალი ტექნოლოგიები.

იაკობ მესხიას თქმით, საქართველოს ეკონომიკაში ბევრი რამ შეიცვალა და ფინანსური წესრიგი დამყარდა. ამ ღონისძიებებმა კი ბიუჯეტი საგრძნობლად გაზარდა.

კონტროლის პალატის სასწავლო ცენტრში ტრენინგი უკვე დაიწყო პირველმა ჯგუფმა, კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, შპს „საქართველოს რკინიგზის“, საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროსა და ყვარლის რაიონული გამგეობის 15 თანამშრომელი ერთი თვის განმავლობაში სპეციალურ კურსს გაივლის სარევიზიო-საკონტროლო საქმიანობის სფეროში. არსებითი ყურადღება გამახვილდება შესამოწმებელი ორგანიზაციების მიერ წამოჭრილ პრობლემებზე, მათ გადასაწყვეტად ინსტიტუციური, საკანონმდებლო, ორგანიზაციულ-ტექნიკური და პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციებზე.

ეს იქნება პირველი პილოტური კურსი, რომელიც მრგვალი მაგიდით დასრულდება. სწავლების პროცესში მონაწილე ყველა მხარე გამოთქვამს მოსაზრებებს, წინადადებებს სასწავლო კურსის დასახვეწად.

სასწავლო კურსი ერთი წლის განმავლობაში გაგრძელდება. რამდენიმე ასეულ სახელმწიფო მოხელეს კი გადაეცემა სერტიფიკატი და სასწავლო-მეთოდური ხასიათის ლიტერატურა.

საქართველოს კონტროლის პალატაში გამართულ ბრიფინგზე სიტყვით გამოვიდნენ: გაეროს განვითარების პროგრამის კონსულტანტები: მიხეილ გვარჯალაძე, ვაჟა გურგენიძე, გაეროს განვითარების პროგრამის კოორდინატორი მანანა სალუქვაძე.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ აქტუალური თემა

# შვიდს ერთი კონკურენტიც არა ჰყავს?

**„გორბის“ გამოკითხვებით, ნდობის რეიტინგის პირველ ათეულში არიან პრეზიდენტი სააკაშვილი, ნინო ბურჯანაძე, ირაკლი ოქრუაშვილი და შვიდი ოპოზიციონერი. ათეულში არ არის პრემიერ-მინისტრი. ექსპერტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ როცა საპარლამენტო უმრავლესობის არც ერთი წარმომადგენელი პერსონალურად კონკურენტუნარიანი არ არის ოპოზიციის წარმომადგენელთან, ასეთ ვითარებაში ბუნებრივია, ისინი მხოლოდ ქარიზმატული ხელმძღვანელების იმედად არიან. ცხადია, „გორბის“ ვერ დავაბრალებთ, რომ ოპოზიციონერებთან რაიმე სიახლოვე აქვს, მიუხედავად ამისა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ამ გამოკითხვებს არაობიექტურად მიიჩნევენ.**

მომიტინგეებმა ოთხშაბათამდე ტაიმ-აუტი აიღეს. საუბარია, რომ საკომიტეტო მოსმენის შემდეგ მთავრობა გარკვეულ კომპრომისზე წავა და შეიძლება მოვაჭრეებს სალარო აპარატების დადგმის ნაცვლად ფიქსირებული გადასახადები დაუწესდეთ. თუმცა, ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ასეთ პერსპექტივას ამთავითვე უარყოფს. მათი თქმით, ხელისუფლება ვერ დაეთანხმება სალარო აპარატებთან დაკავშირებულ პროტესტს იმიტომ, რომ ქვეყნის მშენებლობის გზაზე წარმატებებს სწორედ ამაში ხედავს.

გასაგებია, რომ სალარო აპარატების შემოღება იმიტომ უნდათ, რომ ზუსტად აღრიცხონ ყველაფერი, მაგრამ საქმე ის არის, რომ მანამდე ჯერ კიდევ ბევრი გზა გვაქვს გასავლელი. ხელისუფლებას ბიუჯეტის შევსება საზღვარგარეთის გამოცდილების მიბაძვით სურს, თუმცა, ისიც ხომ დასაფიქრებელია, წარმატებულ და ძლიერ ქვეყნებს რამდენად ჩამოვრჩებით. ოპოზიცია კი ამაზე დიდ და სერიოზულ მიზეზს გაერთიანებისთვის ვერც მოიგონებდა. როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი მშიერი რჩება (ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩნიათ მოვაჭრეებს და ოპოზიციონერებს) ეს უკვე მართლაც დიდი მიზეზია გაერთიანების. გაერთიანებული ოპოზიცია თვითმმართველობის არჩევნებისთვის სერიოზულად ემზადება. კულუარული ხმებით, კობა დავითაშვილი და დავით ბერძენიშვილი თბილისის და ბათუმის მერობას აპირებენ და ამდენად შესაძლოა მათ პარლამენტი დატოვონ.

**დავით ბერძენიშვილი, „დემოკრატიული ფრონტი“:** „ჩვენი კანონმდებლობა არის ასეთი: თბილისში მერი ირჩევა საკრებულოს წევრთაგან, სხვაგან, მათ შორის, ბათუმში, მერს ირჩევს საკრებულო და არ არის დაკონკრეტებული, ის საკრებულოს წევრია თუ არა. მე ვაპირებ ვუხელმძღვანელო საარჩევნო კამპანიას ბათუმში და ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში გავხდები ბათუმის მერი. მერის არჩევნების გამო პარლამენტის დატოვებას არ ვაპირებ. როგორც მოგახსენეთ, ბათუმთან დაკავშირებით ეს ვალდებულება არ არის, თბილისთან დაკავშირებით კი ეს ვალდებულება არის (პარლამენტის წევრმა უნდა დატოვოს პარლამენტი და ისე იყაროს კენჭი). ამიტომ ჩვენ იმ დროისთვის შევხედავთ, ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ვიცით, რომ დემოკრატიული ოპოზიცია თვითმმართველობის არჩევნებისთვის მჭიდრო თანამშრომლობის ფორმატში მობილიზებული იქნება. ხელისუფლებას გაყალბების გარეშე ამ არჩევნების მოგება ძალიან გაუჭირდება“.

ექსპერტები თვლიან, რომ ნებისმიერი ხელისუფლება ქვეყნის მართვაში წარმატებას მაშინ მოიპოვებს, როცა საპარლამენტო არჩევნებისას მოსახლეობა, ანუ ამომრჩეველი, ხელისუფლების გადანაწილებას ისწავლის – ხმას მხოლოდ ერთ პარტიას არ მისცემს, რათა პარლამენტში სხვადასხვა ძალები შევიდნენ და პოლიტიკა ერთი პარტიის მიერ არ იყოს მონოპოლიზებული. საყურადღებო მოსაზრებაა...

**მზია გელენავა**

დღის თემა

# გვჭირდება თუ არა სალარო აპარატები?

## გვჭირდება, ოღონდ არა ერთეულთა საამებლად

**სალარო აპარატები „ფისკალური მოწყობილობის“ ჯგუფში შედიან. ისინი კონტროლის ინსტრუმენტებია და სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის რეალურ შემოსავლებს აღრიცხავენ.**

აქ დაწვრილებით არ შევუდგებით სალარო აპარატების მუშაობის თავისებურებებსა და სპეციფიკურობის ახსნას, იმასღა ვიტყვით, რომ შეძენისას აუცილებელია მათი პარამეტრებისა და ქვეყნის საგადასახადო სამსახურის მოთხოვნათა მიმართ ადაპტაციის გათვალისწინება, მნიშვნელოვანია სალარო აპარატებზე მომუშავე პერსონალის მომზადება-გადამზადებაც.

ყველას გვახსოვს ინციდენტი კაფე „ნიკალაში“, სადაც სალარო აპარატების ფისკალური მეხსიერების მონაცემები რაღაცნაირად იცვლებოდა — თუ ნავაჭრი შეადგენდა ათას ლარს, აპარატი ასახავდა მხოლოდ ას ლარს. რასაკვირველია, ეს მნიშვნელოვნად მოქმედებდა გადასახადების რაოდენობაზე. ამის თავიდან ასაცილებლად შემუშავდა ე. წ. დაცული ელექტრონული საკონტროლო ლენტა (ფირიძ. იქ სპეციალური ალგორითმის გამოყენებით დატანილია სპეციალური კოდები. ისინი ამოიბეჭდება ცალკეულ ქვითარზე, რის საფუძველზეც იოლად შეიძლება გარკვევა, თუ რომელ სალარო აპარატზე იყო იგი ამობეჭდილი. ლენტის გამოცვლა მეწარმეს წელიწადში სამჯერ-ოთხჯერ მოუწევს, ხოლო სალარო აპარატის ტექნიკური მომსახურება წელიწადში 150 ლარამდე დაუჯდება.

კანონი, რომელიც ვაჭრობაში დასაქმებულ მცირე მეწარმეებს სალარო აპარატის გამოყენებას ავალდებულებს, მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩრდილოვანი ეკონომიკის აღმოფხვრისა და საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდისთვის.

სალარო აპარატები მომხმარებლის, მეწარმის და, სახელმწიფოს ინტერესების დაცვის რეალური ინსტრუმენტია. მათ გამოიყენებენ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში.

სალარო აპარატები საკმაოდ ძვირია, ამიტომ საგადასახადო ინსპექციის ზოგიერთი ჩინოვნიკის პირდაპირი მითითება, სად უნდა შეიძინოს იგი მცირე მეწარმემ, ეჭვს იწვევს მათ პირად დაინტერესებაში. იმ მეწარმეთა გათავისუფლება სალარო აპარატების მოხმარებისაგან, ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის (NACEძ მიხედვით საქართველოს პრეზიდენტის მიერ განთავისუფლებულნი რომ არიან ყველა გადასახადისაგან, არათანაბარ საკონკურენტო გარემოში აყენებს იმათ, ვინც ამ კლასიფიკატორში არ შედის. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს კლასიფი-



კატორი უამრავ შენიშვნას და კითხვას იწვევს. მაგალითად, თუ ქვეყანა მცირე მეწარმეობის განვითარებით მოსახლეობის დასაქმების პრობლემების გადაწყვეტას აპირებს, რატომ არიან პრივილეგირებულ მდგომარეობაში ის ფიზიკური პირები (ინდმეწარმეებიძ, ვისაც დაქირავებული მუშაკები არა ჰყავს (საგადასახადო კოდექსი, 168 მუხლიძ? ელემენტარული ლოგიკით აკი ის მეწარმე უნდა იყოს გათავისუფლებული გადასახადისაგან, ვინც მეტ სამუშაო ადგილს შექმნის? ასევე გაუგებარია, თუ რა პარამეტრია 15 კვადრატული მეტრი და რატომ არის ის უკეთესი, ვიდრე 17 ან 25 კვადრატული მეტრია?

საქართველოში 2003 წლის პირველი ნოემბრიდან ძალაში შევიდა კანონი მომხმარებელთან ფულადი ანგარიშსწორების განხორციელებისას საკონტროლო სალარო აპარატების გამოყენების შესახებ. ეს კანონი ძალადაკარგულად ჩაითვალა 2005 წლის 27 დეკემბრიდან. პირველი მარტიდან ძალაში შევიდა ცვლილებები საგადასახადო კოდექსში, რომლებმაც გაამკაცრეს არსებული საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლში მოცემული ჯარიმები. კერძოდ, მომხმარებელთან ურთიერთობისას სალარო აპარატების გამოუყენებლობა ჯარიმდება 500 ლარით, ხოლო განმეორებით შემთხვევაში 1500 ლარით. თუ აპარატი არსებობს, მაგრამ მომხმარებელს არ მიეცა ქვითარი — ჯარიმა 500 ლარია. განმეორებით შემთხვევაში — 5000 ლარი. 3000 ლარი ჯარიმაა სალარო აპარატების პლომბის დაზიანებისას. ამასთან „განახლებულ“ საგადასახადო კოდექსში გამოყოფილია იმ პირთა ჩამონათვალი, ვინც გათავისუფლებულია სალარო აპარატების გამოყენებისგან (ის პირები, რომლებიც ეწევიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველად მიწოდებას და მათი წლიური ბრუნვა არ აღემატება 100 ათას ლარსძ. აგრეთვე თუ მომხმარებელს მიეცემა რაიმე საბუთი, რომელიც სალარო აპარატის ქვითრის ტოლფასია (მაგალითად, ფასიანი „სასწრაფო დახმარების“ მომსახურების ქვითარიძ.

**რა უნდა გავაკეთოთ, რომ განვმუხტოთ შექმნილი მდგომარეობა?**

**ასეთი წნეხის ქვეშ სალარო აპარატების დანერგვა ეჭვს ბადებს, რომ სახელმწიფომ ან გადაწყვიტა მცირე მეწარმეობის (მათ შორის ინდმეწარმეობისძ საბოლოო განადგურება, ანდა ვიღაცა ლობირებს სალარო აპარატების შემომტანებს ან მსხვილ ბიზნესს.**

პირველ რიგში უნდა გავიაზროთ, ვინ დგას სავაჭრო დახლებთან — ყოფილი ინჟინრები, მასწავლებლები, მეცნიერები, სხვადასხვა სამინისტროების თანამშრომლები. სახელმწიფომ ხომ ისინი ყოველგვარი საარსებო სახსრების გარეშე დატოვა, გამოაგდო ქუჩაში. ამ ხალხმა ადგილები შექმნა, ააწყო ვაჭრობა, როგორღაც შოულობს ლუკმა პურის ფულს და გადასახადებსაც იხდის. ვის ჯიბეში მიდის გადასახადები, ეს უკვე სხვა საკითხია. იმის მაგივრად, რომ ბიუროკრატიულმა აპარატმა ამ ხალხს მადლობა გადაუხადოს, დღენიადაგ ცდილობს ისეთი ნორმატიული აქტების და კანონების მიღებას, რომლებიც იმთავითვე კორუფციის ან ამბოხების მიზეზი ხდება. ამას თითქოს სპეციალურად აკეთებენ. **აბა როგორ შეიძლება ფინანსთა მინისტრს აზრად მოუვიდეს მცირე მეწარმეების 25 ათასი ლარით დაჯარიმება, როცა მათ დღეში მაქსიმუმ 15-20 ლარი მოგება რჩებათ?** ჯარიმა 5 ათასი ლარიც რომ იყოს, ეს უთუოდ კორუფციის საწინდარია.

იმ მიტინგებზე, რომლებიც 15 მარტს უნდა გაგრძელდეს, არ გაჟღერებულა მცირე მეწარმეთა საკითხებში ექსპერტთა აზრი, ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის მიერ განხორციელებული აქტები სალარო აპარატების მიმართ და გამოსვლები გაკვირვებას იწვევს თავისი არაპროფესიონალიზმით და არაკომპეტენტურობით. მცირე მეწარმეებმა ვერავითარი პასუხი და კონკრეტული წინადადება ვერ მიიღეს მათგან.

**საკონტროლო სალარო აპარატები ეტაპობრივად აუცილებლად უნდა დაინერგოს. იმ თანხას, რომელსაც სახელმწიფო ელოდება აქედან, პირველ ეტაპზე უნდა გამოაკლდეს მათი ღირებულების თანხა, ანუ სახელმწიფომ უნდა შეიძინოს სალარო აპარატები. თუ სახელმწიფოს სურს დამატებით გარკვეული თანხების მიღება ბიუჯეტში, ფულიც უნდა ჩადოს, გარკვეული რისკი გასწიოს ისევე, როგორც ამას მეწარმეები აკეთებენ. მეწარმეებს სალარო აპარატები უნდა გადაეცეს იჯარა-გამოსყიდვით, შესაბამისი ხელშეკრულების პირობების დაცვით. თუ სახელმწიფოს ეს ვარიანტი ხელს არ აძლევს, მაშინ საქართველოს ეროვნული ბანკი უნდა დადგეს გარანტად კომერციულ ბანკებთან, ხოლო მათ გასცენ უპროცენტო ან ძალზე დაბალპროცენტიანი სესხი სალარო აპარატების შესაძენად.**

თუ ხელისუფლება, მცირე მეწარმეობის მხარდასაჭერად ჩამოთვლილი ვარიანტებიდან ვერც ერთს ვერ შეარჩევს, მაშინ თვითონ უნდა მოიფიქროს და განახორციელოს უფრო ეფექტური ღონისძიება. განცხადებები იმის შესახებ, რომ თუ ბიუჯეტში თანხები არ შემოვიდა, არც შუქი იქნება და არც წყალი, მიუღებელია, ვინაიდან მოსახლეობა და მათ შორის მცირე მეწარმეები, არსებულ მსყიდველუნარიანობიდან გამომდინარე, ყველა სავალდებულო გადასახადს იხდიან.

**თამაზ ვაშაკიძე,**
**მცირე მეწარმეთა სადისკუსიო კლუბის მენეჯერი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.**

ინფორმაცია

### თანამშრომლობა გაღრმავდება

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი მნიშვნელოვანს უწოდებს თურქეთის პრეზიდენტ აჰმედ ნეჯდეთ სეზერის საქართველოში ვიზიტს. მისი თქმით, ვიზიტის მსვლელობისას საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობის მქონე ხელშეკრულებები გაფორმდება.**

**პრემიერ-მინისტრის განცხადებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ბათუმის აეროპორტის ერთობლივი გამოყენების შეთანხმება, რომელიც საქართველოსა და თურქეთის დელეგაციების შეხვედრის შემდეგ გაფორმდება.**

**ამ ხელშეკრულების მიხედვით, ბათუმის აეროპორტი თურქული ავიარეისებისთვის შიდა აეროპორტად იქნება გამოყენებული, რაც, პრემიერ-მინისტრის აზრით, გაზრდის აეროპორტის მნიშვნელობას და ხელს შეუწყობს სავაჭრო და ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას.**

### მინისტრი გადამხდელებს მოუწოდებს

**საქართველოს ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი ქონების გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირებს ვალდებულების შესრულებისკენ მოუწოდებს.**

**როგორც ალექსიშვილმა გუშინ, საგადასახადო დეპარტამენტში გამართულ თათბირზე განაცხადა, ამ დროისთვის ბიუჯეტის წინაშე ვალდებულება მხოლოდ 157-მა ფიზიკურმა პირმა შეასრულა და ბიუჯეტის სასარგებლოდ ნახევარი მილიონი ლარი გადაიხადა.**

**მინისტრის თქმით, ქონების გადასახადის გადამხდელებს გადასახადის ერთბაშად გადახდის ვალდებულება არ აკისრიათ. მათ შეუძლიათ ბიუჯეტთან ანგარიშსწორება ორ ეტაპად განახორციელონ. 15 ივნისამდე მათ საგადასახადო დეპარტამენტში უნდა წარადგინონ ქონებრივი დეკლარაციები, ხოლო გადასახადის გადახდა შეუძლიათ 15 ივლისამდე და 15 ნოემბრამდე. დეკლარაციის ფორმის მიღება ქონების გადასახადის გადამხდელებს საგადასახადო დეპარტამენტში შეეძლებათ.**

**ინტერპრესნიუსი**

გარემო

# ტყეს ვერ ვუნახავთ შვილებსა...

**საქართველოს მთაგორიანი რელიეფისთვის განსაკუთრებული მისია მწვანე საფარს აკისრია. მისი ძირითადი დანიშნულება, წყლის რეჟიმის რეგულირება, ეროზიული და მეწყრული მოვლენებისგან ნიადაგის დაცვა, ხოლო შემდეგ, მისი კურორტოლოგიური და ესთეტიკური ფუნქციაა, რაც არცთუ ნაკლებ მნიშვნელოვანია. საქართველოში, ტყეების განსაკუთრებულად დაცვის აუცილებლობამ განაპირობა სამთო მეტყევეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დაარსება. ამის ინიციატორი და წლების მანძილზე მისი უცვლელი ხელმძღვანელი გახლდათ საბჭოთა პერიოდში უპარტბილეთო აკადემიკოსთა ძალზე მცირე გუნდის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი, აკადემიკოსი ვასილ გულისაშვილი. სამთო მეტყევეობის კვლევითი ინსტიტუტი ერთადერთი იყო მთელ საბჭოურ სივრცეში, სადაც მეცნიერულ დონეზე დამუშავდა მთაგორიანი ტყეებისთვის სათანადო ჭრის სახეობები და გეგმაზომიერად წარმოებდა ტყეთსარგებლობა.**

ტყეს სახელმწიფო იცავდა. საქართველოს ბუნებას ჰყავდა ისეთი მეჭირისუფლე მამულიშვილები, როგორებიც იყვნენ: ნიკო კეცხოველი, ვასილ გულისაშვილი, ლევან ყანჩაველი, რევაზ ლაღიძე და სხვანი. ნიკო კეცხოველმა, მინდიამ ჩვენი ბუნებისა, ფირზე აღბეჭდა ერთ-ერთი რაიონის ტერიტორიაზე ეულად მდგომი, უკანონოდ მოჭრილი მუხის რამდენიმე ეგზემპლარი, ჩაიცვა რკინის ქალამნები, ფოტობრალდებით მიადგა მაშინდელ ცეკას შენობას და იმ რაიონის პირველი მდივანი მოჭრილ მუხებს თან გადააყოლა. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ადამიანი ბუნებას უხეშად დაუპირისპირდა, რომ იტყვიან, ხელთათმანი ესროლა.

ჩვენი დროის საყვარელმა კომპოზიტორმა და ღირსეულმა მამულიშვილმა რევაზ ლაღიძემ, რომელმაც იცოდა ჩვენი ბუნებისა და ტყეების ფასი, დროულად შემოჰკრა განგაშის ზარი და მისეული ხელწერილით გვიანდერძა ტყეებისადმი სიყვარულით გაჟღენთილი ქართული ჰანგი და გაგვაფრთხილა: „ტყე შეუნახე შვილებსა“. უფრო ადრე კი, ბუნების მგოსანმა და დიდმა მესაიდუმლემ, სულმნათმა ვაჟა-ფშაველამ დაგვმოძღვრა: „ბუნება მბრძანებელია“, იგი მხოლოდ საკუთარ თავს ემონება და დაპირისპირებას არავის აპატიებს. არცერთის შეგონება ყურად არ ვიღეთ, ბუნებაც შემოგვწყრა. ადიდებულმა მდინარეებმა დაანგრია სოფლები, წაილო ხიდები, მეწყერმა თან ჩაიტანა სახლები, უსახლკაროდ დატოვა ისედაც გაუბედურებული მოსახლეობა.

მიზეზი ის განუკითხაობაა, რაც ხდება დღეს საქართველოს ტყეებში. ჩვენმა ისტორიულმა ძმებმა, ებრაელებმა, უდაბნო წალკოტად აქციეს. ჩვენთან კი, თუ ასე გაგრძელდა, წალკოტი უდაბნოდ გადაიქცევა. ეს შეუქცევადი პროცესი გამოიწვევს მოსახლეობის დეგრადაციას. უდაბნოში გაზრდილი კაცი ისევე უსახური იქნება, როგორც მისი გარემო. ისტორიას ჩაბარდება ის ქართული ფენომენი, რომელიც ასე თვითმყოფადია და აგრერიგად გამოგვარჩევს.

მინდა ჩვენი ქვეყნის ერთი რაიონის, კერძოდ კი კასპის რაიონის მაგალითზე მოგახსენოთ. ტყის ძირითადი მასივები, რაიონის სამხრეთითაა განლაგებული, რომლის მშვენებაა თეძმის ხეობა და მის გარშემო განლაგებული ისტორიული სოფლები. სწორედაც ამ ხეობის სილამაზემ შთაბერა შემოქმედებითი მუზა მწერალ ეკატერინე გაბაშვილს, შექმნა ისეთი საბავშვო მარგალიტები, როგორებიცაა „მაგდანას ლურჯა“, „თინას ლეკური“, „ღვინია გადაიჩეხა“. ჩემმა ბავშვობამ ამ ხეობაში ჩაფლულ კოპწია სოფელ გარიყულაში გაირბინა. ეს ის სოფელია, სადაც დგას და ხეობას არწივივით გადმოჰყურებს გიორგი სააკაძის შთამომავალთა — თარხნიშვილების საგვარეულო არქიტექტურული ძეგლი, რომლის ხშირი სტუმარი გახლდათ ჩვენი სალიქადულო მგოსანი აკაკი წერეთელი.



...ომი ახალი დამთავრებული იყო, ხალხს ყველანაირად უჭირდა, გაზზე წარმოდგენა არა ჰქონდა, ნავთი ფუფუნება იყო. მაგრამ კანონი უზენაესობდა და ტყეს სახელმწიფო მკაცრად იცავდა. ტყის მცველს ცულით ხელში რომ დაეჭირე, მას წაგართმევდა და მკაცრად გაგაფრთხილებდა. ხმელ ფიჩხს, გუდურად შეკრულს, ზურგზე აკიდებულსაც ჩამოგართმევდა, რადგან ნებართვის გარეშე კანონდარღვევად ითვლებოდა, ნედლს კი ვინ მოგაჭრევინებდა. როდესაც გაავდარდებოდა და მდინარე თეძამი ადიდდებოდა, დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი, ზოგი ტომრებით, ზოგიც გოდრებით, შეესეოდა მდინარის მიერ მოთრეულ ნარიყს და ოჯახს შეშით ასე ამარაგებდა. ზაფხულობით, არდადეგებზე, მეც ბევრჯერ მიმიღია ამაში მონაწილეობა. ასე რუდუნებით ელოლიავებოდა მაშინდელი მოსახლეობა ჩვენს ტყეებს და ტყის მომავალ თაობას უნახავდა. სამწუხაროდ, ტყეების მიმართ ჩვენი დამოკიდებულება დიამეტრალურად შეიცვალა. სოკოებივით მომრავლდა კერძო თუ საფირმო სახერხები, თონეები შეშაზე. არც კასპის რაიონია ამ მხრივ გამონაკლისი. გაუთავებლად მოედინება ასწლოვანი წიფლისა თუ ნაძვის მორებით დატვირთული სამხიდიანი ავტომანქანები. სოფელ ახალქალაქისა და გარიყულას გზის გასაყარზე, ბოგირთან, დგას ადგილობრივი მკვიდრის, თვითნასწავლი მოქანდაკის, დავით ნავროზაშვილის მიერ უანგაროდ შესრულებული, წმინდანი მღვდელი თევდორეს ბიუსტი. სწორედ ამ ბიუსტის წინ ჩაივლიან, იმ ტყეში მოჭრილი მორებით დატვირთული მანქანები. ბედის დაცინვაც ამას ჰქვია.

რაიონის კიდევ ერთი მშვენებაა რკონის ხეობაში არსებული ღვთისმშობლის ისტორიული კომპლექსი. იგი მთლიანად ტყეშია ჩაფლული და გვერდზე მდინარე თეძამი ჩაუდის. ხის მოჭრა აქ ცოდვად ითვლება და ტყე სანიმუშოდ არის დაცული. გადაბერებული ეგზემპლარებიც კი ხელუხლებელია. ძალაუნებურად გახსენდება, შოთა რუსთაველის მიერ, საუკუნეების მიღმა ნათქვამი — „შიში შეიქმს სიყვარულსა“, იქ სადაც შიში არ იგრძნობა და მეფობს დაუსჯელობის სინდრომი, არც სიყვარულია და ტყეც ხელაღებით ნადგურდება. გულსატკენია, გყავდეს ვაჟა-ფშაველა, არ იცნობდე მის შემოქმედებას, ერთხელ მაინც არ წაგეკითხოს მისი „ხმელი წიფელი“ და ისე ბარბაროსულად ექცეოდე იმ ბუნებას, რომელმაც შვა ეს გენია, რომელმაც აალაპარაკა და პოეზიაში ოსტატურად აამღერა ყოველი ბუჩქი და ყველა სულდგმული. დროა, უფრო ძლიერად შემოვკრათ განგაშის ზარი, საბოლოოდ გამოვფხიზლდეთ, თვალი გავუსწოროთ იმ საფრთხეს, რაც ტყეების გაჩეხვას შეიძლება მოჰყვეს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ბუნებამ შურისძიებაც იცის, თანაც საკმაოდ მკაცრი. როგორც პოეტი ბრძანებდა — „საცა პირიმზეს ახარებს, იქვე მთხრელია ზვავისა“. ამის სიმპტომები, სამწუხაროდ, უკვე არის.

**ალბერტ გულისაშვილი,**
**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.**

◎ ხიდები

# იტალიის დღეები ბევრ სიახლეს გვპირდება

**საქართველოსა და იტალიის კულტურული ურთიერთობები ოდითგანვე ილეწს სათავეს. ამჟამად ეს ძველი მეგობრობა თანდათანობით აღდგა და ამაში დიდი წვლილი მიუძღვის იტალიის საელჩოს საქართველოში.**

გუშინ იტალიის ელჩმა საქართველოში ფაბრიციო რომანომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ წლეულს პირველად თბილისში გაიმართება იტალიის დღეები, რომელიც, ფაქტობრივად, შარშან, წლის ბოლოს წამოწყებული კულტურული ღონისძიებების გაგრძელებაა. იტალიელების ფერწერა, ხელოვნება, მუსიკალური საშემსრულებლო კულტურა ქართველ მსმენელსა და მაყურებელს ნამდვილად აინტერესებს. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ იტალიაშიც კარგად იცნობენ ქართულ კულტურას, კინოხელოვნებას – ოთარ იოსელიანის ფილმებს და სხვა... ასე რომ, ქართულ-იტალიური კულტურული ურთიერთობები სულ უფრო ფართოვდება. ამაში დიდად გვეხმარება საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, პირადად მინისტრის მოადგილე ნიკა ვაჩეიშვილი, მისი ძალისხმევით ხდება იტალიის ხელოვნების იმპორტი საქართველოში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში უკვე გაიმართა გამოჩენილი იტალიელი მეცნიერის ალფონსო რუბინოს კონფერენცია თემაზე: „საერთაშორისო კოდექსები პალეოქრისტიანული ეკლესიების არქიტექტურაში, საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიაზე“. 14 მარტიდან 25 მარტამდე თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლაშიძ გაიმართება იტალიელი ფოტოხელოვანის პიერლუიჯი პრატურლონის ფოტოგამოფენა. კონსერვატორიაში 13 მარტს მსმენელი იტალიელი ორღანისტის კლაუდიო ტერმინის კონცერტს დაესწრება. ასევე ჯუზეპე ტელ გრეკოს გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა მოეწყობა თბილისის ისტორიის მუზეუმში 28 მარტიდან 6 აპრილის ჩათვლით. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში კი 1 აპრილს მაყურებელი ნახავს ჯუზეპე ვერდის „ბალ-მასკარადს“.

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ნიკა ვაჩეიშვილმა პრესკონფერენციაზე თქვა, რომ: წლეულს აღდგება ის ოთხწლიანი ხელშეკრულება, რომელიც იტალია-საქართველოს კულტურული ურთიერთობების ფართო სპექტრს მოიცავს. კონკრეტულად ამ ხელშეკრულებით განისაზღვრება ორი ქვეყნის – იტალიისა და საქართველოს ვალდებულებები, ფინანსური მხარდაჭერა.

გათვალისწინებულია საქართველოში ფართოდ დაინერგოს იტალიელი სპეციალისტების გამოცდილება ძეგლების რესტავრაციის საქმეში და გაიხსნას იტალია-საქართველოს სარესტავრაციო სკოლა (სამხატვრო-აკადემიის ბაზაზეძ და სხვა.

მახარებს, რომ საქართველოში გაზაფხულს იტალიის კულტურის დღეებით ვხვდებით. ეს ბევრ სიახლეს გვპირდება და ამ ორი ქვეყნის მეგობრობის გზაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, – აღნიშნა ნ. ვაჩეიშვილმა.

**ლალი ნათიშვილი**

◎ ყურადსაღები განსჯა

# „თვითმმართველობა“ საარჩევნო კოდექსის თვალთახედვით

**კანონმა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოში ამ სისტემის ჩარჩო პრინციპები და სისტემური მოწყობის კონტურები განსაზღვრა. ახლა საკითხავი ის არის, როგორ დაამუშავა კანონმდებელმა საარჩევნო კოდექსში ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების მარეგულირებელ ნორმათა კომპლექსი. გაუგებარი იქნებოდა, რომ ამ ორ საკანონმდებლო აქტს შორის, სწორედ ამ ნაწილში, საქართველოს საარჩევნო სამართალში დამკვიდრებული „ჰარმონია“ არ იყოს დაცული და კიდევ უფრო უცნაური იქნებოდა საკანონმდებლო უმრავლესობა საარჩევნო კოდექსში დამკვიდრებული ერთპარტიული სახელმწიფოს კურსის განმტკიცებას რომ არ გაჰყოლოდა. ასეც მოიქცა, საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების სახით, თვითმმართველობის რეფორმის „სტრატეგიული“ მიზანი სწორედ ქართულ საარჩევნო სამართალში გაბატონებული ერთპარტიული ბუნებით არის განპირობებული.**

აღნიშნულის საილუსტრაციოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებულ რამდენიმე მნიშვნელოვან არგუმენტს მოვიშველიებთ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირება, როგორც წესი, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ხორციელდება, ხოლო პროპორციული არჩევნები საერთოდ იშვიათობაა, მით უფრო შერეული სისტემის ფარგლებში, როგორც უმრავლესობის განმსაზღვრელი ფაქტორი. საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებებიდან სწორედ პროპორციული და მაჟორიტარული მანდატების პროპორცია იქცევს ყურადღებას. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის თანახმად, თვითმმართველი ქალაქის საკრებულოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება პროპორციული სისტემით არჩეული ათი და მაჟორიტარული წესით არჩეული ხუთი წევრით (მუხლი 21-2ძ, ხოლო მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროპორციული წესით არჩეულ ათეულთან ერთად, მუნიციპალიტეტში შემავალი ყოველი თემიდან მაჟორიტარული წესით არჩეული თითო წევრი შეადგენს.

თვითმმართველი ქალაქის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფორმირების წესი, როცა ამ უკანასკნელში მაჟორიტარული წესით მოპოვებული მანდატები ათზე ნაკლები იქნება, პროპორციული წესით ასარჩევი მანდატების რაოდენობა საკრებულოში ერთპარტიული უმრავლესობის მოპოვებაზეა ორიენტირებული. გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნებულ წერილში – „ქართული კონსტიტუციონალიზმის სამოყვარულო დონე (18.11.2005ძ, თბილისის შესახებ კანონის საარჩევნო ბლოკში შეტანილი ცვლილებები გავაანალიზეთ. ახლა, როცა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების არჩევნებისთვის შემოთავაზებული წესებისა და მექანიზმების კომპლექსს ვადარებთ, თვალნათლივია შერეული საარჩევნო სისტემის ფარგლებში მნიშვნელოვანი აქცენტების გადანაცვლება: თუ თბილისში საკრებულოს უმრავლესობას მაჟორიტარული წესით არჩეული წევრები ქმნიან, ამ შემთხვევაში უმრავლესობას პროპორციული წესით არჩეული წევრები აყალიბებენ, თანაც ისე, რომ თვითმმართველი ქალაქის ეს უმრავლესობა 2/3-ს შეადგენს. ამ ორ ცვლილებას საერთო აქვს საფუძველი: ეს არის მმართველი პოლიტიკური ძალისთვის მანდატების უპირატესი უმრავლესობის მოპოვების გარანტირებული არითმეტიკული ფორმულის პრინციპი. მხოლოდ ამჯერად იგნორირებულია ევროპული ქარტიის კონცეპტუალური მოთხოვნაც ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოს „თანაბარი და თანასწორი ხმის მიცემის საფუძველზე“ (მუხლი 3-2ძ ფორმირების თაობაზე.

კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ბევრი ნორმა თუ მექანიზმი კითხვებს ბადებს, ზოგიერთ შემთხვევაში კი გარკვეულ ეჭვებსაც, რომლებზეც პასუხს საარჩევნო კოდექსში თვითმმართველობითი ორგანოების ფორმირებასთან დაკავშირებული რიგი ცვლილება-დამატებები იძლევა.

ნამდვილად გამართლებულია, რომ მაჟორიტარულ არჩევნებში გამოკლებული წევრის მონაცვლედ, მთელ რიგ ქვეყნებში ეკონომიკურობითა და მემკვიდრეობითი ნიშნით გამორჩეული „დუბლიორის“ ინსტიტუტი შემოდის ქართულ საარჩევნო სამართალში (მუხლი 126 2-1,„ბ“ძ, მაგრამ აქვე კითხვა იბადება მის ამოქმედებასთან დაკავშირებული დათქმით – **„ასეთი კანდიდატის არარსებობის შემთხვევაში მანდატი უქმდება“**. როგორც ჩანს, მორიგი არჩევნების დროს, ასეთ ოქმში უპრეტენდენტო არჩევნებთან გვქონია საქმე. მთელ რიგ ქვეყნებში, ასეთ ვითარებაში არჩევნები არ ტარდება და ერთადერთი კანდიდატი ავტომატურად ღებულობს მანდატს. არის მეორე ვარიანტიც: გამოკლებული წევრის მონაცვლე ხდება მისი მხარდამჭერი პარტიის პროპორციულ არჩევნებში წარდგენილი სიიდან რიგით შემდგომი კანდიდატი. ვფიქრობთ, რომ ორივე წინადადება იმსახურებს ყურადღებას, განსაკუთრებით მეორე, რათა საკრებულოში ოთხწლიანი უფლებამოსილებით მაჟორიტარული წესით არჩეული წევრების გამოკლების გამო ვაკანსიები არ მომრავლდეს.

მართალია, თვითმმართველობის კანონი არ გამორიცხავს პროპორციულ საფუძველზე ფრაქციის შექმნის შესაძლებლობას, მაგრამ საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, პროპორციული არჩევნების სუბიექტებად განსაზღვრულია მხოლოდ პარტიები და საარჩევნო ბლოკები, რომლებიც აგრეთვე პარტიულ სიას წარადგენენ (მუხლი 118ძ. ამდენად, არაპარტიულ საფუძველზე ფრაქციები შეიძლება მხოლოდ მაჟორიტარული წესით არჩეული წევრებისგან შეიქმნას, მაგრამ ეს დაშვება ილუზიათა კატეგორიას განეკუთვნება. ასეთი შეზღუდვებით სამართლებრივ სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოებას არ აშენებენ. ესეც არ იყოს, ქვეყანაში დამკვიდრებული ერთპარტიული პოლიტიკური სისტემის შედეგად შექმნილი რეჟიმის ადგილებზე გადატანა, არა მგონია ჭეშმარიტი თვითმმართველობისთვის მომგებიანი აღმოჩნდეს.

საქართველოში, მმართველი პარტია ყოველთვის აქტიურად იყენებდა არჩევნების ადმინისტრირების შესაძლებლობებს, განსაკუთრებით საკანონმდებლო რეგულირების ნაწილში. საკანონმდებლო უმრავლესობამ, ამჯერად უკვე საკრებულოების ბიუროებშიც უმრავლესობის მოსაპოვებლად კეთილსასურველი „სამართლებრივი“ სივრცე შეუქმნა მას. თვითმმართველი ერთეულისა და საკრებულოს ხელმძღვანელად გამოცხადებული საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოში უბრალო უმრავლესობის მხარდაჭერის შემთხვევაშიც, ერთმმართველის კომპეტენციით აღიჭურვება: მისი უფლებაა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელება და თუნდაც რვა მანდატის მფლობელი უმრავლესობის ლიდერი – საკრებულოს თავმჯდომარე ფლობს ყველა ბერკეტს არა მხოლოდ მის დასამტკიცებლად, არამედ გამგებლის (მერიისძ თანამდებობაზე სასურველი კანდიდატურის გასაყვანადაც.

საერთოდ, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ კანონში ექსპერიმენტის სახით დამკვიდრებული მმართველი პარტიის სასარგებლოდ მანდატების დანაწილების გარანტირებული ბალანსის სისტემა ახლა უკვე ყველა დონის არჩევნებზე ვრცელდება და უკეთეს შემთხვევაში, ოპოზიციის ფიზიკური არსებობის უფლებაზეა მხოლოდ გათვლილი. რეალობა კი ისეა „დაგეგმილი“, რომ ოპოზიციურმა ძალებმა სასწაულებრივ, საკრებულოს სრული შემადგენლობის მესამედი მანდატებისათვის საჭირო ხმები რომც მოიპოვონ, მათი უფლებამოსილებების პერსპექტივა საარჩევნო სისტემაში ჩადებული უსამართლო გადანაწილების ე. წ. პროპორციული ფორმულით არის დაბლოკილი.

ერთობ უცნაურად გვეჩვენება პროპორციული (მუხლი 123-4ძ და მაჟორიტარული (მუხლი 124-2ძ არჩევნების დროს სუბიექტების მიერ ხმების თანაბრობის შემთხვევაში უპირატესობის მიკუთვნება საოლქო კომისიაში რეგისტრაციის თარიღის ან სულაც განსხვავებული დროით – საათების მიხედვით. მაჟორიტარ კანდიდატს დასამშვიდებლად მონაცვლის პერსპექტივა მაინც რჩება, ხოლო პროპორციული არჩევნების სუბიექტი, ბოლომდე გაუაზრებელი ნორმის გამო შეიძლება დაისაჯოს. არჩევნებს პროპორციული იმიტომ ჰქვია, რომ ყოველ სუბიექტს მოპოვებული ხმების პროპორციულად ეკუთვნის მანდატები. სხვა ნაკლოვანებებიც რომ არ ახლდეს შემოთავაზებულ სისტემას, საკითხი აქაც მარტივად გადაწყდებოდა.

თანაბარი ხმების დაგროვების პირობებში, რეგისტრაციის რიგითობის უპირატესობის იდეა კიდევ უფრო მეტ გაუგებრობას იწვევს პროპორციული არჩევნების დროს წარმოქმნილ ერთ შესაძლო ვითარებასთან დაკავშირებით. კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად (მუხლი 123-4ძ, **„თუ 2 ან მეტი პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა თანაბარი აღმოჩნდება, მანდატი მიეკუთვნება იმას, რომელმაც საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია“**. მოცემული ნორმა კარგად იკითხება, მაგრამ მისი დაუსრულებელი ფორმულა დაუმსახურებელ სასჯელს უქადის ბევრ საარჩევნო სუბიექტს. განვიხილოთ ასეთი მაგალითი: 5-პროცენტიანი ბარიერი დაძლია ხუთმა სუბიექტმა, რომელთაგან პირველმა სამმა სხვებზე მეტი, მაგრამ ხმების თანაბარი რაოდენობა მოიპოვა. მოცემული ნორმის ლოგიკით, სამიდან ის ერთი მოიპოვებს მანდატებს, რომელმაც საოლქო საარჩევნო კომისიაში უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია და ორი სუბიექტი, რომლებმაც სამეულზე ნაკლები ხმები მოიპოვეს.

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 51.**

იხ. მე-14 გვ.

◎ ინფორმაცია

## სამტრედიაში ინდივიდუალური გამრიცხველიანება დაიწყო



„საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ“ სამტრედიაში აბონენტთა ინდივიდუალური გამრიცხველიანება დაიწყო. 16 აბონენტს უკვე დაუმონტაჟდა და ჩაერთო უახლესი ელექტრომრიცხველი, რაც მათ საშუალებას მისცემს ინდივიდუალურად გადაიხადონ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური. უახლოესი თვეების განმავლობაში საერთო ჯამში 9 000 მომხმარებლის გამრიცხველიანება მოხდება, რაც უზრუნველყოფს აბონენტთა აღრიცხვის კვანძების სრულ რეაბილიტაციას და მოხმარებული ელექტროენერგიის ზუსტ აღრიცხვას. მომხმარებელთა გამრიცხველიანება და მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის სრულად გადახდა მათი სტაბილური ელექტრომომარაგების გარანტია იქნება. პარალელურად, მოხდება ქალაქის ელექტროქსელის გაწმენდა არალეგალურად გადაყვანილი ხაზებისაგან.

## შეიქმნა დამოუკიდებელი საინფორმაციო სააგენტო

სამხრეთ ოსეთში დამოუკიდებელი საინფორმაციო სააგენტო გაიხსნა. ამის შესახებ განცხადება ამ სააგენტოს რედაქტორმა ანატოლი ჟაჟიევმა გააკეთა. მისივე სიტყვებით სააგენტოს შექმნის ერთადერთი მიზანი სამხრეთ ოსეთსა და მის ირგვლივ მომხდარი მოვლენების ობიექტურად გაშუქებაა. სააგენტოს კოლექტივში არც ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი არ შედის. თავად ჟაჟიევი კი სამხრეთ ოსეთის ცნობილი ჟურნალისტია, რესპუბლიკის კოსტა ხეთაგუროვის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროზაიკოსი და დრამატურგი.

## ოპოზიცია ზურაბ ანთელიძეს ადანაშაულებს

მემარჯვენე ოპოზიცია საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ანთელიძეს უპასუხისმგებლობაში ადანაშაულებს.



როგორც მემარჯვენეების წარმომადგენელმა დავით საგანელიძემ პლენარულ სხდომაზე განაცხადა, მემარჯვენე ოპოზიციის სახელზე ანთელიძეს წერილი გაეგზავნა, თუმცა პასუხი არ გაუცია.

ჩვენ მოგვმართეს იმპორტიორებმა, რომელთა ტვირთი რამდენიმე თვეა საბაჟო დეპარტამენტშია დაკავებული. მოვითხოვ, პარლამენტის შესაბამისმა კომიტეტებმა მოიწვიონ ანთელიძე და მისი უპასუხისმგებლობის საკითხი განიხილონ. და გავარკვიოთ, საერთოდ რა ხდება საბაჟო დეპარტამენტში, – განაცხადა საგანელიძემ.

საგანელიძის განცხადებას ნინო ბურჯანაძე გამოეხმაურა.

კატეგორიულად მოვითხოვ მთავრობის ყველა წევრისაგან, პასუხი გასცენ კანონით დადგენილ ვადებში დეპუტატების დასმულ შეკითხვებს. არა მგონია, ასეთი დამოკიდებულება პოლიტიკური პროცესების განვითარებას ხელს უწყობდეს, – განაცხადა ბურჯანაძემ.

ჯი-ეიჩ-ენი.

◉ დედაქალაქი

# განუკითხაობა თბილისის ქუჩებში

**სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება ქალაქის გენერალური გეგმის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია**

**პირდაპირ საქმით დავიწყოთ.**

**თბილისი ურთულესი, საოცრად ლამაზი, მაგრამ ურთულესი რელიეფის მქონე ქალაქია. ასეთ პირობებში, მსოფლიოს დიდი ქალაქების მსგავსად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საგზაო მოძრაობის სწორ, გონივრულ, რაციონალურ ორგანიზაციას.**

**სამწუხაროდ, ტრანსპორტის განუკითხავად მომრავლებამ, ფეხით მოსიარულეთა ელემენტარული საგზაო წესების უცოდინარობამ ეს პრობლემა კიდევ უფრო დაამძიმა.**

აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ დედაქალაქში როგორც ახალი შენობების აგებისას, ისე ძველი უბნების რეკონსტრუქციისას, ტრანსპორტის მოძრაობის რეგულირების საკითხს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა.

მაგალითისთვის ერთ ახალ ფაქტს დაგისახელებთ: თბილისის გულში, ცეკავშირის შენობის გვერდით, ლადო გუდიაშვილის ქუჩის გასწვრივ, ამჟამად დანგრეულ ლომბარდის უსახური შენობის ადგილზე ახალი (ალბათ უზარმაზარი) ნაგებობის წამოჭიმვას აპირებენ. ყველას კარგად გვახსოვს, რომ ამ პატარა, ვიწრო ქუჩაზე, თავისუფლების მოედნიდან ცეკავშირის შენობის შემოვლით რის ვაივაგლახით უხვევდნენ და რუსთაველის პროსპექტზე ამოდიოდნენ ტროლეიბუსები, ავტობუსები და სამარშრუტო ტაქსები. ამის გარდა, ეს ქუჩა წარმოადგენს ბარათაშვილის ქუჩიდან მომავალი კერძო ტრანსპორტის რუსთაველზე (თავისუფლების მოედნის გვერდის ავლით) ერთ-ერთ მთავარ ამოსასვლელს.

სწორედ ახლა, ლომბარდის ძველი შენობის დანგრევის შემდეგ, ზედმიწევნით ხელსაყრელი მომენტი შეიქმნა ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად. ქალაქის ხელმძღვანელობამ და არქიტექტურის საქალაქო სამსახურმა საამისოდ უნდა გამოიყენოს ჯერ კიდევ აუშენებელი შენობის მიმდებარე ტერიტორია და მის ხარჯზე, ეს ამოსასვლელი ქუჩა, სულ რაღაც 5-6 მეტრით მაინც გააფართოოს. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინათ, რუსთაველის პროსპექტის №1 სახლის აშენებისას, ამ ვიწრო ქუჩის გაფართოების პერსპექტივით, საგანგებოდ დატოვეს თავისუფალი ადგილი.

რა თქმა უნდა, მაშინდელი ჩანაფიქრის აღსასრულებლად უნდა გადაისინჯოს ასაშენებელი სახლის (ჯერ მხოლოდ საძირკვლის ორმოა გათხრილი) პროექტი და აუცილებლად გამოვიყენოთ ამ უბანზე ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების ერთადერთი შესაძლებლობა.

**თუმცაღა, ჩვენს პროფესიულ შეგონებას მოჰყვება კი დადებითი შედეგი?**



**წლების განმავლობაში თბილისის მოუშუშებელი ჭრილობა სწორედ ის არის, რომ სპეციალისტებს და დედაქალაქის ჭეშმარიტ გულშემატკივრებს არავინ გვისმენს. შედეგიც სახეზეა.**

ჯერ კიდევ 1971 წელს მე გულწრფელად გავაკრიტიკე ვერაზე, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის (მაშინდელი კინო-საკონცერტო დარბაზის) მშენებლობა, რადგანაც ჯეროვნად არ იყო გათვალისწინებული უბნის ავტოტრანსპორტით გადატვირთვის პრობლემები. მაშინ საგანგებო ბროშურაც ვაახლე ქალაქის მთავარ არქიტექტორსა და ფილარმონიის თანამედროვე უნიკალური ნაგებობის ავტორს, ცნობილ ხუროთმოძღვარს ივანე ჩხენკელს. ბროშურის დასახელება ასე იკითხებოდა: **„პარიზის მაგალითზე ქ. თბილისში ტრანსპორტის მოძრაობის პრობლემების შესახებ“.**

ბროშურის გაცნობის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციაში მობრძანდა ბატონი ივანე ჩხენკელი და წარმოგვიდგინა ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის მშენებლობის დამთავრების შემდეგ ამ უბანზე ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების წინადადებები.

რაც არ უნდა საკვირველი იყოს, 35 წლის წინათ წარმოდგენილი წინადადებები აქტუალურია დღესაც. განსაკუთრებით გულდასაწყვეტი კი ის გახლავთ, რომ ამ წინადადებათა უმრავლესობა არ განხორციელდა და დღეს უბნის სატრანსპორტო ბუმისგან, გაუთავებელი „საცობისგან“ განთავისუფლება ისევ დილემად გვაწევს კისერზე.

რაც მაშინ, XX საუკუნის 70-იან წლებში გაკეთდა, დღესაც დიდ შეღავათს გვაძლევს. მელიქიშვილისა და კოსტავას (მაშინდელი ლენინის) ქუჩებზე ტევადი მიწისქვეშა გადასასვლელები თითქმის 30 წელიწადია ემსახურება თბილისელებს. განსაზღვრული იყო აგრეთვე რუსთაველის პროსპექტიდან ვაკე-საბურთალოს და რკინიგზის ვაგზლის მიმართულებით შენობათა დიდი ნაწილის აღება და ნიკო ნიკოლაძის ქუჩიდან სოფლის მეურნეობის სამინისტრომდე პარალელური ქუჩის გაყვანა. ბუნებრივია, გამოჩენილი არქიტექტორის ეს პროექტი ძალიან მოეწონათ სახავტოინსპექციის საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სპეციალურ სამსახურში. დედაქალაქის მერიამ მაშინ მოახერხა კიდეც ნიკოლაძის ქუჩიდან სამი და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან ლენინის ქუჩაზე ოთხი პატარა სახლის აღება. იგეგმებოდა ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის ვერის პარკის სიღრმეში „გადაჩოჩება“. დიახ, შენობის უმტკივნეულოდ გადაწევა მიღებულია თანამედროვე საინჟინრო პრაქტიკაში.

სამწუხაროდ, კარგად დაწყებული საქმე აღარ გაგრძელებულა. სამაგიეროდ, შესანატრი ენთუზიაზმით გაგრძელდა ამ უბნის გადატვირთვა და რის ვაი-ვაგლახით გამონთავისუფლებულ ადგილებზე უზარმაზარი, მრავალსართულიანი ნაგებობები წამოიმართა. ასე გაჩნდა, მაგალითად, კოსტავას ქუჩაზე (აშკარა ანგარებით, გაუაზრებლად დამტკიცებული პროექტით) სასტუმრო „ვარაზი“, რომელმაც საბოლოოდ დაასამარა ტრანსპორტის განმტვირთავი პარალელური გზის მშენებლობა. ბუნებრივია, ძირითადად ამიტომაც არის, რომ ვერის უბანი იმთავითვე მკვდრადშობილი ე. წ. სატრანსპორტო „ბერმუდის სამკუთხედის“ ამარა დარჩა და ხსნის გზა თითქმის არსაიდან ჩანს.

**ეს კონკრეტული მაგალითი იმიტომ მოვიტანე, რომ თითოეულ თბილისელს, დედაქალაქის ახალ ხელმძღვანელობას, არქიტექტურის სამსახურის თავკაცებს შევახსენო, რომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება ქალაქის გენერალური გეგმის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია და მხოლოდ ტრანსპორტის სპეციალისტებთან მოთათბირებით თუ შეიძლება ამ ურთულესი პრობლემის გადაწყვეტა.**

სჯობს გვიან, ვინემ არასდროსო, — ნათქვამია. ჩემი ღრმა რწმენით, არქიტექტორ ივანე ჩხენკელის და ქალაქის მაშინდელი ხელმძღვანელობის მიერ მოწონებული პროექტი დღესაც აქტუალურია და მისი აღსრულება ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიის, კოსტავას ქუჩის განტვირთვის უალტერნატივო საშუალებაა. ეს წინადადება ღირს დაფიქრებად და განსახორციელებლად.

ბოლოს, როგორც თბილისის ძველმა გულშემატკივარმა, აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ წარმოუდგენელია დედაქალაქის გეგმაზომიერი განაშენიანება და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, **თუ სასტუმრო „ვარაზის“ მსგავსი პროექტების გამცემ კონკრეტულ პიროვნებებს მკაცრად არ მოვთხოვთ პასუხს. მაინც, რა გვემართება? — სად გაგონილა ამდენი პროექტის დარღვევით, უკანონო, უგემოვნო და ხალხის სასიცოცხლო ინტერესებთან შეუსაბამო მშენებლობა?**

**ეს განუკითხაობა უნდა დამთავრდეს!**

მე მაინც ოპტიმისტი ვარ. იმისიც მჯერა, რომ დედაქალაქის მერია და არქიტექტურის განახლებული საქალაქო სამსახური სრული პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ჩვენი დროის ამ საჭირბოროტო საკითხებს და დედაქალაქის საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის პრობლემებს თანმიმდევრულად გადაწყვეტენ.

**გიორგი ხაზარაძე,**
**საქართველოს ავტომოყვარულთა კავშირის თავმჯდომარე,**
**საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი**

◉ ინფორმაცია

## გუდაური-კობის მონაკვეთზე ავტობუსების მოძრაობა თავისუფალია

**მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური - კობის მონაკვეთზე მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ზვავდამცავი გვირაბების გავლით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.**

**გზის დანარჩენ მონაკვეთში ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.**

## ცხინვალში გზების მშენებლობა იგეგმება

**თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის კაპიტალური და საგზაო მშენებლობის სამინისტრომ ამ მიზნით ახალი საგზაო ტექნიკა, კერძოდ, სამი ბულდოზერი, 2 გრეიდერი და ერთი ექსკავატორი შეისყიდა.**

**„ჩვენი უწყების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, მისი ფუნქციები გაიზარდა. საგზაო ტექნიკის შესყიდვა საშუალებას მოგვცემს საგზაო მშენებლობა როგორც ცენტრში, ასევე პერიფერიებში უფრო მაღალ დონეზე განვახორციელოთ“, — განაცხადა დე-ფაქტო საგზაო მინისტრმა რუდოლფ ცხოვრებოვმა.**

## გარემოს დაცვის სამინისტრო აუქციონს აწყობს

**გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ხეტყის დასამზადებელი ლიცენზიების მოსაპოვებლად აუქციონს აწყობს.**

**აუქციონზე ოდიშისა და ცაგერის სატყეო მეურნეობების ტყეკაფებს გამოიტანენ, რომელთა საერთო ფართი 220,5 ჰექტარია.**

**ლიცენზიების საწყისი ფასი 847- 27 266 ლარს შეადგენს.**

**განცხადებების მიღება 28 მარტს დასრულდება, აუქციონი კი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში 13 აპრილს გაიმართება.**

**ჯი-ეიჩ-ენი.**

◉ დროის პრობლემა

# ქალაქთმშენებლობის კრიზისი საქართველოში და მისი დაძლევის გზები

**ქალაქთმშენებლობა საქართველოში, განსაკუთრებით საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში ხასიათდება მწვავე კრიზისული პროცესით და დასახლებული ადგილების განაშენიანების მოუწესრიგებლობაში ვლინდება.**

**ეს შედეგი გამოწვეულია ქალაქთმშენებლობითი და ქალაქგეგმარებითი პრინციპების უგულებელყოფით. დასახლებული ადგილების განაშენიანებაში ის იწვევს ქაოსს, ძნელად გამოსასწორებელ შეცდომებს და საყოფაცხოვრებო პირობების დისკომფორტს.**

**ქალაქთმშენებლობის კრიზისი შეინიშნება საქართველოს ყველა ქალაქში, ხოლო განსაკუთრებით — თბილისში. აქ წლების განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა მშენებლობა, ძირითადად, თავისუფალ ტერიტორიებზე, ყალიბდებოდა შედარებით დამოუკიდებელი საცხოვრებელი რაიონები და მიკრორაიონები. ქალაქთმშენებლობის პრაქტიკაში აღინიშნება განაშენიანების უსახურობა, ერთგვაროვნება, გარემოს ორგანიზაციის დაუმთავრებლობა, უყურადღებოდ მიტოვებული საცხოვრებელი ტერიტორიები.**

გარემოს მოუწესრიგებლობა გაძლიერდა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც, როცა წინა პლანზე წამოიწია მოქალაქეთა „სოციალური დაკვეთის“ რეალიზაციის აუცილებლობამ. რადგანაც ინდივიდუალურმა ბინათმშენებლობამ მასობრივი ხასიათი მიიღო, თბილისის ძველი უბნების რეკონსტრუქციის რეალური საშუალება გაჩნდა.

თბილისის ბინათმშენებლობის ამჟამინდელ პრაქტიკაში ხშირად გვხვდება მაღლივი შენობების უხეშად, უმასშტაბოდ ჩართვის ფაქტი. ასეთი ნაგებობები ქმნიან მხატვრულ-ესთეტიკურ დისკომფორტს, ზრდიან განაშენიანების და მოსახლეობის სიმჭიდროვეს. ამის მრავალი მაგალითია დედაქალაქის ცენტრში, — ვაკის და ვერეს რაიონებში.

დამკვიდრდა საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ე. წ. წერტილოვანი მშენებლობის მანკიერი პრაქტიკა. მათი პროექტები იხილებოდა და მტკიცდებოდა მიმდებარე ტერიტორიების დეტალური დაგეგმარების პროექტების გარეშე, რომელთა დამუშავება ჩვენი უსახსრობის პირობებში ვერ ხერხდებოდა.

ამიტომაც, თანამედროვე პირობებში ცალკეული შენობების პროექტების განხილვა-დამტკიცებისთვის უკვე ხორციელდება ისეთი პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს გამარტივებული სახის „დეტალური დაგეგმარების სქემების შედგენას, სადაც წარმოდგენილი იქნება მთლიანი საპროექტო ტერიტორიის (კვარტალის, მიკრორაიონის) განაშენიანების ქალაქთმშენებლობითი განვითარების სტრუქტურა (შესანარჩუნებელი და პერსპექტიული შენობების მოცულობის სქემატური ჩვენებით, მისაღები სართულიანობის განსაზღვრით, საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების მოსაზრებებით). ამ „სქემების“ შედგენისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრისთვის კი საჭიროა დამუშავდეს და დამტკიცდეს სათანადო ინსტრუქცია.

განსხვავებული ქალაქთმშენებლობითი პოზიციები ისახება ქალაქების ისტორიული რაიონების რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის ჩასატარებლად. აქ უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის შენარჩუნება: ძეგლების აღდგენა-გამაგრება, ისტორიულად ღირებული შენობა-ნაგებობების და ურბანული გარემოს მოვლა-პატრონობის არა მარტო შენარჩუნების, არამედ, რაც მთავარია, მათი გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელება.

ისტორიული რაიონების რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის ჩასატარებლად ერთ-ერთ რეალურ საშუალებად მიგვაჩნია: კერძო ინვესტორების (ფირმების) მოზიდვა ამ ღონისძიებების განსახორციელებლად, მათთვის საგადასახადო შეღავათების დაწესება, ქალაქის სხვა უბნებში მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით გამოყოფა (მიყიდვა) მაღლივი საბინაო მშენებლობისათვის, როგორც კომპენსაცია ისტორიულ რაიონებში ფინანსურად არამომგებიანი, შეზღუდული (დაბალი) სართულიანობის მშენებლობისათვის და საშუალება მოსახლეობის ნაწილის გადმოსახლებისა ახალ რაიონებში მათი სურვილების გათვალისწინებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მიზანშეწონილია სათანადო ფონდის შექმნა, რომელიც ფინანსური უზრუნველყოფის რეალურ საშუალებას შექმნის, უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს მიერ მსოფლიო ბანკიდან სოლიდური კრედიტის აღება დაზიანებული შენობების აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების ჩასატარებლად. და კიდევ: შეურიგებელი ბრძოლა კორუფციასთან, რომლის არსებობა დამატებით სიძნელეებს ქმნის საპროექტო-სამშენებლო საქმიანობაში და დიდ ფინანსურ დანახარჯებს განაპირობებს.

თანამედროვე პრინციპების გათვალისწინებაა საჭირო იმ ტერიტორიებისთვის, სადაც ხდებოდა ტიპობრივი პროექტებით („ხრუშჩოვ-

იხ. მე-7 გვ.

◉ დროის პრობლემა

# ქალაქთმშენებლობის კრიზისი საქართველოში და მისი დაძლევის გზები

(მეექვსე გვერდიდან)

კებით“ძ მასობრივი განაშენიანება, მათი შეცვლა თანამედროვე შენობებით. ეს მოითხოვს ახალი თაობის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების დაპროექტებას. აქ მნიშვნელოვანია პროექტირებისას გამოყენებული იყოს უნიფიცირებული სამშენებლო ნაკეთობები. სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების დაპროექტება უნდა ხდებოდეს ერთიანი ნორმატივების, ტიპიური კონსტრუქციული ელემენტებისა და კვანძების გამოყენებით, რომელთა დამზადებისათვის შესაქმნელია სამშენებლო ბაზები. ერთიანი ინდუსტრიული სამშენებლო ნაკეთობების შექმნით და შესაბამისი კატალოგის შედგენით დაინერგება ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც გათვალისწინებს კონსტრუქციული და ტექნოლოგიური სისტემების დამუშავების ცენტრალიზაციას და კონკრეტულ (ინდივიდუალურძ პრაქტიკულ გადაწყვეტათა (პროექტებისძ დამუშავების დეცენტრალიზაციას.

მოსახლეობის რაციონალური განსახლებისთვის და გეგმაზომიერი ქალაქთმშენებლობის პოლიტიკის გატარებისთვის საჭიროა დასახლებული ადგილების ახალი თაობის „ გენერალური გეგმების პროექტებით“ უზრუნველყოფა, სადაც საბაზრო ეკონომიკის გათვალისწინებით კომპლექსურად უნდა წყდებოდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ქალაქთმშენებლობითი ამოცანები. ამავე დროს, რადგან ჯერჯერობით გაურკვეველია დასახლებული ადგილების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამები და რეალური საინვესტიციო მაჩვენებლები, „გენერალური გეგმების პროექტების“ დამუშავება მომავლის ამოცანად გვესახება. უახლოესი (10-15 წლამდეძ პერიოდისთვის კი ქალაქთმშენებლობის რეგულირებისა და მმართველობითი პროცესების განსახორციელებლად მიზანშეწონილია დამუშავდეს და დამტკიცდეს დასახლებული ადგილების „გენერალური გეგმების სქემები“, რომლებიც შედარებით გამარტივებული შინაარსის დოკუმენტებს წარმოადგენენ. ამიტომ გადასადგმელია ენერგიული ნაბიჯები ასეთი „სქემების“ დამუშავებისა და დამტკიცების უზრუნველსაყოფად.

ამ „გენერალური გეგმების სქემების“ შედგენისთვის საჭიროა სათანადო ინსტრუქციის დამუშავება, რომელიც საფუძველი იქნება მათი მოცულობის, შემადგენლობის, შინაარსის, ღირებულების და სხვა სამუშაოების შესასრულებლად.

ამ თვალსაზრისით ჩვენთვის გაუგებარი იყო 2004 წელს ორეტაპიანი ღია ტენდერის ჩატარება თემაზე — „ქვეყნის დასახლებათა ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამუშავება ქალაქებისთვის“ — ქუთაისი, გორი, სიღნაღი, ფოთი, ბათუმი და ქობულეთი. ამ სამუშაოების შესრულებისთვის კი საჭირო იყო, პირველ რიგში, დამტკიცებულიყო ამ დოკუმენტაციის დამუშავების, შეთანხმების და დამტკიცების ინსტრუქცია — ანუ სათანადო სამართლებრივი აქტი, რომელიც დღესდღეობით არ არსებობს. ამიტომ, მეტად გაძნელდება სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარება ტენდერში გამარჯვებული მასალებისა, რომელთა განხილვა შესაძლებელია მხოლოდ სათანადოდ დამტკიცებული ინსტრუქციის საფუძველზე. ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ ტენდერში გამოცხადებული სამუშაო არ ჯდება ჩამოყალიბებულ საპროექტო-დაგეგმარებითი სამუშაოების სისტემაში და ამიტომ გაუგებარია რომელი სტადიის დოკუმენტაციის შედგენაზეა საუბარი, ან რატომ უნდა ვიგონებდეთ ახალ სტადიებს, — განა არ გვყოფნის ძველი და ნაცადი?

გასამარტივებელია არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების და მშენებლობის ნებართვის მიღების გართულებული პროცესი, განსაკუთრებით იმ ობიექტებისთვის, რომელთა მშენებლობა გამიზნულია თბილისის ისტორიულ რაიონებში. აქ მოქმედებს უფლებრივი ზონირების რუკები, სადაც დადგენილია განაშენიანების ინტენსიობის კოეფიციენტები (K-1, K-2), რომლებიც სხვადასხვა ზონებში არსებული განაშენიანების სიმჭიდროვეს და საშუალო სართულიანობას აფიქსირებს. ეს თავისთავად წარმოადგენს ინტერესს და მას აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ამავე დროს იგნორირებულია ამავე ზონებში განაშენიანების ინტენსიობის კოეფიციენტების გასაზღვრა პერსპექტიული მშენებლობისათვის, სადაც დადგენილი უნდა ყოფილიყო დასაშვები (ოპტიმალურიძ სართულიანობა. ეს კი ისტორიულ რაიონებში რეაბილიტაციის და რეკონსტრუქციის საშუალებებს განაპირობებს.

ცალკე პრობლემას წარმოადგენს ისტორიულ ზონებში ასაშენებელი ობიექტების საპროექტო წინადადებების განხილვის პროცესი.

**არქიტექტურის საქალაქო სამსახურების ყოფილმა ხელმძღვანელებმა თავისი არაკომპეტენტურობით ან პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, გადაუ-**




**ლოცეს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტს ასაშენებელი ობიექტების განხილვა-შეთანხმება, მაშინ როცა ეს პროცესი მათ პრეროგატივას წარმოადგენდა.**

შეიქმნა სიტუაცია, როცა არქიტექტურული ობიექტების შეფასება მიენდო ძირითადად ხელოვნებათმცოდნეებს, თუმცა, მათ შორის კანტი-კუნტად არქიტექტორებიც მონაწილეობენ. **მივიღეთ ის, რაც მოსალოდნელი იყო: სუბიექტური მოსაზრებებით გაჯერებული არაპროფესიული მსჯელობები; ავტორების შემოქმედებითი ჩანაფიქრების მიუღებლობა; რეცენზენტების დასკვნების გაუთვალისწინებლობა-იგნორირება; ერთ დღეში 15-17 პროექტის განხილვა და საბოლოოდ საეჭვო დასკვნის მიღება; სწრაფვა ყოველგვარი ძველის შენარჩუნებისა და მტკიცება ურბანული გარემოს დაცვისა, თუნდაც ისეთისა, რომელიც არ წარმოადგენს ისტორიულ ინტერესს და მოითხოვს მის გაუმჯობესებას.**

ხშირ შემთხვევაში პროექტის ავტორი, იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ მიიღოს დადებითი დასკვნა, თავისი პროექტის საზიანოდ, ცვლის მას, აუარესებს მის არქიტექტურულ გადაწყვეტას და ეგუება იმ რეკომენდაციებს, რომელიც მიუღებელია როგორც მისთვის, ისე რეცენზენტისთვის, რომელმაც წარმოადგინა დადებითი დასკვნა.

ამ სიტუაციის გამოსასწორებლად მისასალმებელია ის ღონისძიება, რომელიც ითვალისწინებს ურბანული დაგეგმარების სამსახურთან ჩამოყალიბებული არქტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი საბჭოს ფუნქციონირებას და მის დაკომპლექტებას გამოცდილი არქიტექტორებით და სპეციალისტებით, სადაც პროექტები განიხილება უფრო პროფესიულ დონეზე.

არქიტექტურისა და მშენებლობის განვითარების პროცესი წარმოუდგენელია არქიტექტურულ-სამშენებლო მეცნიერების განვითარების გარეშე, რომელიც ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევით და ექსპერიმენტულ სამუშაოებს — პროექტირებისა და მშენებლობის სრულყოფის მეთოდოლოგიური, თეორიული და პრაქტიკული პრობლემების დამუშავებას. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს, რომელთა შედეგები სტრატეგიული მიზნების მიღწევის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. აქ კი სერიოზული სიძნელეებია დაუფინანსებლობის გამო. შეიძლება აღინიშნოს, რომ თანამედროვე პირობებში მეცნიერებას არ ექცევა სათანადო ყურადღება და არქიტექტურულ-სამშენებლო მეცნიერებაც სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

**ყოვლად დაუშვებელია არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოცხადდეს ე. წ. „მორატორიუმი“, რაც შეზღუდავს ყოველგვარ ინიციატივას და სტაგნაციაში ჩააგდებს საზოგადოებას.**

არქიტექტურა და ქალაქთმშენებლობა საზოგადოების ყოფაცხოვრების გაუმჯობესების შეუჩერებელი პროცესია, რომელიც დასახლებული ადგილების, როგორც ცოცხალი ორგანიზმების, განვითარებას და ზრდას გულისხმობს. განა შეიძლება „მორატორიუმი“ გამოუცხადდეს ცოცხალ ორგანიზმს (საზოგადოებას ან ცალკეულ ადამიანსძ, რომელიც შველას ითხოვს, სანაცვლოდ კი უყურადღებოდ რჩება. ეს გვაგონებს იმ შემთხვევას, როცა სნეული ადამიანი მიმართავს საავადმყოფოს მკურნალობის თხოვნით, იქ კი პასუხობენ, რომ „მორატორიუმია“ გამოცხადებული და დახმარებას ვერ გაგიწევთო!

შეიძლება გავიხსენოთ 60-70-იანი წლებიც, როცა თბილისის საქალაქო საბჭომ ისტორიულ უბნებში შეაჩერა, (დღევანდელი ტერმინოლოგიით — გამოაცხადა მორატორიუმიძ, მოსახლეობისთვის სამშენებლო ნებართვების გაცემაზე საკუთარი საცხოვრისის გაუმჯობესებისთვის (მიშენება, დაშენება, საცხოვრებელი ფართის გაზრდაძ. ამას მოყვა მოსალოდნელი უკანონო და უხარისხო მშენებლობები. შედეგებს დღეს ვიმკით — უმოწყალოდ ინგრევა ძველი უბნები!

ამიტომ, ძველ უბნებში სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს შენობების აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები და შენარჩუნდეს ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობა, თავისუფალ ტერიტორიებზე და უღიმღამო შენობების ნაცვლად კი აშენდეს თანამედროვე შენობები ძველი და ახალი არქიტექტურის შეთავსებადობის გათვალისწინებით.

არქიტექტურის კრიზისის დაძლევა ზოგიერთებს სხვა გზებით ესახებათ. ჩემთვის, და ვფიქრობ, ფართო საზოგადოებისთვისაც მიუღებელი იყო ისეთი ღონისძიება, რომლებიც უმსგავსო „შოუს“ წარმოადგენდა და არქიტექტორებისა და მშენებლობის შეურაცხყოფას უფრო წააგავდა, ვიდრე საქმიან ოპონირებას. რა მაქვს მხედველობაში? — ამას წინათ ხელოვნებათმცოდნეების ერთმა ჯგუფმა (ჩვენმა კოლეგებმაძ მუზეუმის დარბაზში მოაწყო თბილისის ახალმშენებლობების საჯარო ფოტოგამოფენა (მე ვიტყოდი, არცთუ ისე უინტერესოძ, სადაც მოიწვია ახალგაზრდა ხელოვნებათმცოდნეები, ჟურნალისტები, მხატვრები, პოეტები, მწერლები და სთხოვა მათ 5-ბალიანი სისტემით შეეფასებინათ შენობები მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით. დაიწერა მრავალი ერთიანი, ორიანი და ნულიანი ბალებიც კი და ეს მოხდა აშკარა არაჯანსაღი, შეურაცხმყოფელი აგრესიით და აჟიოტაჟით, რომ არაფერი ვთქვათ პროფესიული ცოდნის უკმარისობაზე.

მე და ჩემი კოლეგები გაოგნებული დავრჩით ასეთი დილეტანტური, არაპროფესიული, არაკოლეგიალური და აგრესიული დამოკიდებულებით არქიტექტორებისა და მშენებლების ნაწარმოებების მიმართ.

ჩვენს ოპონენტებს უნდა სცოდნოდათ: არქიტექტორებს და მშენებლებს რომ მოეწყოთ ანალოგიური „შოუ“ და განსახილველად გამოეტანათ ზოგიერთი პოეტის, მხატვრის, ხელოვნებათმცოდნის და ჟურნალისტის უნიჭო ნაწარმოებები, რომლებიც მრავლადაა, დაიწერებოდა უფრო დაბალი ქულები, ვიდრე არქიტექტორებისა და მშენებლების ნაწარმოებებს ერგოთ. ეს, რასაკვირველია, იქნებოდა კიდევ ერთი უზნეო აქცია, ისეთივე, როგორც „შოუს“ ორგანიზატორებმა მოაწყვეს, რომელიც მხოლოდ პროფესიათა შორის დაპირისპირებებს განაპირობებს. ეს ყოვლად დაუშვებელია.

დასასრულს, გვინდა მოკლედ ჩამოვაყალიბოთ ის ფაქტორები, რომლებმაც გამოიწვიეს საქართველოში არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობის კრიზისი და რომლის დასაძლევად საჭიროა:

**— განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ახალ არქიტექტურულ და საინჟინრო ნორმატიული და ინსტრუქციული დოკუმენტაციის დამუშავებას და დამტკიცებას — ანუ სამართლებრივი აქტების შედგენას;**

**— სახელმწიფოს მიერ დაფინანსდეს (და შესაბამისად შესრულდესძ ჩამოყალიბებული ტაქსონომიური საფეხურების მიხედვით საპროექტო-დაგეგმარებითი სამუშაოები — რაიონული დაგეგმარების პროექტები, გენგეგმები, დეტალური დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტები;**

**— გაიზარდოს საპროექტო სამუშაოების ღირებულება;**

**— ჩატარდეს ღონისძიებები მშენებლობის ხარისხის ასამაღლებლად;**

**— ჩამოყალიბდეს სამშენებლო ბაზები არქიტექტურულ-სამშენებლო კონსტრუქციების უნიფიკაციის საკითხების მოსაგვარებლად;**

**— მნიშვნელოვანი პროექტები შეირჩეს კონკურსების საფუძველზე და არ ჩატარდეს ისეთი ტენდერები, სადაც ფარულად ირჩევა საეჭვო საპროექტო წინადადებები;**

**— გამომუშავდეს მექანიზმი ინვესტორების მოზიდვის ისტორიულ ზონებში მშენებლობის ჩასატარებლად დამკვეთებისა და ინვესტორების ინტერესების გათვალისწინებით;**

**— მოგვარდეს მმართველობითი საკითხები — ანუ მენეჯმენტი, რაც ორგანიზაციული საკითხების ოპტიმალურ გადაწყვეტას განაპირობებს და საპროექტო სამუშაოების განხილვისა და დამტკიცების პროცესს გაამარტივებს;**

**— ყურადღება მიექცეს არქიტექტურულ-სამშენებლო მეცნიერების განვითარებას; დღესდღეობით, მისი დაფინანსება ნულის ტოლია;**

**— არქიტექტურულ-სამშენებლო სამსახურში დაინიშნონ გამოცდილი პროფესიონალები და ინიციატივიანი ხელმძღვანელები;**

**— არქიტექტურულ-სამშენებლო პრაქტიკაში არასოდეს გამოცხადდეს „მორატორიუმები“;**

**— გაძლიერდეს ბრძოლა კორუფციასთან, რომლის არსებობა არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში აფერხებს ქალაქთმშენებლობის კრიზისის დაძლევას;**

**— შეწყდეს არქიტექტორებისა და მშენებლების მიმართ დაუსაბუთებელი და შეურაცხმყოფელი გამონათქვამები და არ მოეწყოს უმსგავსო „შოუები“.**

ამ ღონისძიებების განხორციელება სამსახურების ხელმძღვანელებზეა დამოკიდებული. უპირველეს ყოვლისა, ისინი არიან პასუხისმგებლები იმ განუკითხაობაზე, რომელმაც გამოიწვია ქალაქთმშენებლობის კრიზისი საქართველოში.

**გივი ბერიძე,**
**ს/კ ინსტიტუტის „თბილარქთეორიის“ დირექტორი, არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი.**

◉ ინფორმაცია

## საიდან გვემუქრება ქათმის გრიპი?

**გრიპის ვირუსი თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს სამხრეთის ფედერალური ოლქიდან ემუქრება.**

**საინფორმაციო სააგენტო „იტარ ტასის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ფრინველის გრიპის შემთხვევები უკვე ყაბარდო-ბალყარეთში, თათარსტანში, დაღესტანში, ჩეჩნეთში, ყალმუხეთში, ადიღეში, ჩრდილოეთ ოსეთში, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეებშია გამოვლენილი. ამის შესახებ განცხადება საგანგებო სიტუაციების სამინისტროს ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელმა გენადი ონიშენკომ გააკეთა. მისივე განცხადებით, ქათმის გრიპის შემთხვევები აფხაზეთის ტერიტორიაზეცაა გამოვლენილი. ხელისუფლება ამ ფაქტებს მოსახლეობისგან მალავს.**

**ჯი-ეიჩ-ენი.**

## ავარია „ალავერდზე“

**სომხეთის ელექტროსისტემასთან შემაერთებელ 220-კილოვოლტიან გადამცემ ხაზ „ალავერდზე“ დღეს მომხდარი ავარიის გამო, 12.00 საათიდან, თბილისის რამდენიმე უბანს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა.**

**ელექტრომომარაგების გარეშე დარჩა დედაქალაქის ცენტრალური ნაწილი, თბილისის მეტროპოლიტენის საბურთალოს ხაზი და რამდენიმე სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტი, რომლებსაც ენერგიის მიწოდება მალევე აღუდგათ.**

## სტუდენტები აპროტესტებენ

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ყველა ფრიადოსანი სტუდენტისთვის თანაბარი ოდენობის სტიპენდიების დანიშვნას მოითხოვენ.**

**ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფილოსოფიის მიმართულების სტუდენტებმა ამ მოთხოვნით გუშინ პრესკონფერენცია გამართეს. ისინი სტიპენდიების დანიშვნის წესს აპროტესტებენ, რომლის მიხედვით, სტიპენდია ფაკულტეტის თითოეული მიმართულების მხოლოდ 12-მა სტუდენტმა უნდა მიიღოს.**

**ახალი წესის მიხედვით, სტიპენდია 17-დან 50 ლარამდე გაიზარდა, თუმცა მას უკვე ყველა ფრიადოსანი სტუდენტი ვეღარ მიიღებს, რადგან თითქმის ყველა მიმართულებაზე 12-ზე მეტი ფრიადოსანია. 12 ყველაზე წარმატებული სტუდენტის გამოსავლენად კონკურსი უნდა ჩატარდეს. სტუდენტები აცხადებენ, რომ რექტორატის ეს გადაწყვეტილება არასამართლიანია.**

## თერჯოლაში სამართალს ქალბატონები განაგებენ

**საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, თერჯოლის რაიონში ორი მოსამართლე — მერი მაისურაძე და ელენე ოსაძე იმუშავებენ.**

**იუსტიციის საბჭომ ელენე ოსაძე რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნა, მანამდე იგი თერჯოლაში ორი წელი მუშაობდა. თბილისელ მერი მაისურაძეს კი მართლმსაჯულებაში მუშაობის ხუთწლიანი გამოცდილება აქვს.**

**ორივე მოსამართლეს სასამართლო სწავლების სპეციალური კურსები საზღვარგარეთის ქვეყნებში აქვთ გავლილი.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ კონფლიქტის ზონა

# კულტურის კერა აღორძინდა

**ვისაც აქ ქართულ-ოსური კონფლიქტის წლებში გაუვლია, იმას პატარა ლიახვის ხეობის სოფელ ერედვის კულტურის სახლი და მისი ჭურვებით გადათხრილი ეზოც კარგად ემახსოვრება. თავად კულტურის სახლი როგორ გადაურჩებოდა ოს ბოევიკებს, როცა ამ ადგილებში გავლა ღამით კი არა, დღისითაც კი საშიში იყო.**

დრო მკურნალია, ჭრილობებს ამრთელებს, მეხსიერების სკივრში ცდილობს მხოლოდ კეთილი საქმეები შემოინახოს. კულტურის სახლის წინ, სკვერში, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა მემორიალი სოფლელებს იმიტომ კი არ მოუწყვიათ, რომ შურისძიების სურვილი არ გაუნელდეთ, არა, მემორიალი შეახსენებს ადამიანებს, რომ აღარ უნდა განმეორდეს ეს ტრაგიკული ამბები, 90-იან წლებში ცხინვალის რეგიონში რომ ტრიალებდა. ახლა მშვიდობამ დაისადგურა და ეს რუს სამშვიდობოებს მოსწონთ თუ არა, მათი საქმეა, პატარა ლიახვის ხეობის სოფლების ოსური და ქართული სოფლები კი გვერდი-გვერდ მშვიდობიანად ცხოვრობენ და საქმიანობენ.

რას აკეთებს სოფლის ახალგაზრდობა, როცა საჭიდაო მოედანიც ცარიელია და არც კინო ჩამოუტანიათ ქალაქიდან? თავიანთ კულტურის სახლში იყრიან თავს და ერთობიან. კულტურის სახლი კი მართლაც ძირეულად აღადგინა საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა. ფაქტობრივად მოხდა ძველი, ნაომარი შენობის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია. შპს „ქართლი“ და მისი ხელმძღვანელი ირაკლი დონღუზაშვილი ის სამშენებლო ფირმაა, ვისაც მადლობას ეუბნებიან სოფელში კულტურის კერის აღორძინებისთვის.

ერედვის კულტურის სახლი, ეს არის უახლესი ტექნიკით აღჭურვილი კინოთეატრი ახალი სკამებითა და სხვა საჭირო დგამ-ავეჯით. აქ თეატრალური სპექტაკლების გამართვაც შეიძლება. კულტურის სახლში განთავსდა სოფლის ბიბლიოთეკა, რეგიონული სამუსიკო სკოლა თავისი 69 მოსწავლით. ჩინებულად გარემონტებულ ყოველ საკლასო ოთახში დგას პიანინო. მუშაობს ხუთი თვითმოქმედი წრე, სადაც 100-მდე ახალგაზრდაა გაერთიანებული.



ერედვის კულტურის სახლი — განახლებული და აღდგენილი.

კულტურის სახლის დირექტორის ნინო ჟუჟნიაშვილის თქმით, შეინიშნება ახლომახლო ოსური სოფლებიდან ახალგაზრდების, მეტწილად, გოგონების დაინტერესება თვითმოქმედი წრეების მუშაობით, მაგრამ ჯერჯერობით კულტსახლში მოსვლას ვერ ბედავენ, თავს იკავებენ. აშკარაა, რომ ვილაცეების ინტერესში არ შედის ჩვენი ორი ხალხის შვილების ერთად ყოფნა.

კიდევ ცოტაც, მეგობრებო, და მერე შრომაშიც ერთად ვიქნებით და მოლხენაშიც, ქართველებისა და ოსების თანაცხოვრებას და ერთად ყოფნას ალტერნატივა არ აქვს.

ნასიამოვნები წამოვედით კულტურის სახლიდან. ეზოში დაგვეწია ვოკალური კვარტეტის — ელზა ცოტნიაშვილის, ლუიზა დუდაევას, მაია გაჩეჩილაძის და ლელა რომელაშვილის მიერ ფანდურზე შესრულებული გულში ჩამწვდომი მელოდია — „თუ აგრე ტურფა იყავი, რად ვერ გამჩნევდი, იაო...“

ეს მშვენიერი ხალხური სიმღერა განსაკუთრებით უხდებოდა იმ საღამოს — გაზაფხულის პირველ დღეს — სითბოსთან, მზესთან და იმედთან ერთად რომ შემოდიოდა პატარა ლიახვის ხეობაში.

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

◉ წვლილი

# უნიკალური პროგრამები — თეატრის მუზეუმს

**მრავალმხრივი მუსიკოსის, ნოტების პირველი საბეჭდი მანქანის გამომგონებლის, ზაქარია ფალიაშვილის მოწაფის ვასილ თამარაშვილის შთამომავალმა ნოდარ ხითარიშვილმა გამოიჩინა კეთილი ნება და ბაბუის მიერ დატოვებული არქივიდან თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუზეუმს გადასცა იმ საოპერო სპექტაკლების პროგრამები, რომლებიც 1972 წელს თეატრში ხანძრის შედეგად დაიწვა და ანალოგების მოპოვება წლების მანძილზე შეუძლებელი იყო. მათ შორის არის დ. არაყიშვილის, ზ. ფალიაშვილის, ი. ტუსკიას, შ. თაქთაქიშვილის, გრ. კილაძის, ნ. გოკიელის, შ. მშველიძის, ა. ბუკიას, ა. შავერზაშვილის სპექტაკლების პროგრამები გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული 50-იან წლებამდე.**

— ჩემი კოლექცია ქართული საოპერო ხელოვნების ისტორიას ასახავს და უფლება არა მაქვს ის, რაც ახალმა თაობამ უნდა იხილოს მუზეუმში, სახლში მქონდეს გამოკეტილი, — ამბობს ნოდარ ხითარიშვილი.

ბატონ ნოდარის გადაწყვეტილება საკმაოდ მნიშვნელოვანი და დასაფასებელია. გადმოცემული პროგრამები მოძრავი ძეგლებია, რომელთა ღირებულება ოპერის თაყვანისმცემლებმა კარგად იციან. მით უმეტეს, რომ ეს პროგრამები ორიგინალებია და მათ ანალოგები შესაბამისი მუზეუმების არცერთ საცავში არ მოიძებნა, — აღნიშნა ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ თათა ქვარიანმა.

**რუსუდან მუხაძე.**

***P. S. ამ ფაქტს ჩვენი გაზეთიც გამოეხმაურა და თავის მხრივ თეატრის მუზეუმს გადასცა კულტურის განყოფილებაში დაცული 60-იანი წლების პროგრამების დიდი დასტა.***

◉ ბრიფინგი

# იწყება სასკოლო ოლიმპიადები

**სასკოლო ოლიმპიადების დაწყების წინ ბრიფინგი გამართა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ბელა წიფურიამ.**

ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებსა და მასწავლებლებს როგორც გუნდური პროექტებით, ასევე ინდივიდუალურად.

გუნდური და ინდივიდუალური პროექტები დაჯილდოვდება ფულადი პრიზებით, რომელსაც აწესებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. სავარაუდოდ საუკეთესო გამარჯვებული გუნდისათვის დაწესებულია 600 ლარი, რომელიც გადანაწილდება გუნდის წევრებზე. კონკურსი გამოავლენს 30-დან 50-მდე გამარჯვებულ გუნდურ პროექტს.

2006 წლის სასკოლო ოლიმპიადებში სამინისტროს პარტნიორები არიან გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, კლუბი „კომაროველი“. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების განვითარების ჯგუფი (ხელმძღვანელი სიმონ ჯანაშია).

**გუნდურ პროექტებში** წარმოდგენილი უნდა იყოს მოსწავლეთა კვლევითი, შემოქმედებითი ხასიათის გუნდური პროექტები. **„განათლება მდგრადი განვითარებისათვის“** — ამ თემატიკის ფარგლებში პროექტები მიეძღვნება მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვის პრინციპებს. **პროექტები მუზეუმებში** — ამ ტიპის პროექტები შეიძლება მომზადდეს ცენტრალურ და ადგილობრივ მუზეუმებთან თანამშრომლობით. **ზუსტ და საბუნებისმეტყველო** მეცნიერებებში მოსწავლეთათვის ჩატარდება წერითი კონკურსები მათემატიკაში, ფიზიკასა და ინფორმატიკაში. გუნდური პროექტების კონცეფცია წარმოდგენილი უნდა იქნეს 8 აპრილამდე.

ჩატარდება პროექტების ღია ხასიათის წარდგენები, 26-დან 28 ივნისის ჩათვლით კი გაიმართება დასკვნითი წარდგენა.

**ნათელა ფაილოძე.**

◉ ინფორმაცია

## დავით მესხიშვილი ვეტერანებს ეხმაურება

**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შენობის წინ გამართულ ვეტერანთა აქციასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა დავით მესხიშვილმა.**

მისი თქმით, დღევანდელი აქცია გაგრძელება იყო იმ პოლიტიკური პროვოკაციისა, რომელიც გასული კვირის განმავლობაში პარლამენტის შენობის წინ მიმდინარეობდა.

„ვეტერანებს არანაირი შეღავათები არ მოხსნიათ. მათთვის წელს დამატებით 50 ათასი ლარის ღირებულების ჰუმანიტარული დახმარება იქნა გაღებული, რომელიც ამ კატეგორიის პირებს წლის განმავლობაში გადაეცემათ“, — განაცხადა მესხიშვილმა.

## მკვლელობაში ეჭვმიტანილები დააპატიმრეს

**9 მარტს, წალკის რაიონში იქ ჩასახლებულ სვანებსა და სომხებს შორის მომხდარი ჩხუბის დროს მოკლული გეორგ გეორქიანი გუშინ, სოფელ კუშის სასაფლაოზე დაკრძალეს. მის დაკრძალვას სომხეთის შს მინისტრის მოადგილე ოვანეს უნანიანიც დაესწრო.**

დაკრძალვაზე სოფელ კუშის მოსახლეობის გარდა, სომეხი ეროვნების მოსახლეობა მთელი წალკიდან, ასევე საქართველოს სხვა რაიონებიდანაც ჩავიდნენ. მათი რაოდენობა 1000-მდე ადამიანს აღწევდა.

სოფელი კუში სამგლოვიარო შავი ლენტებითა და წარწერებით იყო მორთული. სოფლის სასაფლაო კი დინამიკებითა და მიკროფონებით იყო აღჭურვილი, სადაც ერთგვარი მიტინგი მოეწყო.

9 მარტს, ინციდენტში მონაწილე მკვლელობაში ეჭვმიტანილი ოთხი პირი, — ბონდო წიფიანი, ბეთქილ გაბულდანი და ძმები ყიფიანები სამართალდამცველებმა უკვე დააკავეს.

**ინტერპრესნიუსი**

◉ სოფელი

# გაძლიერებული სოფელი გაძლიერებული საქართველოა

## ანუ გლეხის მოთმინებასაც ხომ აქვს საზღვარი...?

**ამ დღეებში სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს მასშტაბით სოფლის მცხოვრებთათვის სასუქების უფასოდ დარიგება დაიწყო. როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, თითოეული ოჯახი 25 კილოგრამ გვარჯილას მიიღებს.**

საქართველოს მთავრობამ ამ ღონისძიებისთვის სარეზერვო ფონდიდან 7,1 მილიონი ლარი გამოყო. მინერალური სასუქების შესყიდვას, ტრანსპორტირებასა და მოსახლეობისთვის მიწოდებას სოფლის მეურნეობის სამინისტრო განახორციელებს.

სასუქი, ნამდვილად სულზე მისწრებაა გლეხებისთვის, მაგრამ უშველის კი ეს გლეხობას კახეთში, სადაც დღესაც კი საკმაოდ ბევრი მიწებია დაუმუშავებელი?

შარშან პრეზიდენტის განკარგულებით 20 ლიტრი დიზელის საწვავი მიიღეს უფასოდ, ბევრ მათგანს პრეზიდენტმა თავად დაურიგა ისე, როგორც ამ ორი დღის წინათ გვარჯილა.

წლეულს საწვავზე არნახული გაჭირვებაა, მაგრამ სამინისტროში არავინ არ საუბრობს იქნება თუ არა რაიმე დახმარება ამ მხრივ.

— არადა, უსაწვავოდ ძალიან გვიჭირს მიწის დამუშავება, ვის არ მივმართეთ ამის თაობაზე, მაგრამ თავი არავის არ შეუწუხებია, — ამბობს ლაგოდეხელი გიორგი, ახალგაზრდა კაცი, რომელიც დღეს ბაზარში ნიგოზს ყიდის, — ეზოში საკმაოდ ბევრი კაკალი გვიდგას, გადავწყვიტე ჩემი მონაგარი ჩამომეტანა, იქნებ საწვავის ფული მოვაგროვო, ოჯახობა კი გამიბრაზდა, არ მატანდა ბაზარში, შინ დაგვჭირდება, შვილი გვყავს პატარა მოსანათლიო, მაგრამ მაინც ვიაჟკაცე და ჩამოვიტანე. კილოგრამს 8 ლარად ვყიდი. ვიცი ძვირია, მაგრამ მეც რა ვქნა?

გიორგი, ძირძველი კახელი, საკმაოდ კომუნიკაბელური აღმოჩნდა და საუბარში ამიყოლია, ძირფესვიანად მომიყვა რა მდგომარეობაა იქ.

**— თუ ასე გაინტერესებთ ჩვენი ამბავი, ადგილზე რატომ არ ჩამოდიხართ? იქ ხომ უფრო მეტს ნახავთ საკუთარი თვალით, ვიდრე მე მოგიყვებით?**

— მართალი ხარ, გიორგი, მაგრამ ჩვენ, აქაო და თბილისელები ვართ, შენ გგონია დალხინებული ცხოვრება გვაქვს? იყო დრო, დავდიოდით მივლინებაში, ამას წინათ ლაგოდეხშიც ვიყავი, დილით ჩამოვედი, საღამოს კი უკვე თბილისში დავბრუნდი, საინტერესო მასალა ჩამოვიტანე, ახლა ცოტა გართულდა საქმე ფინანსების მხრივ, თან შენობასაც გვედავებიან, უფრო სწორად ყიდიან.

**— კი, მაგრამ თქვენ?**

— ჩვენი ბედი არავის აინტერესებს. განა მარტო ჩვენ ვართ იმ შენობაში, უამრავი გაზეთი და ჟურნალია, სატელევიზიო კომპანია და არასამთავრობო ორგანიზაცია, მაგრამ მაინც იყიდება, ესეც შენი საბაზრო ეკონომიკა.

**— „საქართველოს რესპუბლიკა“ აღარ გამოვა?**

— ბევრს უნდა, რომ არ გამოვიდეს, მაგრამ... მაინც გამოვა, ჯერ ვიბრძოლებთ, თუ რამე გამოგვივიდა, არადა, ვიშოვით ალბათ 1-2 ოთახს და გადავალთ, გაზეთს, სანამ შეგვიძლია, გამოვცემთ. ისე კი ძალიან მაინტერესებს, კითხულობ ამ გაზეთს?

**— ჩემი მეუღლე პედაგოგია, 10 წელზე მეტია სკოლაში მუშაობს, ადრე გამოწერილიც გვქონდა, ვკითხულობდით, ამ ცოტა ხნის წინათ, ერთ მეგობართან ვიყავი. იქ წავიკითხე, ისიც ჟურნალისტია და თბილისში ხშირად ჩამოდის, როცა სოფელში ბრუნდება, გაზეთები მოაქვს და იქ ვკითხულობ ხოლმე. ნამდვილად კარგი გაზეთია, აქ რომ იყიდებოდეს, ვიყიდდი.**

— გიორგი, რამდენი შვილი გყავს?

**— ორი, მინდა კიდევ გავაჩინო, ორივე გოგო მყავს. კახელ კაცს გვარის გამგრძელებელი ჭირდება აუცილებლად, ალბათ, ღვთის ნებით, ბიჭის მამა მალე გავხდები. სპეციალობით გამოთვლითი მანქანების ინჟინერი ვარ, მაგრამ რაიონში ვერანაირი სამუშაო ვერ ვიშოვე, ამიტომ მხოლოდ ჩემს ბაღს და ვენახს ვუვლი. ხედავთ, ჯანლონით სავსე ვარ, მაგრამ რა ვქნა, იძულებული ვარ დრო და დრო ბაზარშიც ვიდგე, რომ ცოტაოდენი თანხა მოვაგროვო. მიწა, რაც მქონდა, მთლიანად ვერ დავამუშავე. გადავიდოდი აზერბაიჯანში, ვიყიდდი, მაგრამ ვინ გიშვებს. არადა, ხომ ვხედავთ, ჩინოვნიკები როგორ ეზიდებიან, მერე კი ჩვენ გვასყიდებენ, 20 ლიტრ საწვავში 30 ლარამდე გვთხოვენ, განა ეს სამართალია?**

რა უნდა მეპასუხა, არ ვიცოდი, კი ვთქვი, დავწერ თქვენს გაჭირვებაზე-მეთქი, და აი ვწერ, დაიბეჭდება კიდეც ეს წერილი, მაგრამ წაიკითხავს კი ვინმე, ვინც საჭიროა? თუ ისევ „წერე და იკითხე“, მეტი არაფერი.

კახელი გლეხი, მართალია, დინჯია და წინდახედული, მომთმენი, ჰაიჰარად არც არაფერს გადაწყვეტს და არც არაფერს მოკიდებს ხელს, მაგრამ მის მოთმინებასაც ხომ აქვს საზღვარი, ნუ ვაიძულებთ გლეხებს — კახეთშიც ბუნტი დაიწყოს. რას ითხოვენ ასეთს, შეუძლებელს? ნუთუ მიწა, ჩვენი მარჩენალი მიწა, ვიღაცეების დაუდევრობითა და წაყრუებით, დაუმუშავებელი უნდა დარჩეს და ზედ მხოლოდ ბალახმა იბიბინოს? ღვთის გულისათვის, ნუ ვიზამთ ამას!

ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში და ახლაც, ქალაქელების დამპურებელი სოფელი იყო ყოველთვის. ვისაც როგორ შეუძლია, დაეხმაროს სოფელს, რომ ეკონომიურად გაძლიერდეს, გაძლიერებული სოფელი კი გაძლიერებული საქართველოა.

**ნაზი იმნაიშვილი.**

# ᲛᲘᲚᲝᲠᲐᲓ ᲞᲐᲕᲘᲩᲘ



### 3. როგორ ვისარგებლოთ სიტყვისკონით

მიუხედავად ათასგვარი რამ მოულოდნელი გართულებისა, ამ წიგნმა მაინც შეინარჩუნა თავდაპირველი გამოცემის, ანუ დაუბმანუსის გამოცემის ზოგიერთი ღირსება. იმ გამოცემისა არ იყოს, ამისი წაკითხვაც სულ სხვადასხვა ხერხით შეიძლება. ეს გადაშლილი წიგნია, ხოლო როს დახურავ, მიადექი და განაგრძე, წერე; როგორადაც წარსულში და აწმყოში ჰყვანან თავისი ლექსიკოგრაფები, ალბათ, მომავალშიც გამოჩნდება ის ხალხი, ვინც ამ წიგნს გადაწერს, გააგრძელებს და შეავსებს. ამ წიგნში, ვითარცა წმინდა წიგნებში ანდა კროსვორდებში, სიტყვა-სტატიაც ბევრია, კონკორდანსიც და კომენტარიც, და სუყველა სახელი თუ ცნება, ჯვრის, ნახევარმთვარის ანდა დავითის ვარსკვლავის ნიშნით დაჭდეული, სიტყვისკონის შესაბამის ნაწილში უნდა ეძებოს, უკეთუ ვისმე უფრო ვრცელი ახსნა-განმარტების პოვნა მოუნდა. ესე იგი სიტყვები, რომელთაც აზით ნიშანი:

✞ – უნდა ეძებოთ სიტყვისკონის *წითელ წიგნში* (ქრისტიანული წყაროები ხაზართა საკითხის შესახებ).

☾ – უნდა ეძებოთ სიტყვისკონის *მწვანე წიგნში* (ისლამური წყაროები ხაზართა საკითხის შესახებ),

✡ – უნდა ეძებოთ სიტყვისკონის *ყვითელ წიგნში* (ძველებრაული წყაროები ხაზართა საკითხის შესახებ).

სიტყვა-სტატიებს, დაჭდეულს ნიშნით

∇ – სამსავე წიგნში იპოვით, ხოლო სიტყვა-სტატიებს, რომელთაც გამოარჩევთ ნიშანი

A – წიგნის ბოლოს დართული Appendix I შეიცავს.

სხვაგვარად თუ ვიტყვით, მკითხველს წიგნით სარგებლობა ისერიგად შეუძლია, როგორც თავად მოუხერხდება. ზოგნი, რარიგადაც სუყოველ სიტყვისკონაში, იმ სახელს თუ სიტყვას დაუწყებენ ძებნას, იმწუთას რომ ეგულისყურებათ, ზოგნი კი ამ სიტყვისკონას ისეთ წიგნად მიიჩნევენ, რომლის წაკითხვაც მთლიანად ეგების, თავიდან ბოლომდე ერთი ამოსუნთქვით, რათა სრული წარმოდგენა შეექმნათ ხაზართა საკითხზედ და ამ საკითხთან დაკავშირებულ ადამიანებზედ, საგნებზედ, მოვლენებზედ. წიგნის ფურცვლა შეიძლება მარცხნიდან მარჯვნივ და მარჯვნიდან მარცხნივ, ძირითადად აგრეც ფურცლავდნენ პრუსიაში გამოცემულ სიტყვისკონას (ებრაული და არაბული წყაროები). ამ სიტყვისკონის სამი წიგნის – ყვითლის, წითლისა და მწვანის – წაკითხვა ისეთი წესითა და რიგით შეუძლია, როგორც მკითხველს მოეპრიანება, თუნდაც იმ გვერდიდან, რომელზედაც სიტყვისკონა გადაიშლება. სწორედ ამიტომაც XVII საუკუნის გამოცემაში თითოეული წიგნი ცალკე იყო დაკაზმული, ყდა-კაბრაში ჩასმული, რის მოხელოვნებაც ამ შემთხვევაში შეუძლებელია ტექნიკურ მიზეზთა გამო. *ხაზარული სიტყვისკონის* კითხვა დიაგონალურადაც შეიძლება, რათა სამი წყაროდან თითოეულის – ისლამურის, ქრისტიანულის და ძველებრაულის – გადანაჭერი მივიღოთ. სიტყვისკონით სარგებლობის ამდაგვარი წესით სარგებლობისას ყველაზედ უფრო მიზანშეწონილია სიტყვა-სტატიათა სამ-სამად დაჯგუფება: ანდა იმ სიტყვა-სტატიათა ნახვა, ზედ ნიშანი ∇ რომ აზის, ანუ სამსავე სიტყვისკონაში რომ არის წარმოდგენილი, როგორც, მაგალითად, სიტყვები *ატეჰი, ხაკანი, ხაზარული პოლემიკა* ან *ხაზარები,* ან არადა ხაზარული საკითხის ისტორიაში ერთი როლით დაკავშირებული სამი პიროვნების არჩევა. ამრიგად, კითხვის დროს შეგიძლიათ ამ სიტყვისკონის სამი სხვადასხვა წიგნიდან იმ სიტყვა-სტატიათა ერთ მთლიანად შეკვრა, სადაც ლაპარაკია ხაზარული პოლემიკის მონაწილეებზედ *(სანგარი, კირილე, იბნ ქორა),* პოლემიკის ქრონისტ-მემატიანეებზედ *(ბექრი, მეთოდე, ჰალევი)* ანდა იმათზედ, ვინც ხაზარულ საკითხს იკვლევდა XVII საუკუნეში *(კოენი, მასუდი, ბრანკოვიჩი)* და XX საუკუნეში *(სუკი, მუაბია, შულცი).* ცხადია, არც ისლამური, ებრაული და ქრისტიანული სამი ქვესკნელიდან მოსულ პერსონაჟთა *(ეფროსინე ლუკარევიჩი, სევასტი, აქშანი)* უყურადღებოდ დატოვება ეგების. იმათ ყველაზედ დიდი გზა გამოიარეს, რათა ამ წიგნამდე მოეღწიათ.

ოღონდაც სიტყვისკონის მფლობელი ამ სახელმძღვანელო მითითებებმა არ უნდა შეაცბუნონ. თუ არ უნდა და გული არ მისდის, ნურც ერთ რჩევას ანგარიშს ნუ გაუწევს და ისე იკითხოს, როგორც ჭამს: ჩანგლის მაგივრად მარჯვენა თვალი მოივარგოს, დანის მაგივრად მარცხენა, ძვლები კი ზურგს უკან ყაროს. ეს სრულიად საკმარისია. ხან იქნებ ისეც მოხდეს, რომ მკითხველი ამ წიგნის სიტყვებს შორის დაიბნეს და დავთრები დაეკარგოს, ვითარცა მასუდის დაემართა, სიტყვისკონის ერთ-ერთ ავტორს, რომელსაც სხვათა სიზმრებში მხარი ექცა და უკან სავალი გზა ვეღარ გამოაგნო. ასეთ შემთხვევაში მკითხველს ერთი ისღა დარჩენია, რომ შუა გვერდიდან საითაც უნდა, იქით გადაუხვიოს და თავისი საკუთარი ბილიკი დაქნას. მაშინ რადა წიგნს მიჰყოლია და რაღა ტყეს. სულერთია – აქაც და იქაც სულ ნიშან-ნიშან უნდა გაიგნოს გზა, ვარსკვლავთ, მთვარესა და ჯვართ უნდა აედევნოს, ხანაც ბოლოქანქარა ჩიტსავით უნდა შეებას წიგნის კითხვას, რომელი ჩიტიც მარტო ოთხშაბათობით დაფრინავს, ანდა დადგეს და, რუბიკის კუბიკისა არ იყოს, ათასი რამ ფანდითა და ილეთით ხან წაღმა ფურცლოს, ხან უკუღმა. აქ არავითარი ქამთრიგობის დაცვა საჭირო არ არის და არც უნდა დავიცვათ. ყოველი მკითხველი ფურცელ-ფურცელ თავად დააწყობს და დაალაგებს თავის წიგნს ერთ მთლიანად, როგორც ეს დომინოს ან ბანქოს თამაშის დროს ხდება, და ამ სიტყვისკონისგან, ვითარცა სარკისგან, იმდენსავე მიიღებს, რამდენსაც შიგ ჩადებს, რამეთუ ჭეშმარიტებისაგან – როგორც ერთ-ერთ მომდევნო გვერდზედ წერია – იმაზედ მეტს ვერ მიიღებ, რაც არ ჩაგიდვია, გარდა ამისა, ამ წიგნის თავით ბოლომდე წაკითხვა სულაც არ არის აუცილებელი, ნახევარი წაიკითხეთ ანდა რომელიმე ნაწილი და გაჩერდით, რაც ბუნებრივი ამბავია სიტყვისკონის კითხვისას. ვინც უფრო მეტს ეძებს, მით უფრო მეტს ღებულობს; აქაც თუ რამ კავშირურთიერთობაა სიტყვისკონის სახელთა შორის, ყოველივე უკლებლივ ბედსვიან მკლევარს ერგება. დანარჩენი დანარჩენთათვის.

### 4. გადარჩენილი ფრაგმენტები 1691 წლის ნადგურცემული გამოცემის პირველსათქმელიდან (გადმოღებული ლათინურიდან)

1. მწერალი მკითხველს ამ წიგნის ხელში აღებას არ ურჩევს, თუკი მან ამის დიდი საჭიროება არ დაინახა. ხოლო ერთხელაც თუ წიგნის მიმართ გულისყური გაეღვიძა და იფიქრა, მოდი ერთი, ვნახო, რა წერია შიგაო, მაშინ ისეთ დღეს უნდა ჩაუჯდეს, ოდეს იგრძნობს, რომ გონებასა და წინდახედულობას უფრო ღრმად წვდომის უნარი შესწევთ, ვიდრე ჩვეულებრივ. კითხვამ ისევე უნდა გათანგოს მკითხველი, ვითარცა ციებ-ცხელებამ თუ ცხრომ იცის, სნებამ, რომელიც დღეჩაგდებით უტევს სიცხისაგან გათაკარანებულ მოავადეს და ოდენ შვიდეულის მდედრულ დღეებში აბაბანებს...

2. წარმოიდგინეთ ორი მავანი კაცი, რომელთაც ორი მხრიდან ქამანდმოგდებული პუმა უჭირავთ. უკეთუ ისინი ერთიმეორესთან მიახლოებას მოინდომებენ, პუმა ერთ-ერთს ეგრევე ზედ მოექცევა, რამეთუ ქამანდი მოეშვება. ისინი თანაბრად სამშვიდობოს მაშინ არიან, როს თითოეული თავის მხარეს ეწევა საგდებელს. ამად არის, რომ ეგზომ ძნელად უახლოვდებიან ერთურთს ის ორნი, რომელთაგან ერთი წერს და მეორე კითხულობს, ამათ შორის საერთო მარყუჟწამოცმული აზრია, ერთიც თავისკენ რომ ეწევა და მეორეც. უკეთუ პუმას, ანუ აზრს, ვკითხავდით, რას ფიქრობ ამ ორზედო, ის გვიპასუხებდა, ქამანდის ბოლოები იმათ უჭირავთ, რომელთაც სამუცლავად ისეთი რამ ჰყავთ შეგულებული, რისი შეჭმაც არ შეუძლიათო...

8. ეკრძალე, ძმობილო, ნურც ძალიან სანდო კაცი გაუხდები, ნურც კიდევ ნამეტნავად გაეგები ფეხქვეშ იმ კაცთ, ვისი ძალაუფლებაც ბეჭედშია, ძალა კი ხმლისა შხუილში. ამნაირთ გარს მიწყივ ისეთნი ახვევიან, ვინც იქ არც სიყვარულის გულისთვის ტრიალებს და არც რწმენისა გამო, არადა რა ქნან, სხვა გამოსავალი არა აქვთ. გამოსავალი კი იმად არა აქვთ, რაკი ან ფუტკარს მალავენ ქუდქვეშ, ან ზეთს იღლიაში, – ერთი სიტყვით, რაღაც იმისთანა ამბავში ურევიან, რა ამბისთვისაც ახლა უწევთ სამაგიეროს გადახდა, ჯაჭვით დაბმული თავიანთი თავისუფლებისათვის კი ვერა და ვერ აუწყვეტინებიათ და ამად ყველაფრის ჩასადენად მზად არიან. ეს კარგად უწყიან იმათ, ვინც ზემოთ არის მოკალათებული, ვინც სუყველას თავზედ აზის, და ყოველსავე თავიანთი მიზნებისთვის იყენებენ. რაღა თავი შეგაწყინო, ნახე, ემანდ უდანაშაულო დამნაშავე არ გამოხვიდე და შენც ესეგვარ წრეში არ მოხვდე. ეს კი სულ ადვილი საქმეა, უკეთუ გაბატონკაცებულთ მეტისმეტ შესხმა-ქებას ან ლიქნას დაუწყებ და შენ გარშემო მყოფ ბრბოს გამოერჩევი: ისინი, რანიც თავად არიან, სხვა იმისთანა უამრავ ბოროტმოქმედსა და დამნაშავებრალეულს მიგათვლიან, ღირსებააყრილად მიგიჩნევენ, და, ეგაო, შენზედ იტყვიან, რასაც იქმს, სიყვარულისა და რწმენის გამო კი არა, ძალაუნებურად იქმს, რა არი თავისი ჩადენილი უკანონობა გამობრასო. ესეგვარ კაცთ არცვინ აფასებს და სამართლიანიც არის, რომ წიხლსა და პანღურს არ აკლებენ, ვითარცა უპატრონო ძაღლთ, ან არადა იძულებულებულთ ხდიან, რომ იმის მსგავსი რამ ჩაადენინონ, რაც ერთხელ უკვე ჩადენილი აქვთ...

9. რაიც შეგეხებათ თქვენ, მწერალთ, ნურცროდის დაივიწყებთ იმ ამბავს, რომ მკითხველი ცირკის ცხენსა ჰგავს: იცის, რომ სუყოველი წარმატებულად შესრულებული ნომრის შემდეგ ჯილდოდ ერთი კვნიტი შაქარი ელოდება. და თუ არ იქნება შაქარი, არც ნომერი იქნება, რაიც შეეხება კრიტიკოსთ და იმათ, ვისაც წიგნის შეფასება მოუწევს, ისინი მოტყუებული ქმრებივით არიან, – ახალ ამბავს სუყველაზედ ბოლოს იგებენ...

---

# LEXICON COSRI

**continens**

# Colloquium seu Disputationem de Religione

# ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ

**ქრისტიანული წყაროები ხაზართა საკითხის შესახებ**

**ატეჰი**∇ – ხაზარი სეფექალი, რომლის მონაწილეობაც ხაზართა ნათლისღების გამო ატეხილ პაექრობაში გადამწყვეტი იყო. ეს სახელი განიმარტება როგორც ხაზართა∇ სულის ოთხი მდგომარეობის გამომხატველი. ღამღამობით ატეჰს სუყოველ ქუთუთოზედ თითო რომელიმე ასო ეწერა, ვითარცა ასპარეზობის წინ ქუთუთოებზედ ცხენთ აწერენ ხოლმე ასო-ნიშანთ, ისე. ეს აკრძალული ხაზარული ანბანის ასოები იყო, რომელი ანბანის დაწერილობაც წამკითხველს უმალ კლავდა. სეფექალს ასოებს ბრმანი აწერდნენ, ხოლო დილაობით, პირის დაბანის წინ, მონა-მხევალნი თვალუხამნი, ანუ თვალდახუჭულნი მსახურებდნენ. აგრე იყო იგი დაცული მტერთაგან ძილის ჟამს, ოდეს ადამიანი, ხაზართა რწმენით, ყველაზედ უფრო უსუსურია. ატეჰი ხატკეთილი და ღვთისმოშიში ქალბატონი იყო, ასოები კიდევ უფრო ხატავდნენ, ტაბლაზედ კი მუდამ სულ სხვადასხვა ხარისხის მარილით სავსე შვიდი სამარილე ედგა, და სანამ თევზის ნაჭერს გადაიღებდა, თითებს ყოველთვის ახალ-ახალ სამარილეში აწებდა. აგრე ლოცულობდა. ამბობენ, ვითარცა მარილი, პირისახეც შვიდნაირი ჰქონდაო. ერთ-ერთი ანდრეზისდა თანახმად, ატეჰი ყოველ დილით აიღებდა თურმე სარკეს, სახატავად მოეწყობოდა, და მუდამ ახალი მონა ვინმე ან მხევალი ედგა წინ და ეხატვინებოდა. გარდა ამისა, სახეს ყოველ დილით სრულიად ახალ, ადრე არნახულ სახედ გადაიქცევდა. ზოგ-ზოგთა აზრით, ატეჰი საერთოდ არ იყო პირმწყაზარი, მაგრამ, სარკის წინ კოხტაობანასწავლი, პირისახეს იმისთანა გამომეტყველებას სძენდა და სახის თითოეულ ნაკვთს ისე იურვებდა, მნახველს სილამაზის შთაბეჭდილებას უქმნიდა. ეს ხელოვნური სილამაზე კი სეფექალისაგან იმდენ ძალასა და დაძაბულობას ითხოვდა, რომ როგორც კი მარტო დარჩებოდა და მოეშვებოდა, სილამაზე სახიდან მარილსავით ჩამოებნეოდა ხოლმე. რახან სიტყვა ხაზარი სეფექალის სახეზედ ჩამოვარდა, ბარემ აქვე ვთქვათ, რომ რომეების (ბიზანტიის) იმპერატორმა IX საუკუნეში "ხაზარული სახე" უწოდა ცნობილ სიბრძნისმეტყველსა და პატრიარქს ფოტიოსს, რაც ან ხაზარებთან პატრიარქის ნათესაობას გამოხატავდა, ან უბრალოდ მლიქვნელობა იყო.

**თარგმნა ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ**

**(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)**

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ იხ. „სრ" № 51.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აფხაზეთი მოუწოდებს რუსეთს, რომ მასთან ერთად აღიაროს დნესტრისპირეთი, ყარაბაღი და სამხრეთ ოსეთი

„რეგნუმ“ საინფორმაციო სააგენტო.

**„მსოფლიო გაერთიანებამ უნდა მიაპყროს ყურადღება იმ ფაქტს, რომ დამოუკიდებლად არსებობენ მოლდავეთის დნესტრისპირეთის რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა, აფხაზეთის რესპუბლიკა, მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა, რომლებიც გახდნენ ორმაგი სტანდარტების მძევლები მათი დამოუკიდებლობის აღიარების საკითხში“. ეს ხაზგასმულია აფხაზეთის პარლამენტის განცხადებაში, რომელიც 13 მარტს გაავრცელეს. როგორც სოხუმიდან იტყობინებიან, აფხაზი პარლამენტარები დარწმუნებული არიან, რომ „ამ რესპუბლიკებს, როგორც შემდგარ სახელმწიფოებს, აქვთ ყველა სამართლებრივი საფუძველი საერთაშორისო აღიარებისთვის“. განცხადებები იმის შესახებ, რომ ახალი სახელმწიფოების შექმნის დრო დასრულდა, როგორც დოკუმენტშია ხაზგასმული, ეწინააღმდეგება მსოფლიოში შექმნილ რეალურ სიტუაციას, სადაც პოლიტიკურ რუკაზე გამოჩნდნენ ახალი სახელმწიფოები. „ჩვენს ქვეყნებს აქვთ სახელმწიფოებრიობის და დემოკრატიული ნორმების ყველა ატრიბუტი, და დამოუკიდებლად არსებობის 15 წლის განმავლობაში ჩვენმა ხალხებმა დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ თავიანთი ქვეყნები მართონ იმათზე უკეთ, ვინც აცხადებენ პრეტენზიას მათ ტერიტორიებზე და, თითქოს, სურთ მშვიდობა“, — აღნიშნულია აფხაზეთის სახალხო კრების განცხადებაში.**

„ამ ბოლო დღეებში მოლდავეთის დნესტრისპირეთის რესპუბლიკის ირგვლივ განვითარებული მოვლენები აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეთა შეშფოთებას იწვევს“, — ხაზგასმულია დოკუმენტში. როგორც განცხადების ავტორები აღნიშნავენ, საქმე, ფაქტობრივად ეხება დნესტრისპირეთის წინააღმდეგ მოლდავეთის და უკრაინის მიერ ეკონომიკური ბლოკადის დაწესებას. „ეს მით უფრო გასაოცარია, რადგან, თვით უკრაინა არის დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში შუამავალი ქვეყანა და გარანტი. აფხაზეთის ხალხი დნესტრისპირეთში შექმნილ ვითარებას დიდი გაგებით აღიქვამს, რადგან, თვითონ გამოსცადა 1996 წლის იანვარში საქართველოს ინიციატივით დსთ-ს მონაწილე ქვეყნების მიერ მიღებული ეკონომიკური სანქციების მთელი სიმძიმე, და, გარკვეული შერბილების მიუხედავად, ეს სანქციები დღემდე არ გაუქმებულა“, — აღნიშნავენ აფხაზი პარლამენტარები და გამოთქვამენ აღშფოთებას იმის გამო, რომ „ეკონომიკური ბლოკადის გზით პრობლემის მოწესრიგებისადმი საქართველოს, მოლდავეთის და უკრაინის მიდგომას, როცა უხეშად ირღვევა ასი ათასობით ადამიანის უფლებები, არ გმობენ ეუთო, ევროკავშირი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც, სხვა შემთხვევებში გამოთქვამენ შეშფოთებას ადამიანის უფლებების დარღვევების გამო“.



„აფხაზეთის რესპუბლიკის სახალხო კრება მოუწოდებს გაეროს, ეუთოს, ევროპის საბჭოს, ევროპის კავშირს მიიღონ შესაბამისი ზემოქმედების ზომები იმისთვის, რომ გაუქმდეს მოლდავეთის დნესტრისპირეთის რესპუბლიკის მიმართ მოლდავეთისა და უკრაინის მხრიდან ეკონომიკური სანქციები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სოციალურ-ეკონომიკური დაძაბულობის, ჰუმანიტარული კატასტროფის ახალი კერის წარმოქმნა. აფხაზეთის რესპუბლიკის სახალხო კრება მიმართავს რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას, გადადგას ნაბიჯები მოლდავეთის დნესტრისპირეთის რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის, აფხაზეთის რესპუბლიკის, მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის აღიარების საკითხში. აფხაზეთის რესპუბლიკის სახალხო კრება უცხადებს სოლიდარობას მოლდავეთის დნესტრისპირეთის რესპუბლიკის ხალხს. მიიჩნევს დაუშვებლად მისი მოქალაქეების უფლებების დარღვევას, მათი დამოუკიდებელი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობისათვის ხელის შეშლას, რაც დაფიქსირებულია მოსკოვის 1997 წლის მემორანდუმში“, — ხაზგასმულია განცხადებაში.

„მოლდავეთის დნესტრისპირეთის რესპუბლიკის ირგვლის დაძაბულობის შემდგომი ესკალაციის შემთხვევაში, აფხაზეთის სახალხო კრება — რესპუბლიკის პარლამენტი, რომელიც მხარს უჭერს დნესტრისპირეთის ხალხს, იტოვებს იმის უფლებას, რომ აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს და მთავრობას სთხოვოს განიხილოს აფხაზეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკების პროცესში აფხაზეთის მონაწილეობის მიზანშეწონილობის საკითხი“. ეს აღნიშნულია აფხაზეთის პარლამენტის განცხადებაში.

# რუსეთის ხელმძღვანელობასთან ურთიერთმოქმედების გარეშე საქართველო განწირული იქნება

„კრემლ ორგ“ (ანალიზური ინტერნეტ-გამოცემა, რუსეთიძ.

**გთავაზობთ რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი პალატის წევრის, ფონდ „პოლიტიკის“ პრეზიდენტის, საზოგადოებრივი დიპლომატიისა და საგარეო პოლიტიკის საზოგადოებრივი პალატის კომისიის ხელმძღვანელის ვიაჩესლავ ნიკონოვის გამოსვლას მრგვალი მაგიდის სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა კოლიზიებში სამხრეთ ოსეთის“ თემას.**

„მე არ მივიჩნევ თავს სამხრეთ ოსეთის ისტორიის სპეციალისტად, მაგრამ როგორც განათლებით ისტორიკოსი, პირველი, რასაც ვაკეთებ, როცა ხელში ჩამივარდება ისტორიული წიგნი, გადავხედავ ხოლმე გამოყენებული ლიტერატურის, წყაროების დოკუმენტების ნუსხას. მე მესმის, რომ ეს წიგნი ეფუძნება კარგ წყაროთა ბაზას, მისი შექმნისთვის გამოყენებულია დიდძალი ლიტერატურა. დღეს ისტორიაზე მსჯელობას აზრი არა აქვს. აზრი აქვს იმის განხილვას, თუ რა ხდება იქ, რას აკეთებს რუსეთი, აგრეთვე, იმის შეფასებას, თუ როგორ სიტუაციაში აღმოვჩნდით სამხრეთ ოსეთის კონფლიქტთან დაკავშირებით და ამ სიტუაციაში რისი გაკეთება შეუძლიათ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს და რა უნდა ილონოს რუსეთის ფედერაციამ.

აშკარაა, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე მწვავე სიტუაციაა, რომელსაც კი გადაწყდომია რუსეთი. ჩემი აზრით, გასულ თვეს დაისახა რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების აბსოლუტურად რეალური საფრთხე. „ურალის“ „ჟიგულთან“ შეჯახების შედეგად გამოწვეული კონფლიქტის დროს ჰაერში რომ არ გაესროლათ და ტყვია ვინმეს მოხვედროდა, მაშინ, ალბათ, თავისუფლად შეიძლებოდა დაწყებულიყო კონფლიქტის ესკალაცია. ჩვენ, როგორც იტყვიან, საომარი მოქმედების დაწყების ზღვარზე ვიდექით. უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ძალზე რთულ ფაზაშია. ყველასთვის ცხადია, რომ თავის რიტორიკაში მიხეილ სააკაშვილმა უკვე კარგა ხანია შორს გადააბიჯა იმ ზღვარს, რომლის გადაბიჯებასაც ვერ ბედავენ, ვთქვათ, ფიდელ კასტრო ან უგო ჩავესი შეერთებული შტატების მიმართ თავიანთი რიტორიკის დროს. რუსეთში ვიზიტის წინ კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ რუსეთი ფაშისტური სახელმწიფოა, ალბათ, მხოლოდ ისე უნდა შევაფასოთ, როგორც ადეკვატური ხელისუფლების წარმომადგენელი სახელმწიფო მოღვაწეების მიერ ნათქვამი ფრაზა.

ვითარების გამწვავება მრავალი მიმართულებით ხდება, და ჩვენ სულ უფრო ჩახლართულ სიტუაციას ვაწყდებით. და ამასთან დაკავშირებით, როგორც სამხრეთ ოსეთში, ისე აფხაზეთშიც, სულ უფრო ხმამაღლა გაისმის მოთხოვნა თბილისთან ურთიერთობის საბოლოოდ გაწყვეტის შესახებ. მეორე მხრივ, რუსეთში ლაპარაკობენ, რომ აუცილებელია სიმეტრიულად გამოვიყენოთ კოსოვოს პრეცედენტი, თუმცა, ისიც აშკარაა, რომ ქართველ პოლიტიკოსთან ვერავინ ვერც კი გაბედავს თუნდაც გაიფიქროს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, ხოლო ოსებსა და აფხაზებს, ალბათ, კოშმარულ სიზმარშიც კი არ დაესიზმრებათ თბილისის იურისდიქციაში დაბრუნება. სიტუაცია მართლაც ძალზე დაძაბულია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მიხეილ სააკაშვილი ამ ბოლო ხანებში არ მოქმედებდა თავის დასავლელ პარტნიორებთან და მფარველებთან კონსულტაციის გარეშე. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მიეცა რაღაც იმპულსი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში საქართველოს შესაძლო გააქტიურებას.

ყველასთვის აშკარაა, რომ რუსეთს ჰყავს არა მხოლოდ მეგობრები, არამედ „კეთილმოსურნეებიც“, რომლებიც კმაყოფილი იქნებოდნენ, თუ რუსეთსა და საქართველოს შორის გაჩაღდებოდა შეიარაღებული კონფლიქტი. ასეთ შემთხვევაში, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მოჰყვებოდა ამას დასავლეთში, როგორი პუბლიკაციები გამოქვეყნდებოდა ტოტალიტარულ იმპერიაზე, რომელიც თავს ესხმის თავისუფლებისმოყვარე, დემოკრატიულ ქართველ ხალხს. სულაც არ გამოვრიცხავ, რომ აქ შესაძლებელი იქნება ცეცხლზე ნავთის დასხმა და ამას გააკეთებენ შერისხული ოლიგარქები, რომლებსაც, სხვათა შორის, ჰყავთ მეგობრები რეგიონში, და რომლებისთვისაც ასეთი კონფლიქტის დაწყება, როგორც იტყვიან, პირდაპირ მისწრება იქნება. ამავე დროს, არც იმაზე შეიძლება თვალის დახუჭვა, რომ დასავლეთში არსებობს ძალზე სერიოზული მშვიდობის პარტია, რომელიც უკავშირდება ნავთობის ინტერესებს, დაინტერესებულია „ბაქო-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის შეუფერხებელი მოქმედებით, რომლებსაც არ სჭირდებათ არანაირი ახალ-ახალი ცხელი წერტილები კავკასიაში და საქართველოში. მაშასადამე, მოქმედებენ სრულიად განსხვავებული ძალები.

ასეთ ვითარებაში რა უნდა ილონოს რუსეთის ფედერაციამ? რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, არ უნდა დავუშვათ ჩვენი ჩათრევა სამხედრო დაპირისპირებაში. ამავე დროს, აშკარაა, რომ უნდა დავიცვათ ოსები და აფხაზები. და ეს პოზიცია აბსოლუტურად გამართლებულია, როგორც მორალური, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. რუსეთი, უბრალოდ, ვალდებულია დაიცვას საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნულ უმცირესობათა უფლებები და, უწინარეს ყოვლისა, მათი სიცოცხლის უფლება. ამ უფლების რეალიზაციისთვის საფრთხე, ჩემი აზრით, არსებობს, რადგან არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ამ ბოლო ხანებში, სულ უფრო აშკარა ხდება საქართველოს სამხედრო მზადება, თვით ომისათვის მზადების რეჟიმი კი, სულ უფრო მკაცრი ხდება. თანაც, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საკმაოდ სწრაფი ტემპით ეცემა სააკაშვილის პოპულარობის რეიტინგი, ხოლო როცა ეს ხდება, ყოველთვის წარმოიქმნება ხოლმე შოვინისტური რიტორიკით ჟონგლიორობის ხარჯზე, ან მცირე ძლევამოსილი ომით მისი ამაღლების ცდუნება.



სწორედ ამიტომ, მიმაჩნია, რომ რუსი სამშვიდობოების გამოყვანა აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, რასაც ახლა დაჟინებით მოითხოვს საქართველოს პარლამენტი, უბრალოდ, გამორიცხულია მოვლენათა ამჟამინდელი განვითარების პირობებში. და რუსეთმა, თბილისს აბსოლუტურად არაორაზროვნად და მკაფიოდ უნდა მიანიშნოს, რომ არ გამოიყვანს თავის სამშვიდობოებს. და უფრო მეტიც, ჩემი აზრით, თბილისმა უნდა შეიგნოს, რომ ვითარების შემდგომი გამწვავების შემთხვევაში, რუსეთმა რაღაც პერიოდში შეიძლება დაკარგოს მოთმინება და აღარ დაუჭიროს მხარი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, რაც აქამდე საფუძვლად ედო რუსეთის ოფიციალურ პოზიციას. იმისთვის, რომ არ ჩაგვითრიონ ომში, საჭიროა სამშვიდობოები არათუ გამოვიყვანოთ, არამედ გავაძლიეროთ ისინი.

ყოვლად დაუშვებელია, რომ რუსეთმა გამოიჩინოს სისუსტე სამხრეთ ოსეთში, მათ შორის, სამხედრო თვალსაზრისითაც. თუ ვილაპარაკებთ სამშვიდობოთა სტატუსის რაიმე შეცვლაზე, ჩემი აზრით, ეს უნდა განმტკიცდეს სამხედრო თვალსაზრისით, რათა ოფიციალურ თბილისს იმის მცირე ილუზიაც კი აღარ დარჩეს, რომ კონფლიქტის თავის სასარგებლოდ მოგვარებას შეძლებს ძალის გამოყენების მეშვეობით.

საქართველოში ახლა კარგ პოლიტიკურ ტონად ითვლება ყველა უბედურებაში რუსეთის დადანაშაულება. მაგრამ, ჩემი აზრით, ნებისმიერი იმ ადამიანისთვის, რომელიც ამ სიტუაციას სტრატეგიული თვალსაზრისით უყურებს, გასაგები უნდა იყოს, რომ ნებისმიერი პრობლემა, რომლის გადაჭრასაც ცდილობს თბილისი, მათ შორის, სტრატეგიულ პრობლემებსაც ვგულისხმობ, ეს არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების პრობლემა. ამ პრობლემების მოგვარება კი ვერ მოხერხდება მოსკოვთან კონფრონტაციის გზით. ვფიქრობ, რომ ნებისმიერმა საღად მოაზროვნე ქართველმა პოლიტიკოსმა უნდა იფიქროს იმაზე, თუ როგორ დაამყარონ ურთიერთგაგება რუსეთის ხელმძღვანელობასთან, რადგან, უამისოდ, საქართველო, როგორც სახელმწიფო, უბრალოდ, განწირული იქნება. აი, ასეთ ოპტიმისტურ ნოტაზე მსურს დავასრულო ჩემი გამოსვლა, აგრეთვე, გავამახვილო ყურადღება იმაზე, რომ გამოვიჩინე მაქსიმალური დელიკატურობა მოვლენათა შეფასებების დროს, რადგან, ვითვალისწინებ, რომ ახლა მე წარმოვადგენ არა მარტო ჩემს თავს, არამედ რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივ პალატასაც“.

რას წერენ, თავიანთ თავზე

# რუსული ენა გესმის?

**(წერილი პრეზიდენტსძ ვლადიმერ ვლადიმერის ძევ, ეს ძალიან უბრალო წერილია, სპეციალურად მოკლეწინადადებიანი. უუცხოსიტყვებოდ — თავდაცვის მინისტრმა რომ გაიგოს.**

თვით ივანოვისადმი მიმართვა წყლის ნაყვაა. იმას მხოლოდ თქვენი ესმის. წაუკითხეთ, თანაც დაუყოვნებლივ.

მინისტრი სათათბიროში გამოვიდა და კვლავ საზოგადოებას დააბრალა არმიის ყველა უბედურება. აქაოდა, როგორიც საზოგადოებაა, არმიაც ისეთიაო.

საზოგადოებაში ყოველი მეოცე გიჟია, ყოვლი მეშვიდე — ალკოჰოლიკი. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ასე იყოს წყალქვეშა ნავებზე, ყველგან, სადაც ბირთვული ღილაკებია, ტანკებია, ნაღმტყორცნებია.



მინისტრები, ვლადიმერ ვლადიმერის ძევ, რაო, არ არიან საზოგადოების ნაწილი? საზოგადოებაში კი ექვს მილიონამდე სისხლის სამართლის დამნაშავეა. ამასთან ლაპარაკი ბავშვებსა და ღრმა მოხუცებზე როდია. მაშასადამე, შრომისუნარიან მოსახლეობას შორის ყოველი მეათე სისხლის სამართლის დამნაშავეა.

გამოდის, რომ მინისტრთა შორისაც... დეპუტატთა შორისაც... გუბერნატორთა შორისაც... თქვენს ადმინისტრაციაშიც... აი-აი-აი!

არა, მინისტრებისა და გენერლების ცხოვრება საზოგადოების ცხოვრებას არა ჰგავს. საზოგადოება არ იღებს გიგანტურ ქრთამებს და იარაღს მტრებს არ მიჰყიდის.

ჯარისკაცები სერჟანტებს წინდებს ურეცხავენ, გენერლებს კი სასახლეებს უშენებენ. ეს დიდი განსხვავებაა.

ხელფასზე როცაა ლაპარაკი, ჩვენი გენერლები თავს მდიდარი დასავლური ქვეყნების გენერლებს უდარებენ და არა ღატაკ ტომებს.

ხოლო თუ ჭკუაზეა ლაპარაკი...

ივანოვის ჭკუის შედარება სასურველი იქნებოდა მინისტრის ჭკუასთან და არა საშუალო არითმეტიკულთან. ვაი, რომ ასე არ გამოდის. იმას, როგორც დღენაკლულ ბავშვს, მოთმინებით უხსნიან, მაგრამ არ ესმის. ან თავს ისულელებს.

არადა, ისე ჩანს, თითქოს თქვენ ის სულ უფრო მოგწონთ. ივანოვი სისულელეებს ამბობს, თქვენ აწინაურებთ, მაშასადამე, სწორედ ასეთ თვისებებს აფასებთ ხელქვეითებში.



# აზერბაიჯანში ფრინველის გრიპის შედეგად სამი ადამიანი გარდაიცვალა

**ასეთი განცხადება გააკეთა ქვეყნის ხელისუფლებამ, მაგრამ ეს მონაცემები უნდა დაამტკიცოს ასევე ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ.**

როგორც ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე აბას ველიბეკოვმა თქვა, სამივე დაღუპული არის ბაქოს სამხრეთით მდებარე სალიანის რაიონის მცხოვრები.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში ასევე განაცხადეს, რომ სისხლის იმ ნიმუშების ანალიზებს, რომლებიც აუღეს სალიანის რაიონის კიდევ ექვს მცხოვრებს, არ დაუდასტურებიათ ამ საშიში ვირუსის არსებობა.

ერთ-ერთი ინფორმაციით, ყველა დაღუპული ერთი ოჯახის წევრია და ისინი დაავადდნენ შინაური ფრინველებისგან. აზერბაიჯანის ხელისუფლება აღნიშნავს, რომ მათ დიაგნოზი დაუსვეს ეგვიპტეში შესყიდული აპარატურის მეშვეობით, რომლის გამოყენებასაც იწონებს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია.

თუ ეს მონაცემები დადასტურდება, ფრინველის გრიპისგან დაღუპულთა საერთო რიცხვი — ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით — ასს გადააჭარბებს.

აზერბაიჯანის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ოქთაი შირალიევმა განაცხადა, რომ „ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ამ ანალიზებს აუცილებლად გაგზავნის ლონდონის ლაბორატორიაში ხელახალი გამოკვლევისთვის".

მან, ასევე აღიარა, რომ ქვეყნის საავადმყოფოებში მიჰყავთ ადამიანები ფრინველის გრიპის ეჭვით.

შირალიევის თქმით, აზერბაიჯანის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო აპირებს, რომ ქვეყნის ხელისუფლების წინაშე წამოჭრას იმ მაწანწალა კატების და ძაღლების საკითხი, რომლებიც ასევე შეიძლება გახდნენ H5N1 ვირუსის მატარებლები.

ფრინველის გრიპის ვირუსი აზერბაიჯანში პირველად აღმოაჩინეს მიმდინარე წლის თებერვალში, კასპიის ზღვის სანაპიროზე ნაპოვნი მკვდარი გადამფრენი ფრინველის სისხლში.



# ისრაელში მიწისქვეშა ოთახები და გვირაბები აღმოაჩინეს

**ეს ნაგებობები განეკუთვნება რომაელთა წინააღმდეგ იუდეველების აჯანყების დროს, რომელიც მოხდა ორი ათასი წლის წინათ.**

ებრაელები იმარაგებდნენ სურსათს და ემზადებოდნენ რომაელებისგან დასამალად ჩვენი წელთაღრიცხვის 66-76 წლების აჯანყების დროს. მიწისქვეშა ნაგებობები, რომლებსაც ერთმანეთთან მოკლე გვირაბები აკავშირებდა, თავშესაფარი უნდა ყოფილიყო.

ისრაელის სიძველეთა სამმართველოს არქეოლოგმა არდენა ალექსანდრემ განაცხადა: ნაპოვნი მოწმობს იმას, რომ ძველ ებრაელებს კარგა ხნის წინათ ჰქონდათ დაგეგმილი აჯანყება და ემზადებოდნენ მისთვის, არადა, აქამდე ითვლებოდა, რომ ამბოხება სპონტანურად დაიწყო.

ნაზარეთიდან ჩრდილოეთით მდებარე ქფარ-ქანის დასახლებაში ნაპოვნი მიწისქვეშა ოთახები სახლების ქვეშ მდებარეობდა. „კონსტრუქციები ძალზე კარგად იყო შენიღბული სახლებში", — თქვა ალექსანდრემ.

რომაელების წინააღმდეგ ებრაელთა აჯანყება დაიწყო ახალი წელთაღრიცხვის 66 წელს. ებრაელები ვერაფრით ურიგდებოდნენ რომის იმპერიის ბატონობას, რომაელი პროკურატურები სასტიკად ეპყრობოდნენ იუდევლებს, ავიწროებდნენ გადასახადებით და შეურაცხყოფდნენ მათ რელიგიურ გრძნობებს. ებრაელებმა შეძლეს რომაელებისგან იერუსალიმის გათავისუფლება, მაგრამ მხოლოდ დროებით. 70 წელს რომაელებმა ჩამოიყვანეს ახალი ჯარები, რომლებმაც სასტიკად ჩაახშვეს ამბოხება და გაძარცვეს იერუსალიმი.

# ერაყში ბრიტანელ ჯარისკაცთა რაოდენობას შეამცირებენ

**ერაყში ბრიტანელ ჯარისკაცთა რაოდენობა 7 ათასამდე შემცირდება, განაცხადა ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა ჯონ რიდმა.**

როგორც მან თქვა, 800 სამხედრო მოსამსახურე მაისში გაემგზავრება შინ. ეს გახდა შესაძლებელი იმის გამო, რომ სადღეისოდ ერაყის ჯარებს, რომლებშიც 235 ათასი კაცი მსახურობს, შეუძლიათ ტაქტიკური ოპერაციების განხორციელება, თქვა მინისტრმა პარლამენტში გამოსვლისას.

თუმცა, დასძინა ჯონ რიდმა, ეს არ არის ერაყელებისთვის უფლებამოსილების გადაცემის გეგმის ნაწილი.

ერაყის ეროვნული ძალების სრული კონტროლის ქვეშ ზოგიერთი პროვინციის გადაცემის შესაძლებლობას განსაზღვრავს ახალი კომიტეტი, რომელიც შედგება ერაყელი მინისტრების, სამხედროების და კოალიციის წარმომადგენლებისგან.

მაგრამ, თქვა ყოფილმა საბრძოლო ოფიცერმა, გადამდგარმა პოლკოვნიკმა ტიმ კოლინზმა, ბრიტანული კონტინგენტის შემცირება გახდება ცრუ სიგნალი მოთარეშეებისთვის. თანაც, თქვა შემდეგ მან, ერაყის არმიას ჯერჯერობით არ ძალუძს იკისროს პასუხისმგებლობა მთელი ქვეყნისთვის.

2003 წლის ოქტომბრიდან ერაყში ბრიტანეთის კონტინგენტი სამი ათასით შემცირდა. მაშინ, იგი 10 ათასი ჯარისკაცისგან შედგებოდა.

რიდის თქმით, ყოველ თვეს 5 ათასი ერაყელი ეწერება ქვეყნის ახალი არმიის რიგებში და სადღეისოდ, იქ უკვე მსახურობს 235 ათასი მომზადებული ჯარისკაცი.

მოთარეშეთა წინააღმდეგ ოპერაციებში მონაწილეობს 110 მთლიანად ეკიპირებული და ბრძოლისუნარიანი ბატალიონი.



# ოპოზიციის მრავალათასიანი მარში ბანგკოკში

**ათი ათასობით მანიფესტანტი გამოვიდა ტაილანდის დედაქალაქის ქუჩებში, რათა გამოეთქვა პროტესტი ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ტაქსინა შინავანტრას მიერ განხორციელებული პოლიტიკის გამო.**

დემონსტრანტებმა ჩაიარეს მთავრობის სახლისკენ, სადაც უნდა გაიმართოს მინისტრთა კაბინეტის სხდომა. მათ მოჰქონდათ პლაკატები „ვგმობთ ძალადობას" და ერთხმად გაიძახოდნენ „ტაქსინ — გაეთრიე!".

ტაქსინ შინავატრას ადანაშაულებენ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში — განსაკუთრებით ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მომხდარი ამბოხების ჩახშობასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე დაწესებული მკაცრი კონტროლის გამო. თვით პრემიერი ამ ბრალდებებს უარყოფს.

თავისი კრიტიკოსების ჩაჩუმების მიზნით, ტაქსინმა 2 აპრილისთვის დანიშნა საყოველთაო არჩევნები, მაგრამ ოპოზიცია აპირებს, ბოიკოტი გამოუცხადოს მას.

დემონსტრაციის დროს ბანგკოკში სიტუაციის გასაკონტროლებლად გამოიყვანეს 20 ათასამდე პოლიციელი.

თვით პრემიერი მინისტრთა კაბინეტის სხდომას გაუძღვება ვიდეოკავშირის მეშვეობით, რადგან ამჟამად იმყოფება ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც სააგიტაციო კამპანიას ახორციელებს.






# მოკლედ

**ბელორუსიაში დაიწყო ვადამდელი კენჭისყრა ქვეყნის პრეზიდენტის არჩევნებზე, იტყობინება ცენტრალური საარჩევნო კომისია. თვით არჩევნების გამართვის დღე შეიძლება გახდეს გარდამტეხი. ლუკაშენკოს მოწინააღმდეგეები მზად არიან, იბრძოლონ ბოლომდე, რათა არ დაუშვან მისი გამარჯვება. შესაძლო სცენარებს შორის არის არჩევნების ჩაშლა და მისი გამართვის ვადების გადატანა ივლისისთვის.**

* * *

**„გლობალურ ჯიჰადს" დაგეგმილი აქვს ებრაელების გატაცება. „ალ-ყაიდასთან" დაკავშირებული ამ ტერორისტების გეგმებში შედის არა მარტო ისრაელის თავდაცვის არმიის სამხედრო მოსამსახურეების და მესაზღვრეების, არამედ სამოქალაქო პირების გატაცებაც. სწორედ ამ დაჯგუფებამ იკისრა პასუხისმგებლობა სინაის ნახევარკუნძულზე მომხდარი ტერაქტებისთვის, მათ შორის, 2004 წელს ტაბეში და გასული წლის ივლისში შაარმ-ეშ-შეიჰში განხორციელებული აფეთქებების გამო, რომლებსაც 100-ზე მეტი კაცი ემსხვერპლა.**

* * *

**ინდონეზიაში მოხდა რიხტერის სკალით 6,8 ბალი სიმძლავრის მიწისძვრა. მძლავრი მიწისქვეშა ბიძგები დაფიქსირდა ინდონეზიის მოლუკის კუნძულების მახლობლად. მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობდა ოკეანეში, ბურუს კუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროსთან (ჯაკარტიდან აღმოსავლეთით 2,2 ათას კილომეტრზეძ, 35 კილომეტრის სიღრმეზე.**

* * *

**უკრაინის ნატოში გაწევრიანება დამოკიდებული იქნება უზენაესი რადის არჩევნების შედეგებზე. ოპოზიცია ემზადება გამართოს რეფერენდუმი ამ საკითხზე, ქვეყნის ამჟამინდელ ხელისუფლებას კი ასეთი კენჭისყრა ნაადრევად მიაჩნია და აღნიშნავს, რომ არ ღირს ამ თემით სპეკულირება.**

* * *

**დასავლეთი აცხადებს, რომ არ მოაწყობს „ნარინჯისფერ რევოლუციას" ბელორუსიაში. შეერთებულ შტატებს და ევროკავშირს ძალზე სურთ, ბოლო მოუღონ „უკანასკნელ დიქტატურას ევროპაში", მაგრამ ბელორუსიაში საქმე მხოლოდ პროპაგანდით შემოიფარგლება, აცხადებენ ვაშინგტონსა და ბრიუსელში. თუმცა, მინსკში ასეთი განცხადების არ სწამთ და იქ კვლავ ეძებენ შეთქმულებს.**

* * *

**ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა განაცხადა, რომ მსოფლიოში ვერანაირი ძალა ვერ აუკრძალავს მის ქვეყანას ბირთვული ტექნოლოგიების შემუშავებას. მან დასძინა, რომ ყოველმხრივ შეეწინააღმდეგება გაეროს უშიშროების საბჭოს მხრიდან ზემოქმედებას, რომელიც დღეს მართავს ირანის ბირთვული პროგრამისადმი მიძღვნილ სხდომას.**

* * *

**ნიუ-იორკში „ტყუპისცალი კოშკების" ადგილზე დაიწყო მემორიალის მშენებლობა. დამტკიცებული პროექტის თანახმად, ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნა უნდა უკვდავყოს დანგრეული კოშკების საძირკველში შექმნილმა ორმა კასკადურმა აუზმა. 11 სექტემბერს დაღუპულთა ოჯახების წევრებმა სასამართლოში უჩივლეს ქალაქის ხელისუფლებას. ისინი მოითხოვენ დანგრეული ცათამბჯენების ფუნდამენტების ფრაგმენტების შენარჩუნებას.**

* * *

**ესტონეთში ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი ლენარტ მერი. იგი ქვეყნის მთავრობას სათავეში ედგა 1992-2001 წლებში. ესტონეთის პრეზიდენტმა არნოლდ რიუიტელმა და პრეზიდენტის კანცელარიამ ღრმა სამძიმარი გამოთქვეს ლენარტ მერის გარდაცვალების გამო.**

## რას გვეუბნება სხვათა გამოცდილება

# 1. გაუაზრებელმა რეფორმებმა დასავლური სასკოლო განათლება დაღუპა...

## ერთიანი გამოცდებით ჩარიცხულ ფრანგ სტუდენტს დედამიწის რადიუსი 10 მმ ჰგონია

**დღეს ჩვენ ჟურნალ „Наука и Жизнь“-ის 2004 წლის № 12-ში გამოქვეყნებულ პარიზის პიერ და მარიამ კიურის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორის ვიქტორ დოცენკოს წერილს გაგაცნობთ. ამ წერილში მოტანილი მასალა ბევრი დასკვნის გამოტანის საშუალებას მოგვცემს, ბევრს დააფიქრებს ჩვენი ქვეყნის მომავალზე. აქ მთავარია გაუაზრებელი განათლების რეფორმის დამანგრეველი შედეგების სწორი შეფასება და სწორი პარალელების გავლება. თუ ისეთ ძლიერ და დიდ ქვეყანას, როგორიც საფრანგეთია, გაუაზრებელმა რეფორმებმა ისეთი დამანგრეველი შედეგები მოუტანა, როგორიც ამ წერილშია აღწერილი, როგორღა გადაურჩება ჩვენი პატარა, მაგრამ დიდი გონებრივი პოტენციალის მქონე სამშობლო ასევე გაუაზრებელ, მოუმზადებელ და დამანგრეველ განათლების რეფორმას, რომელიც დღეს ასეთი აჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს?**

მათემატიკური მომზადების დონე განვითარებულ ქვეყნებშიც კი საგანგაშოა. აკადემიკოსი არნოლდი, მაგალითად, თვლის, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში საფრანგეთში, ინგლისსა და ამერიკაში ჩატარებული გაუაზრებელი რეფორმების შედეგად, ამ ქვეყნების სასკოლო განათლება, უბრალოდ, იღუპება. კალკულატორის გამოყენების ცოდნამ მიგვიყვანა ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უქონლობამდე, მათემატიკური და ფიზიკური ამოცანების არსის გაგების უუნარობამდე.

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ვიქტორ დოცენკო გვიამბობს პარიზის უნივერსიტეტში თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილებისა და ამასთან დაკავშირებულ მოსაზრებებზე.

ისტორიკოსები დღემდე კამათობენ იმის თაობაზე, თუ როგორ მოხდა, რომ ასეთმა განათლებულმა და ბრძენმა ძველმა ეგვიპტელებმა ასე სწრაფად დაივიწყეს თავისი დიდებული პირამიდების მშენებლობა (ყველაფერი ეს მოხდა რამდენიმე თაობის არსებობის განმავლობაში დაახლოებით ქრისტეშობიდან 26-ე საუკუნეშიძ. ეს იყო გამაოგნებელი ისტორიული კატასტროფა. ყოველივე ამას საუკუნეობით სწავლობდნენ, გადასცემდნენ თაობიდან თაობას, აგროვებდნენ ცოდნასა და გამოცდილებას, სრულყოფდნენ თავის ოსტატობას. შემდეგ ააშენეს სამი დიდებული პირამიდა (ხეოფსის, ხეფრენისა და მიკერინისძ და უცებ, ყველაფერი დაივიწყეს. დაკარგეს ჩვევები, უნარი და ოსტატობა, ელემენტარული საკითხების გაგების უნარი. რაც ყველაზე გასაოცარია, თითქოს ყოველივე თავისთავად მოხდა, ბარბაროსების შემოსევისა და ომების გარეშე. ყოველივე, რაც შემდეგ აშენდა, იყო დიდებული პირამიდების საცოდავი მიმსგავსება და დღეს მხოლოდ ნანგრევების გროვას წარმოადგენს.

დღეს მე უკვე ვიცი, როგორ შეიძლება ასეთი რამ მომხდარიყო. საქმე ის არის, რომ უკვე მეხუთე წელია ვასწავლი პიერ და მარია კიურების სახ. პარიზის უნივერსიტეტში (რომელსაც „Paris vi“ ან „Suscieu“ ჰქვიაძ ფიზიკასა და მათემატიკას. უნდა ითქვას, რომ განათლების დონით არც პარიზია პლანეტაზე ბოლო ადგილზე და არც ჩემი უნივერსიტეტია უარესთა შორის პარიზში. რუსეთი ყოველთვის რამდენადმე ჩამორჩებოდა განათლების დონით დასავლეთს. და თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, თუ როგორ ენერგიულად და, რაც მთავარია, რად ცდილობს გადააქციოს თავისი რეფორმებით ჩვენმა მშობლიურმა განათლების სამინისტრომ რუსული განათლება, მე აქ, პარიზში, შესაძლებლობა მაქვს დავაკვირდე ჩვენს არცთუ შორეულ მომავალს. თუმცა არავითარი პრეტენზია არ მაქვს „მომავალის წინასწარმეტყველზე“ და ამიტომ ვეცდები განზოგადებებისაგან თავი შევიკავო. ჩემ შესაძლებლობებში არ შედის შევადარო ფრანგული განათლების საშუალო დონე (რომელზედაც საკმაოდ მწირი წარმოდგენა მაქვსძ, დღევანდელი რუსული განათლების საშუალო დონეს (რომელზედაც, მით უმეტეს, არაფერი ვიცი). პატიოსნად რომ ვთქვათ, მე საერთოდ არ მესმის, რას ნიშნავს „განათლების საშუალო დონე“. ამიტომ გიამბობთ მხოლოდ ჩემ პირად გამოცდილებაზე, ანუ „რასაც ვხედავ, იმას ვმღერი“.

დავიწყებ პატარა ცნობის მოწოდებით. საფრანგეთში დიდი ხანია შემოიღეს და მოქმედებს „ერთიანი სახელმწიფო გამოცდა“ — БАК-ი (სიტყვა ბაკალავრიატიდანძ. БАК-ის შემოღების მოტივაცია დაახლოებით ისეთივე იყო, როგორიც ასეთი გამოცდების შემოღებისა რუსეთში, კერძოდ კი: ყველა მოსწავლის ჩაყენება ერთნაირ პირობებში, განათლებასთან დაკავშირებული კორუფცირება და ა.შ. მოკლედ, ყველაფერი პატიოსნად და სამართლიანად უნდა ჩატარებულიყო. მაგრამ ამ ორ გამოცდას შორის, განსხვავებაც არის. БАК-ს აქვს რამდენიმე სპეციალიზაცია. ის შეიძლება იყოს სამეცნიერო (ანუ პრიორიტეტი ფიზიკასა და მათემატიკას აქვსძ და ჰუმანიტარული — ენების, ფილოსოფიისა და ეკონომიკის პრიორიტეტით. БАК-ის ჩამბარებელი პირი, ყოველგვარი დამატებითი გამოცდების გარეშე ირიცხება თავისი პროფილის ნებისმიერ უნივერსიტეტში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და სწავლობს იქ უფასოდ, თუ არ ჩავთვლით „საკომისიო მოსაკრებელს“ 300 ევრომდე ყოველი წლის დასაწყისში. თუ სტუდენტის ოჯახის შემოსავალი გარკვეულ დონეზე დაბალია, იგი მიუხედავად მისი მოსწრებისა, სტიპენდიას იმსახურებს. აბიტურიენტს, რომელიც (15-20ძ ქულაზე მეტს დაიმსახურებს, შეუძლია ჩაეწეროს ელიტარული უნივერსიტეტის Гранд Эколь-ის მოსამზადებელ კურსებზე, ხოლო თავად უნივერსიტეტში ჩასარიცხად მოსამზადებელი კურსების შემდეგ საჭიროა მისაღები გამოცდების ჩაბარებაც. როგორც მოსამზადებელ კურსებზე, ასევე უნივერსიტეტში სწავლისას ხდება განთესვა როგორც ზამთრის, ისე საგაზაფხულო სესიების დროს. სტუდენტი, რომელიც გარკვეულ ქულებზე ნაკლებს დაიმსახურებს, ირიცხება ან გარკვეულ შემთხვევებში მეორე წლით რჩება კურსზე. ჩემს უნივერსიტეტში ზამთრის სესიაზე განთესილთა რაოდენობა 40, საგაზაფხულო სესიებზე კი 30 პროცენტის ტოლია. სწავლების მეორე წლის ბოლოს თავდაპირველად ჩარიცხულთა ერთი მეოთხედი ძლივს რჩება (ფაქტობრივად, ეს ორ წელიწადზე გაჭიმული მისაღები გამოცდებიაძ. განთესვა ნაკლები ინტენსივობით შემდგაც გრძელდება. შემდეგ ეს სწავლება 2 ან 3 წლის განმავლობაში მთავრდება DEA-თი, რომელიც ზოგიერთი შესწორებებით ახლოს არის ჩვენს ასპირანტურასთან. და რომელიც დისერტაციის დაცვითა და სამეცნიერო ხარისხით მთავრდება. ბუნებრივია, ამ დონემდე აღწევენ მხოლოდ ის სტუდენტები, რომლებიც არიან „ყველაზე — ყველაზე“... ამ მოსაწყენ შესავალს დავამთავრებ რამდენიმე წინადადებით ჩემს შესახებ. ვარ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ვმუშაობ თეორიულ ფიზიკაში. უნივერსიტეტში „Paris vi“ პირველკურსელებს ვასწავლი ფიზიკასა და მათემატიკას, ვკითხულობ თეორიული ფიზიკის კურსსაც და ვუტარებ სემინარებს ასპირანტებს, „Экол Нормаль Суперьер-ის ბოლო კურსზე, ანუ ამ სემინარებს ვუტარებ არა მარტო იმათ, ვინც არიან „ყველაზე-ყველაზე“... არამედ კიდევ „супер“ და „экстра“.

როგორც ხედავთ, განათლების სისტემა არცთუ ცუდად არის ჩაფიქრებული, ყველაფერი მოწყობილია საკმაოდ გონივრულად და ყოველივე ამისათვის ფულიც არსებობს. თუმცა ფრანგები გამუდმებით აღნიშნავენ, რომ განათლებისთვის ფული კატასტროფულად არასაკმარისია. ეს ალბათ, იმიტომ ხდება, რომ მათ არ იციან, რას ნიშნავს ნამდვილად არასაკმარისი. ხოლო მათ, ვინც ჯერ არ იცის, მინდა შევატყობინო, რომ „გვინდოდა, როგორც უკეთესია და გამოვიდა როგორც ყოველთვის“ ხდება არა მარტო რუსეთში. ფრანგული განათლება (და მე ვეჭვობ, რომ არა მარტო ფრანგულიძ ამის ნათელი მაგალითია.

ჩემი მოღვაწეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები მივმართო უმაღლესი მათემატიკის ექსპერტებს, კატასტროფულად არასაკმარისია. მხედველობაში მაქვს ისინი, ვინც იცის არითმეტიკის ოთხივე მოქმედება, აგრეთვე წილადების შეკრება, და გაცნობილია გამრავლების ტაბულას.

რა მასალა შევაგროვე პირველკურსელებთან მუშაობისას. ახლა გაგაცნობთ. პირველკურსელების 50-კაციანი ჯგუფიდან, ვისაც მე ვასწავლი, 8 ადამიანი თვლის, რომ 3/6 ტოლია 1/3-ისა. ამ ახალგაზრდებმა ეს-ეს არის ჩააბარეს სამეცნიერო БАК-ი, ანუ ერთიანი სახელმწიფო გამოცდა ფიზიკისა და მათემატიკის პრიორიტეტით. ექსპერტები, რომელთაც პარიზის უნივერსიტეტებში სწავლების პრაქტიკა არ აქვთ და ამას ვუამბობ, ჩიხში ექცევიან. და რაც ექსპერტებისათვის დამახასიათებელია, ცდილობენ სტუდენტთა ასეთ პასუხებში იპოვონ ლოგიკა, მათემატიკური მსჯელობები, რომელმაც ასეთი რეზულტატი მოგვცა. საქმე კი სრულიად მარტივად არის. მოსწავლეებს ასე ასწავლეს სკოლაში და მათ როგორც ბეჯითებმა, ასე დაიმახსოვრეს (უნივერსიტეტში ხომ მხოლოდ ბეჯითები ხვდებიანძ. აი, რაშია საქმე. შემდეგ მეცადინეობაზე, ნაცვლად იმისა, რომ ფუნქციის წარმოებული ამეხსნა, ჩემს სტუდენტებს ავუხსენი, რომ 3/6 არის 1/2-ის ტოლი, და არა 1/3-ისა, როგორც ზოგიერთ მათგანს ჰგონია. რეაქცია ასეთი იყო: „ასეა? კარგი“. მათთვის რომ მეთქვა 3/6 ტოლია 1/10-ისა-მეთქი, რეაქცია იგივე იქნებოდა.

წინა ორი სასწავლო წლის განმავლობაში ჩემი სტუდენტები (10-15 პროცენტი) სისტემატურად ავლენდნენ არანაკლებ „არასტანდარტულ“ მათემატიკურ ცოდნას, ისინი თვლიდნენ, რომ ნებისმიერი რიცხვი აყვანილი (-1ძ ხარისხში ნულის ტოლია. ეს იყო არა შემთხვევითი შემთხვევები, არამედ კარგად ათვისებული ცოდნა, რომელიც მიუხედავად ჩემი წინააღმდეგობისა, ხშირად მეორდებოდა და თანაც ორმხრივად მოქმედებდა. ანუ თუ რიცხვი (-1ძ ხარისხში იყო ასაყვანი, მას ნულს უტოლებდნენ და პირიქით, ნულს აიგივებდნენ რაღაც რიცხვის (-1ძ ხარისხთან. დასკვნა ასეთია — მათ ასე ასწავლეს.

რაც ვერ ასწავლეს საწყალ ფრანგ ბავშვებს, ეს არის წილადებზე მოქმედება. საერთოდ, წილადები, მათი შეკრება, გამოკლება, გამრავლება და განსაკუთრებით გაყოფა, ჩემი სტუდენტების მუდმივი თავისტკივილია. ჩემი პარიზის უნივერსიტეტში მოღვაწეობის ხუთი წლის პრაქტიკიდან გამომდინარე, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ წილადებზე რამდენადმე დარწმუნებით მოქმედება შეუძლია ჩემი სტუდენტების არა უმეტეს მეათედისა. უნდა ითქვას, რომ არითმეტიკული ოპერაცია — გაყოფა არის თანამედროვე ფრანგული საშუალო განათლების ყველაზე რთული და ძნელი თემა. როგორ უნდა ასწავლო ბავშვს გაყოფა? ალბათ ექვსი ვაშლის სამ ბავშვზე თანაბრად განაწილების მაგალითით. იმის გასაგებად, როგორ ასწავლიან გაყოფას ფრანგულ სკოლებში, მივმართე ექსპერტებს. საწყალ ფრანგ ბავშვებს აძლევენ შარადებს, რომელშიც სვეტებად განთავსებულია გასაყოფი, გამყოფი და განაყოფი, მაგრამ ზოგიერთი ციფრი გამოტოვებულია და ეს გამოტოვებული ციფრები ბავშვებმა უნდა ჩასვან. ბუნებრივია, სწავლების ასეთი მეთოდის შემდეგ, რაც არ უნდა გითხრან 3/6-ის თაობაზე, ყველაფერზე თანახმა იქნები.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი „სისტემური არასტანდარტული ცოდნისა“ (რომელიც სკოლაში ისწავლებაძ, არსებობს პირადული ფანტაზიებიც, ზოგიერთი მათგანი ძალიან სასაცილოა. მაგალითად, ერთმა ყმაწვილმა შემომთავაზა რიცხვის მნიშვნელიდან მრიცხველში გადატანა შეცვლილი ნიშნით. მეორემ, მიიღო რა კუთხის კოსინუსი 8-ის ტოლია, გადაწყვიტა, რომ კუთხე ტოლი იქნება 8.360 გრადუსზე. ასეთი მაგალითების მთელი კოლექცია მაქვს. მაგრამ მათზე არ ვილაპარაკებთ. ბოლოსდაბოლოს ახალგაზრდებს რომ შეუძლიათ ჯერ კიდევ იფანტაზიორონ, ეს არც ისე ცუდია. სკოლაში ფიქრს გადააჩვიეს, ვინც ვერ გადააჩვიეს, უნივერსიტეტში გადააჩვევენ, მაშ ასე მაინც გამოავლინონ ტვინის ცხოველმყოფელობა (სანამ ისინი, ცხოველმყოფელობა და ტვინი, კიდევ არსებობენძ.

საკმაოდ დიდხანს ვერ ვიგებდი, ცოდნის ასეთი დაბალი დონით ახალგაზრდებმა როგორ ჩააბარეს БАК-ის ამოცანები, რომელიც საკმაოდ რიგიან დონეზეა შედგენილი და რომელთა ამოხსნაც, როგორც მე მეჩვენება, შესაძლებელია მხოლოდ რიგიანი ცოდნის ფლობის შემთხვევაში. ახლა მე უკვე ვიცი ამ კითხვის პასუხი. საქმე ის არის, რომ БАК-ის ყველა ამოცანის ამოხსნა შეიძლება კარგი კალკულატორით, რომელთა ხმარებაც БАК-ის დროს დაშვებულია.

თანამედროვე კალკულატორები ძალიან ჭკვიანები არიან და მათ ნებისმიერი ალგებრული გარდაქმნის წარმოებაც შეუძლიათ, ფუნქციის წარმოებულის პოვნაც, გრაფიკის აგებაც. რა-რა და სწრაფად და სწორი თანამიმდევრობით ღილაკებზე დაჭერას თანამედროვე ახალგაზრდები ადვილად სწავლობენ. ერთი კია, თუ სხვა ღილაკს დააჭირე, შევრცხვებით ჩემი ძველმოდური გაგებით, ახლებური გაგებით კი მივიღებთ უბრალოდ შეცდომას, რომლის გადაკეთება ადვილია. ერთმა ჩემმა სტუდენტმა, მაგალითად, არასწორად დავაჭირეთ ხელი ღილაკს და მიიღო დედამიწის რადიუსი 10 მმ. საუბედუროდ, მას სკოლაში ან არ ასწავლეს, ან ასწავლეს და ვერ დაიმახსოვრა რა ზომისაა ჩვენი პლანეტა. ამიტომ მიღებულმა პასუხმა ის არ გააოცა და ჩემი შენიშვნის შემდეგ უფრო ფრთხილად დაიწყო ღილაკებზე დაჭერა და სწორი პასუხიც მიიღო. ეს იყო მონდომებული სტუდენტი, მაგრამ მისთვის როგორც რუსულად იტყვიან „до лампочки“, როგორი რადიუსი აქვს დედამიწას, 10 მმ თუ 6400 კმ. რამდენსაც იტყვიან, იმდენი იქნება. მაგრამ, კალკულატორების აკრძალვას ის მოჰყვება, რომ БАК-ს ვერავინ ჩააბარებს, ბავშვები უნივერსიტეტში ჩარიცხვის ნაცვლად სამუშაოს ძებნას დაიწყებენ, უმუშევარი დარჩება უნივერსიტეტების პროფესორთა მთელი არმია — ანუ იქნება საშინელი სოციალური აფეთქება. ასე რომ, კალკულატორებს ხელი არ უნდა ვახლოთ, მით უმეტეს, რომ უმრავლეს შემთხვევაში მოსწავლეები სწორად აჭერენ ხელს ღილაკებზე.

**დალი ქვირია**




## გვირეკავენ, გვეკითხებიან

**— ვარ მარტოხელა, I ჯგუფის ინვალიდი. ჩემი პენსია ირიცხება შემნახველ ბანკში, ჩემთან შეთანხმების გარეშე. მე ბანკში მისვლა არ შემიძლია.**

**გთხოვთ, გამარკვიოთ, როგორ მოვიქცე?**

**ეთერ ნადარეიშვილი.**

— მოქმედი კანონის შესაბამისად, მარტოხელა პენსიონერს, რომელსაც თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, არ შეუძლია შემნახველ ბანკში პენსიის მისაღებად მისვლა, უფლება აქვს მოითხოვოს, პენსია მიიღოს საცხოვრებელ ადგილზე.

აღნიშნულ საკითხზე გირჩევთ, კონკრეტული განცხადებით მიმართოთ სოციალური დაზღვევის ფონდის რაიონულ განყოფილებას, ხოლო თუ მათი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დარჩებით, დახმარებისთვის მიმართეთ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელობას.

* * *

**— დამეღუპა ახალგაზრდა მეუღლე, სამუშაოზე წასვლისას დაეჯახა მანქანა, დამრჩა 3 მცირეწლოვანი შვილი, რომელთაც დაენიშნათ ჩვეულებრივი პენსია. გთხოვთ, განმიმარტოთ, ეკუთვნით თუ არა ბავშვებს მამის ხელფასიდან განსხვავებული პენსია? წინა წლებში მეუღლე მუშაობდა სოფლის საკრებულოში და აუღებელი დარჩა რამდენიმე თვის ხელფასი. ვალდებულია თუ არა ხელმძღვანელობა, მომცეს მეუღლის კუთვნილი ხელფასი?**

**ნაირა ქობალავა.**

— შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, ბავშვებს განსხვავებული პენსია, სამწუხაროდ, არ ეკუთვნით. აქვე გაცნობებთ, რომ თუ თქვენს აწ გარდაცვლილ მეუღლეს მიუღებელი დარჩა წინა წლების ხელფასი, იგი უნდა მოგეცეთ.

* * *

**— აფხაზეთის ომში დამეღუპა შვილი, რომელიც ჩემი ერთადერთი მარჩენალი იყო. ვარ 65 წლის. ეკონომიურად უკიდურესად მიჭირს. გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორც მარჩენალდაკარგულ დედას, მეკუთვნის თუ არა შეღავათები კომუნალურ გადასახადზე?**

**ელენე გიორგაძე.**

— თუ თქვენ ცხოვრობთ თბილისში, ხართ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების დროს დაღუპული მეომრის მშობელი და გაქვთ ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ გაცემული შესაბამისი საბუთი, თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე, თავისუფლდებით კომუნალური მომსახურების გადასახადის გადახდისაგან, ხოლო თუ ცხოვრობთ რეგიონში, შეღავათები გაგივრცელდებათ იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი ბიუჯეტი დაფინანსების საშუალებას იძლევა. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ გაქვთ ზემოაღნიშნული მოწმობა, გირჩევთ მიმართოთ ვეტერანთა საბჭოს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტს.

* * *

**— ვარ ხუთი შვილის მამა, ვცხოვრობ რაიონში. მეკუთვნის თუ არა შეღავათები ელექტროენერგიის, წყლისა და მიწის გადასახადზე?**

**ვიქტორ იაშენკო.**

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მრავალშვილიან ოჯახებზე შეღავათები ელექტროენერგიისა და მიწის გადასახადის გადახდის დროს გათვალისწინებული არ არის, ხოლო მოხმარებული წყლის გადასახადისაგან, თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე, გათავისუფლებულნი არიან დედაქალაქში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები.

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**

**◉ მსოფლიო ჩემპიონატი**

# მეორე რაუნდი



**უკვე გაუწყეთ, რომ რუსეთის ქალაქ ეკატერინბურგში დაიწყო მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ე. წ. „ნოკაუტსისტემით“ მიმდინარეობს. მეორე რაუნდში ექვსიდან ხუთმა ქართველმა მოჭადრაკემ გააღწია (მაკა ფურცელაძე ალისა გალიამოვასთან დამარცხდა).**

გუშინწინ მეორე ეტაპის პირველ ტურში ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ თეთრი ფიგურებით შოტლანდიაში მცხოვრები თანამემამულე ქეთევან არახამია-გრანტი დაამარცხა. წარმატებას მიაღწია ლელა ჯავახიშვილმაც. მან, ასევე თეთრებით, ინდოელ სუბარამან ვიჯაიალაქშმის სძლია. ნინო ხურციძე და ნანა ძაგნიძე, შესაბამისად, კუბელ მარიცა არიბასსა და ჩინელ ძიუ ვენძუნის დაუზავდნენ.

გაუწყებთ წუხანდელი მეორე ტურის შედეგებს:

**ჩიბურდანიძე – არახამია 0,5:0,5, ხურციძე – არიბასი 1:0, ჯავახიშვილი – ვიჯაიალაქშმი 0:1, ძაგნიძე – იუ 0,5:0,5.**

**ჩიბურდანიძე და ხურციძე მესამე წრეში გავიდნენ.**

**◉ მუნდიალ – 2006**

### განვაგრძობთ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტთა წარდგენას

# 22. ეკვადორი

**ეკვადორის ნაკრებს ადრე უმნიშვნელო ადგილი ეკავა სამხრეთი ამერიკის გუნდების იერარქიაში. ბოლო წლებში მდგომარეობა შეიცვალა და 2002 წელს ეკვადორელებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ბუკმეკერების ფსონი დღეისათვის – 126.00.**

ეკვადორის ნაკრების მწვრთნელად 2004 წლის შუა ხანებში მიიწვიეს კოლუმბიელი სპეციალისტი ლუის სუარესი. მან ჩინებულად გადაწყვიტა პირველივე ამოცანა – სამხრეთამერიკული ზონის 10 ნაკრების ჭიდილში ეკვადორელები მეოთხე ადგილზე გაიყვანა და გერმანიის საგზური მოუპოვა. ამან სუარესს საკმაო დრო მისცა თავისი გუნდის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მომზადება დაეწყო.

ერთი რამ უცვლელი დარჩა – ისევე, როგორც იაპონიასა და კორეაში, ნაკრების ლიდერად რჩება გამოცდილი თავდამსხმელი აუგუსტინ დელგადო, რომელიც კარგა ხანს წარმატებით თამაშობდა ინგლისურ „საუთჰემპტონში“. მთელ რიგ წამყვან პოზიციებზე საჭირო გახდა ახალი ძალების დაწინაურება, რომლებმაც უკვე გამოიჩინეს თავი. ეს კი ეკვადორულ ექსპერტებს მსოფლიო ჩემპიონატის წინ გარკვეულ იმედებს აძლევს. რა თქმა უნდა, საპრიზო ადგილზე გამოსვლის პრეტენზია ეკვადორელებს არ უნდა ჰქონდეთ, მაგრამ მათი ძლევაც ძნელი იქნება.




**◉ რა არ ხდება!**

# ღორსპორტის ახალი ლიდერი

**რუსეთის სპორტული მეღორეობის ფედერაციამ შეაჯამა მესამე ოლიმპიური თამაშებისთვის საწვრთნელი შეკრების პირველი კვირის შედეგები. შეკრება კი ლუხოვიცის სპორტულ ღორბაზაში მიმდინარეობს.**

როგორც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ალექს შარკოვმა აცნობა სააგენტოს, – „მთელი სპორტი“, გამოვლინდა რუსეთის ნაკრების ახალი ლიდერი – გოჭი კოსტიკი, ზედმეტსახელად რუსიშ შვაინ. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ლიდერი ძალზე სწრაფად ითვისებს სავალდებულო ოლიმპიურ დისციპლინებს, საწვრთნელი ვარჯიშიდან თავისუფალ დროს კი დამოუკიდებლად ვარჯიშობს დაბრკოლებებზე გადახტომაში. სწორედ ამან აფიქრებინა ფედერაციის ხელმძღვანელებს მომავლისთვის ოლიმპიური პროგრამის გაფართოება.



ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, რომ კოსტიკ რუსიშ შვაინი სპორტულ ღორბაზაში წვრთნას თავისი პატრონის კონსტანტინე პეტრუნინის დაკვეთით გადის, რადგან მას ამ გოჭის სპორტული მომავლის დიდი იმედი აქვს.

**◉ ნარდი**

# „რა ქნას კარმა მონარდემა“

**საქართველოს ნარდის ასოციაციის (პრეზიდენტი თემურ ქურციკიძე) ინიციატივით „ლაგუნა ვერეს“ საკონფერენციო დარბაზში მონარდეთა თბილისის ღია პირველობა გაიმართა. ასპარეზობაში 12 ქალაქისა და რაიონის ასზე მეტი წარმომადგენელი ჩაება. მათ შორის გახლდათ 14 მანდილოსანი, რომლებიც ქართულ მოკლე ნარდში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ნახევარფინალში მხოლოდ დედაქალაქელებმა გააღწიეს – ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა ცისანა მჭედლიძემ და მერი სვანიძემ, შესაბამისად, მარინე გურგენიძე და ციალა ხომერიკი დაამარცხეს. გადამწყვეტ შეხვედრაში მჭედლიძემ გაიმარჯვა და პირველი ადგილი დაიკავა.**



ამავე სახეობაში ვაჟთა შორის 52 მონაწილე იბრძოდა ჩემპიონობისთვის. ყველას თბილისელმა დავით მერკვილაძემ აჯობა. ფინალში მან ანზორ გუჯაბიძეს სძლია. მესამე ადგილებზე ჯიმი ჩარუა და ბაქარ მათიკაშვილი გავიდნენ.

გრძელ ნარდში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ომარ დვალი (თბილისი), 2. ომარ ძოძუაშვილი (ქუთაისი), 3. კახა ნაჭყებია და დემურ მაღლაკელიძე (ორივე – თბილისი).

ყველაზე დაძაბული აღმოჩნდა ძირითადი ტურნირი – ნარდი საერთაშორისო წესებით, რომელშიც მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებიც იმართება. აქ უძლიერესის სახელი ომარ ძოძუაშვილმა მოიპოვა. ფინალში მან ჯიმი ჩარუას სძლია. მესამე ადგილები ბაქარ მათიკაშვილსა და გოგი თუხარელს (ორივე თბ., ლისი) ხვდათ.

გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურმა (უფროსი გია უდესიანი) დააჯილდოვა.

– ეს შეჯიბრება მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებას მიეძღვნა, – მითხრა **თემურ ქურციკიძემ.** – 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ პირველობას გავმართავთ. ამ ასპარეზობებსა და უცხოეთის ტურნირებზე მიღწეული შედეგების მიხედვით დავაკომპლექტებთ საქართველოს ნაკრებს, რომელიც ივნისის ბოლოს ვენეციაში მონარდეთა ოლიმპიადაზე, ხოლო ივლისის დასაწყისში მსოფლიო ჩემპიონატზე (მონტე-კარლო) გამოვა.

ჩვენ საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის კარგი გამოცდილება გვაქვს. გვყავს მსოფლიო ჩემპიონები ოსტატთა შორის – ვალერიან თორელი და თემურ მაღლაკელიძე, ვიცე-ჩემპიონი კახა ნაჭყებია, ევროპის ჩემპიონი აკაკი კიკალეიშვილი და სხვები. უსახსრობა გვიშლის ხელს, თორემ მიღწევები უფრო თვალსაჩინო იქნებოდა. ბიზნესმენების შემწეობით გავდივართ ფონს. ახლაც მათი გვეიმედება.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და საქალაქო პირველობის მაღალ დონეზე გასამართავად ხელშეწყობისთვის მადლობა გადავუხადო საწყლსონო კომპლექსის ხელმძღვანელობას, პირადად ბატონ ვლადიმერ გოიაშვილს. „ლაგუნა ვერე“ სამომავლოდაც თანამდგომას გვპირდება.



**ლექსო ცინცაძე**

**სურათებზე: ქალთა შორის ფინალური შეხვედრის მომენტი (მარცხნივ ცისანა მჭედლიძე); თემურ ქურციკიძე საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს ომარ დვალს აჯილდოებს.**

**◉ ჭადრაკი ოთხშაბათობით**

# საჭადრაკო ხედვა + ტექნიკა



**მილან ვიდმარი (1885, ლიუბლიანა – 1962 იქვე) გახლდათ საერთაშორისო დიდოსტატი (1950) და საერთაშორისო არბიტრი (1950), ლიუბლიანის უნივერსიტეტის რექტორი, საჭადრაკო ლიტერატორი, სლოვენიის მეცნიერებათა აკადემიის პროფესორი, მსოფლიო პირველობის (1948) და ოლიმპიადის (1950) მთავარი არბიტრი, მსოფლიო ოლიმპიადებზე 1931 და 1935 წლებში იუგოსლავიის ნაკრები გუნდის კაპიტანი, იუგოსლავიის ჩემპიონი (1939).**

1922 წელს ლონდონის საერთაშორისო ტურნირში III ადგილი დაიკავა (ა. ალიოხინის და ხ. კაპაბლანკას შემდეგ), 1925 წელს ჰასტინგსში 9 შესაძლებლიდან 8,5 ქულით ალიოხინთან ერთად I-II ადგილები გაიყო. 1906 წელს მატჩი მოუგო ტარტაკოვერს 5,5:3,5, ოცდაათი წლის შემდეგ რეშევსკის სძლია – 3,5:2,5.

ვიდმარი განსაკუთრებულ ყურადღებას საჭადრაკო ხელოვნების ლოგიკას აქცევდა. მცირე უპირატესობის რეალიზაციის ტექნიკას ფლობდა, მისი პოზიციური ხედვა შერწყმული ფილიგრანულ ტექნიკასთან, ჭადრაკის სასწავლო გაკვეთილების ნიმუშს წარმოადგენსო, – ამბობდა რიხარდ რეტი.

**თამაზ შენგელია**

### ა. რუბინშტეინი – მ. ვიდმარი
### (ბერლინი, 1918)

შავები აიძულებენ მეტოქის მეფეს, მიატოვოს თავისი „სამფლობელო“ და საშამათო ქსელში გაებას.



**16. ... ე:f4 17. ef კf5 18. ლb2 ეe8 19. მფf3 მd2+ 20. მფg3 მe4+ 21. მფh4 ეe6 22. კe2 ეh6+ 23. კh5 ე:h5+ 24. მფ:h5 კg6++ 25. მფg4 ლh5X.**

**◉ ორბიტაზეა**

## ტრაგედია ტრაგედიაზე

**ბევრ ჩვენგანს ალბათ არც გაუგია სპორტის ასეთი სახეობა – ბეის-ჯამპინგი. ესაა ექსტრემალური მიმდინარეობა, რომელიც 1978 წელს აშშ-ში წარმოიშვა. და ის გულისხმობს პარაშუტით ხტომას სხვადასხვა მაღალი ობიექტიდან. სწორედ მან შეიწირა 25 წლის ინგლისელი ექსტრემალი კენტის საგრაფოში სუონს-კომბეში.**



ელექტროანძის სიმაღლე, რომლის დაპყრობა სამმა ბეის-ჯამპერმა გადაწყვიტა, 670 ფუტი (დაახლოებით 200 მეტრი) იყო. მეგობრები ღამით ხტომას ანიჭებდნენ უპირატესობას. უკუნეთში ხტომა მათ უფრო მიმზიდველად ეჩვენებოდათ, ვიდრე დღისით. მეგობრებიდან ორი მშვიდობიანად დაეშვა მიწაზე. მესამე გაფრენა კი ტრაგიკულად დასრულდა. ჯერ კიდევ გაურკვეველი მიზეზებით, პარაშუტი არ გაიხსნა და ექსტრიმის მოყვარული 200 მეტრის სიმაღლიდან დაასკდა დედამიწას.

როგორც ამბობენ, ბეის-ჯამპინგის არსებობის მეოთხედი საუკუნის მანძილზე უკვე დაიღუპა 90-ზე მეტი ახალგაზრდა. ძირითადად ამ ტრაგედიის მიზეზი პარაშუტის დაგვიანებით გაშლა ან საერთოდ გაუშლელობაა.

## ბორგის თასები აგასის?

**ლეგენდარულ შვედ ჩოგბურთელს ბიორნ ბორგს ისე გაუჭირდა, რომ, რათა ოჯახი შეინახოს, აუქციონზე გასაყიდად გამოიტანა თავისი დიდი სპორტული ნადავლი, მათ შორის უიმბლდონის ტურნირის გამარჯვებულის ხუთი თასი.**



ამ თასების ყიდვა სახელგანთქმულმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა ანდრე აგასიმ გადაწყვიტა, მაგრამ თავისთვის კი არა, რომელიმე მუზეუმისთვის გადასაცემად.

„არავინ უნდა ფლობდეს უიმბლდონის გამარჯვებულის თასს, თუკი ის არ მოუგია, – განმარტა თავისი პოზიცია ამერიკელმა, – მე ვერ გავამტყუნებ ბორგს, მაგრამ იმის გაფიქრება, რომ ამ ნადავლს ვინმე დაეუფლება იმიტომ, რომ ბევრი ფული აქვს, არ მსიამოვნებს. ბოლოს და ბოლოს უიმბლდონი ხომ უდიდესი ტურნირია მსოფლიოში.

აგასიმ, შესაძლოა, ვერ შეძლოს ერთპიროვნულად პრიზების შეძენა, ამიტომ შექმნა სპორტთან დაახლოებული ადამიანების ჯგუფი იმ პირობით, რომ თასები ნებისმიერ შემთხვევაში მუზეუმს გადაეცემა.

ბორგი პრიზების თავისი კოლექციისთვის 500 ათასი დოლარის მიღებას ფიქრობს.

## ქურადსალები განსჯა

(მეხუთე გვერდიდან)

# „თვითმმართველობა" საარჩევნო კოდექსის თვალთახედვით

ჩვენი აზრით, ავტორებმა აღნიშნულ ნორმას დააკლეს დათქმა იმის თაობაზე, რომ იგი ვრცელდება სუბიექტთა იმ ჯგუფზე, რომელთაც უარესი შედეგი აქვთ მათ შორის, რომლებმაც 5-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერი დაძლიეს. მაგრამ ამთავითვე უნდა ითქვას, რომ არც ეს ვარიანტი იქნებოდა სამართლიანი და სამართლებრივად გამართული, სხვა მიზეზთა გამო.

საარჩევნო სამართალში ქართული გამოგონებების წვლილი უსაზღვროა. ხშირ შემთხვევაში ამ „ნოვაციებს" არც სამართლებრივი გამართლება აქვთ და არც სამართლიანობით გამოირჩევიან. ყველაფერი კი შეიძლება იმით აიხსნას, რომ კანონმდებელმა, საარჩევნო კოდექსს მმართველი პარტიის გამარჯვების საგარანტიო მათემატიკური გათვლები დაუდო საფუძვლად. ასეთია თბილისის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების ბუნება, ასეთივეა საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული ცვლილებებიც და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევანი რატომღა იქნებოდა გამონაკლისი. ჯამში ყველაფერი ეს სამართლიანი საარჩევნო სამართლის საზიანოდ ხორციელდება.

მიუხედავად იმისა, რომ კოდექსში შეტანილ ცვლილებებს მათემატიკური ტალანტით გამორჩეული პირის ხელი ატყვია, მთავარი ნაკლი ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული არჩევნების არითმეტიკულ მოდელს უკავშირდება. არც კი გამიგია, რომ პროპორციულ საარჩევნო სისტემაში დადგენილი ბარიერის გადამლახველი სუბიექტი მანდატების გარეშე რჩებოდეს. ჩვენ შემთხვევაში ეს შეიძლება საკმაოდ ხშირად მოხდეს. საქართველოს საარჩევნო კოდექსში, ბოლო ხანებში, აქტიურად ინერგება არათანაზომადი კრიტერიუმების გათანაბრების პრაქტიკა და ახალი ცვლილებებიც მორიგი ასეთი მცდელობაა. პრინციპში კი ეს იმგვარი გამოგონებებია, რომელთა მეშვეობითაც, საარჩევნო პრინციპების უგულებელყოფით, საარჩევნო სამართალში ფალსიფიკაციის „კანონიერ" ჩარჩოებში გაფორმება ხდება.

სწორედ რომ, არათანაზომადი კრიტერიუმების საფუძველზე პროპორციული არჩევნების ჩატარება შეიძლება მრავალი უსამართლობის გამომწვევი გახდეს. იმის გათვალისწინებით, რომ საკრებულოებში პროპორციული არჩევნები ათ მანდატზე ტარდება, თითო მანდატის მოპოვებას საარჩევნო სუბიექტების მიერ მოპოვებული ნამდვილი ხმების 10 პროცენტი სჭირდება. ამიტომ ხუთპროცენტიანი ბარიერის დაძლევა სულაც არ არის არჩევნებში თუნდაც ერთი მანდატის მოპოვების გარანტია. 5-პროცენტიანმა ბარიერმა თავისი ნომინალური დატვირთვა რეალურად მხოლოდ მაშინ შეიძლება შეიძინოს, თუ დაკარგული ხმების რაოდენობა სასურველ ბალანსს შექმნის.

სხვა შემთხვევაში არის ქართველი კანონმდებლების მიერ გამოგონილი სხვა „შესაძლებლობებიც", რომელთა სამართლიანობაზე მსჯელობა საერთოდ აბსურდია, მაგრამ ფაქტია, ვინაიდან საარჩევნო კოდექსის ნორმით არის კანონდებული: **„თუ საარჩევნო ოლქში პარტიული სიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი მანდატების საერთო რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი თანმიმდევრულად მიეკუთვნებათ პირველ რიგში იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით ვერ მოიპოვეს მანდატი, მაგრამ მოაგროვეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების 5 პროცენტზე მეტი, ხოლო შემდეგ იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც უკვე მოიპოვეს ერთი მანდატი მაინც, ამ შემთხვევაში თითო მანდატი მიეკუთვნება იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც არჩევნებში ხმების მეტი რაოდენობა მიიღეს"** (მუხლი — 123-ვ).

ყველა ეს „შესაძლებლობები" მმართველი პარტიის მიერ 55-70 პროცენტის დონეზე მოპოვებული ხმების უმრავლესობის შემთხვევაში ამოქმედდება. აღნიშნული მოსაზრების არგუმენტად, მრავალიდან ორ შესაძლო ვარიანტს წარმოვადგენთ, როდესაც 5-პროცენტიან „ბარიერს" ოთხი სუბიექტი დაძლევს:

— პირველი ვარიანტში — 27 ათასი ხმიდან 800-ზე მეტი ხმის დაკარგვის შემთხვევაში, სუბიექტების მიერ მოპოვებულმა ხმებმა თუ 68; 19; 5 და 5 პროცენტი შეადგინა, მანდატები მათ შორის, შესაბამისად, ასე განაწილდება: პირველ ორს 7 და 1 მანდატი — პირდაპირი მოპოვების გზით, ხოლო დანარჩენ ორს ზემოთ აღნიშნული მუხლით დადგენილი წესით ასევე თითო მანდატი. ასე რომ, თითქმის ოთხჯერ მეტი ხმის მომპოვებელი მეორე პარტია ბარიერის მინიმუმის დამძლევ პარტიებს უთანაბრდება.

— მეორე ვარიანტში — 10000 ხმიდან 900-მდე ხმის დაკარგვის შემთხვევაში სუბიექტების მიერ მოპოვებულმა ხმებმა თუ 55; 25; 5 და 5 პროცენტი შეადგინა, მანდატები მათ შორის შესაბამისად, ასე განაწილდება: პირველ ორს 6 და 2 მანდატი — პირდაპირი მოპოვების გზით, ხოლო დანარჩენ ორს, აგრეთვე დადგენილი წესით — თითო მანდატი. აქაც საოცრად „სამართლიან" პროპორციას ვღებულობთ: ხუთჯერ მეტი ხმების მომპოვებელი სუბიექტი იმდენივე მანდატს მიიღებს, როგორც ორი ხუთპროცენტიანი ბარიერის დამძლევი სუბიექტი.

კანონის ძალით გაფორმებული ცვლილებების ავტორთა გამოგონება ისეთ ყალბ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პროპორციულ საარჩევნო სისტემაში ერთი მანდატის მოსაპოვებლად საჭირო ხმების არათანაზომადი 5-პროცენტიანი ბარიერის შემოღება ოპოზიციური პარტიების სასარგებლოდ გადადგმული ნაბიჯია. რეალურად ეს ასე არ არის. საქართველოს საარჩევნო სამართალში, უკვე კარგა ხანია თანასწორობის საარჩევნო პრინციპი უგულებელყოფილია. ამჯერად უკვე ადგილობრივი საკრებულოების ფორმირებაში ჩადებული პროპორციული არჩევნებით მანდატების არაპროპორციული გადანაწილების შემოთავაზებული მეთოდი მმართველი პარტიისთვის მიუწვდომელი მანდატების, რაც შეიძლება მეტ პოზიციურ სუბიექტებზე დანაწევრებას ისახავს მიზნად, რათა საკრებულოს უმრავლესობას კენჭისყრისას ხმების მყარი გარანტია ჰქონდეს.

ზემოთ მოდელირებული ორივე, ისევე როგორც ბევრი სხვა ვარიანტი, აღნიშნულ მოსაზრებებს ადასტურებს. მათ შორის ყველაზე თვალნათლივია მეორე ვარიანტი, როდესაც მანდატების გადანაწილების შემოთავაზებული მექანიზმი, რომ არა 5-პროცენტიან სუბიექტზე ნაჩუქარი 2 მანდატი, პირველ ორ სუბიექტზე უნდა გადანაწილდეს. ამ შემთხვევაში ჩნდება საკრებულოში ოპოზიციური ფრაქციის შექმნის შანსი. თუ იმასაც ვივარაუდებთ, რომ ხმების მესამედის მომპოვებული პოლიტიკური გუნდისთვის ორი მაჟორიტარული მანდატის მოპოვებაც შეიძლება რეალური იყოს, ეს უკვე საკრებულოს წევრთა მესამედია, რომელიც საკრებულოში აქტიური საქმიანობისთვის საჭირო უფლებამოსილებებით აღჭურავს მას. ეს კი, ცხადია, თავსატეხს გაუჩენს მმართველ პოლიტიკურ ძალას. სწორედ ამიტომ ირჩიეს მათთვის მიუწვდომელი მანდატების დანაწევრება და ასეთ გამოგონებებზეც ამიტომ დაიხარჯნენ. საკანონმდებლო უმრავლესობაც მათია და რასაც უნდა იმას, როგორც უნდათ და შეუძლიათ ისე აკეთებენ.

**ოთარ მელქაძე**

## ოდაბადე

# ჩემი ჟანგბადის ბალიში

**იგი ჩემი სიცოცხლეა, ჩემი სუნთქვაა, ჩემი ოდაბადე — ადგილის დედაა... მასზე ლამაზი, მასზე გულუხვი და პურადი ხალხით დასახლებული ადგილი არ მეგულება საქართველოში (ესე იგი, მსოფლიოშიძ. ამ ბოლო დროს, ეტყობა, სიბერის მოახლოების გამო, ერთი ფრაზაც ამოვიჩემე (ახლო მეგობარს დავესესხეძ: „მაღლაკი ჩემი ჟანგბადის ბალიშია".**

ჩემ მშობელ სოფელზე მოგახსენებთ, ქუთაისის დასავლეთით რომ არის გაშლილი, 46 წლის წინათ რომ დავტოვე, თბილისს რომ „შევაფარე" თავი და მას შემდეგ, დრო და დრო რომ ვნახულობ, რომ ჩამიხუტებს და ჩავეხუტები, რომ მომეფერება და მოვეფერები, წამოვილებ ამ სიყვარულს, ამ მოფერებას დედაქალაქში, ჟანგბადის ბალიშივით ვისუნთქებ მცირე ხანს და, რომ შევატყობ, ცარიელდება „ბალიში", ისევე ჩავაკითხავ მაღლაკს...

რა ვქნა — მისი კლიმატი (ხშირად ქარ-სიცხიანიძ მირჩევნია რაჭალეჩხუმ-სვანეთისას, ბორჯომ-ბაკურიანისას... ჩემი მშობელია და, იმიტომ... მან შემაყვარა სრულიად საქართველო, „ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო" მის შარა-გზებზე და მის შუკებში შევიგრძენი და შევიტკბე...

ჰოდა, აგერ არ „მომიტანეს" მაღლაკი იმ დღეს?! **ციალა ღვინიანიძეს** გამოეგზავნა წყალტუბოდან თავისი წიგნი სოფელ მაღლაკის შესახებ.




ციალა ღვინიანიძე შესანიშნავი მოღვაწე ქალბატონია, ისტორიის სპეციალისტია, კარგა ხანს პედაგოგად მუშაობდა მშობლიურ წყალტუბოს რაიონში, მისი ინიციატივით შეიქმნა ბროწეულას სკოლა-ინტერნატის სასკოლო მუზეუმი, წყალტუბოს მცოდნეობის მუზეუმი, ნიკო ლორთქიფანიძისა და აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის სახლ-მუზეუმები ჩუნეშსა და დერჩში, ჯარისკაცის სახლი სოფელ ოფშკვითში.

1969 წლიდან დღემდე ქალბატონი ციალა წყალტუბოს აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორია. ავტორია წიგნებისა — „წყალტუბოს რაიონი დიდ სამამულო ომში", „ოფშკვითი", „საყულია", „ყუმისთავი", „ცხუნკური".

და, ამჯერად **„მაღლაკი"...**

რაღა დავმალო და, თქვენ გამაცანით ჩემი სოფელი, ქალბატონო ციალა. ამ წიგნიდან ბევრი ისეთი რამ შევიტყვე, რაც საერთოდ არ ვიცოდი. უამრავი საარქივო დოკუმენტისა და ფაქტის მოხმობით თქვენ უზარმაზარი პანორამა გაშალეთ, რომელზეც წარმოდგენილია ქვემო იმერეთის ერთ-ერთი უდიდესი (და წყალტუბოს რაიონში უდიდესიძ სოფლის წარსული და დღევანდელობა.

წიგნი გვაუწყებს და მე სიამაყით მავსებს, რომ **„წერილობით წყაროებში მაღლაკი დავით აღმაშენებლის ეპოქიდან იხსენიება.** თამარ მეფის დროს მაღლაკის ველი ლაშქრის შესაკრები ადგილი ყოფილა. XII საუკუნის I ნახევარში იხსენიება მხატვარი მიქაელ მაღლაკელი, რომელსაც სვანეთში, სოფელ მაცხვარიშში ეკლესია მოუხატავს 1140 წელს. მაცხვარიშის (ზემო სვანეთიძ ეკლესიის წარწერა გვამცნობს: **„მოიხატა საყდარი ესე მეფობას დემეტრესა წელსა იე (15ძ ხელითა მიქაელ მაღლაკელისათა".**

მაღლაკი ქუთაისს ესაზღვრება დასავლეთით და მის მიდამოებში მდებარეობს, მიქაელი (მიქელიძ კი ამ სოფლიდან იყო. სწორედ ამიტომაა, რომ ის თავის თავს მაღლაკელს უწოდებს. ირკვევა, რომ მიქაელი სამეფოს სახელოვანი მხატვარი იყო, რომელიც მოღვაწეობდა ქუთაის-გელათში და ისე როგორც სხვა აქაური მხატვრები, უთუოდ, სამხატვრო სამუშაოებს შეკვეთით ასრულებდა სხვა კუთხეებში, კერძოდ სვანეთში".

**„მაღლაკი მოხსენებულია XIII საუკუნის სიგელ-გუჯარში, რომელშიდაც ლაპარაკია „მაღლაკელმან და ფარსმანაყანეველმან გლეხებმან მარდალეიშვილმან და ციბაძემ გზის შესაკეთებლად გამოიყვანეს ურმები".** ამ საბუთიდან ირკვევა პირველი, რომ XIII საუკუნეში მაღლაკი და ფარცხანაყანევი დასახლებული სოფლები ყოფილან და მოსახლეობა გზის შეკეთებაზე ზრუნავდა და მეორეც, მაღლაკში ძირითადი გვარი მარდალეიშვილი ყოფილა, ხოლო ფარცხნაყანევში — ციბაძე".

წიგნი ბევრ საგულისხმო ცნობას შეიცავს და, რაც მთავარია, იგი მოგვითხრობს მაღლაკის მშრომელ ადამიანებზე, რომელთაგან ბევრი უკვე აღარ არის ამ ქვეყნად, მეც რამდენჯერ გული დამწყვეტია, რომ „წინაპართაგან წავიდა ყველა, სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული", მაგრამ დღევანდელი მაღლაკელები, მადლობა ღმერთს, მიუხედავად ავი დროისა, მომავალს იმედიანად შესცქერიან.

დიდი მადლობა, ქალბატონო ციალა, რომ გულითადად წერთ ამ ადამიანებზე, ჩემ მეზობლებზე, ჩემ სახლიკაცებზე... ძველით ახალი წლის შემდეგ აღარ მინახავს ისინი... სააღდგომოდ, თუ ღმერთმა მშვიდობა ქნა, უნდა ჩავიდე, მოვეფერო იქაურებს, მოვუალერსო ჩემ მამაპაპურ ოდასახლს და ეზო-ყურეს, გავავსო „ბალიში" ჟანგბადით...

და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ მიქელ-გაბრიელი „დიდ" საქართველოში არ წამიყვანს...

იქაც ჩემი სოფლის ხატებას გავიყოლებ.

**ვილენ მარდალეიშვილი**

## თეატრი

# ფერისცვალება და აღსასრული ჯალათისა

**ისტორიული უბედობით გატანჯული, მუდამ მუხანათობისა და განსაცდელის მომლოდინე ქართველი ადამიანი, რომელიც ოდითგან იყო ნაზიარები დრამატულ გარემოს, თავად ჩამოყალიბდა დრამატულ პიროვნებად. მისი მენტალური ფონი იდენტური სიმძაფრით აღიქვამს როგორც მტრის, ასევე მოყვასის ფენომენს. უფრო მეტიც: იგი ერთნაირი რუდუნებით ეპყრობა როგორც ერთს, ასევე მეორეს, ვაჟკაცურად ეგებება მათ, ძალზე განიცდის, როცა ერთი, ან მეორე, დიდი დროის განმავლობაში არ მიაკითხავს ხოლმე. სწორედ ეს აზრი ამეკვიატა, როცა აფიშაზე ამოვიკითხე, რომ „თეატრმა ათონელზე" საკუთარ სცენაზე მაყურებელს წარუდგინა ცნობილი შვეიცარიელი დრამატურგის ფრიდრიხ დიურენმატის მიერ რადიოპიესად შექმნილი ნაწარმოები „იგავი თანამედროვეთათვის". აქვე დავძენ, რომ არსებობს ამ პიესის მეორე ვერსია, რომელიც ათიოდე წლის წინათ გადაღებულ კინონაწარმოებს დაედო საფუძვლად.**

სპექტაკლი დაიდგა შვეიცარიის საელჩოს და გოეთეს ინსტიტუტის შეკვეთითა და დაფინანსებით. პიესის მთარგმნელი, დამდგმელი რეჟისორი და მუსიკალური გამფორმებელია მაია შენგელია, მხატვრობა ეკუთვნის ეკა სოლოღაშვილს, ფონოგრამა, მასტერინგი და ვიდეომონტაჟი კი გიორგი აფხაზავას. სპექტაკლში ორი, უაღრესად ნიჭიერი მსახიობია დაკავებული — ჯალათის როლს ზურაბ ბეგალიშვილი ასრულებს. იგი კიევის საერთაშორისო ფესტივალის, „აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების" საერთაშორისო კინოფესტივალის „გრანპრის" მფლობელია, მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის კინოფილმებში „აქ თენდება" (რეჟისორი ზაზა ურუშაძეძ და „ღამის ცეკვა" (რეჟისორი ალეკო ცაბაძეძ მიღებული აქვს საქართველოს კინოაკადემიის პრიზი „ნატო". მწერლის როლს ასრულებს ნიკა წერედიანი. მთელი სპექტაკლი კი გახლავთ მისი და ჯალათის ერთსაათიანი დიალოგი, ერთი ამოსუნთქვა, წამის გაელვება, მსგავსი თუნდაც ერთსაუკუნოვანი ბიოლოგიური სიცოცხლისა!



განსხვავებით თეატრალური სპექტაკლისა, რადიოსპექტაკლის რეჟისორმა წარმოდგენის გმირთა არსებობის ჩაკეტილი ციკლი შესთავაზა მაყურებელს: ჯალათმა ჯერ მწერალს მოუსწრაფა სიცოცხლე, შემდეგ კი თავად დააკვდა საკუთარ მსხვერპლს.

თითქოს მარტივი სქემაა, თუმცა, სწორედ ამ სიმარტივეში იყრის თავს რეალიათა ურთულესი სპექტრი. კინოვერსიაში მწერლისა და ჯალათის ნაცვლად წარმოდგენილია მე-16 საუკუნის ევროპის სულიერი სამყარო ინკვიზიტორისა და მწვალებლის სახით. ფინალი აქაც „მარტივია" — ინკვიზიტორმა შინაგანად ირწმუნა რა მის მიერ სიკვდილმისჯილი მწვალებლის სიმართლე, ტანსაცმელი და ჩაჩი გაუცვალა მას და მის მაგივრად თავად გავიდა კოცონზე. მაგრამ, ამით ინკვიზიციას ბოლო არ მოღებია, ინკვიზიციის სტრუქტურა მხოლოდ ორასი წლის შემდეგ დაანგრია ნაპოლეონ ბონაპარტემ. აქ კი უარესი რამ მოხდა — ინკვიზიტორი მწვალებლისათვის მოწყობილ აუტოდაფეში ჩაიფერფლა, მწვალებელი კი ინკვიზიტორად იქცა.

მხოლოდ ჭეშმარიტი მწერლისა და შემოქმედის ფანტაზია თუ გასწვდება ამ ურთულეს წიაღსვლებს!

„თეატრი ათონელზე" წარმოდგენილი რადიოსპექტაკლის მესვეურმა, ტელეკომპანია „რუსთავი-2"-ის საარქივო მასალების დემონსტრირებით სცენაზე დამონტაჟებულ ტელეეკრანზე მიაღწია იმას, რომ კონკრეტული ფაქტობრივი მასალა ასოციაციური ვარიაციების მდიდარ პალიტრად იქცა მაყურებლისთვის. ეკრანზე ერთმანეთს ენაცვლებიან გიორგი სანაიასა და ზურაბ ჟვანიას ტრაგიკული აღსასრულის და სხვა ტრაგედიათა ამსახველი კადრები, სადაც, დამსწრეთა შორის ალბათ, მათი ჯალათებიც ფუსფუსებენ, უჭირთ სიხარულის ღიმილის შეკავება, რადგან ასე მოხერხებულად შესძლეს მათი მამა-მარჩენალის, ყველაზე დიდი ჯალათის საიდუმლო დავალების შესრულება.

დიდია ზიზღი ჯალათის მიმართ! და მსახიობი ზურაბ ბეგალიშვილი იმდენად დიდ ბუნებრივ მუხტს აძლევს თავის გმირს, იმდენად დამაჯერებლად წარმოგვიდგენს უსახურ ჯალათს, რომ წამით გავიწყდება თეატრის ხატოვნური გარემო და იდიასინკრაზია გეუფლება მის მიმართ.

**როლანდ ჯალაღანია**

◎ სითბო გულისა

# თაობათა შეხვედრა

**ასე დაარქვეს ორგანიზატორებმა შესანიშნავ საღამოს, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ ჩატარდა თბილისის გურამ რჩეულიშვილის სახელობის 30-ე საშუალო სკოლაში.**

აქ მართლაც თითქმის ყველა თაობის სტუმარი იყო წარმოდგენილი, განსაკუთრებით ისინი, რომელთა შთამომავლები დღესაც სწავლობენ ამ სკოლაში.

მასპინძლები კი დირექცია, მასწავლებლები და, რაღა თქმა უნდა, სკოლის დღევანდელი მოსწავლეები იყვნენ. მათ გაიხსენეს მასწავლებლები, აქ აღზრდილი თითქმის ყველა პიროვნება, ვინც განსაკუთრებული კვალი დატოვა თავისი შემდგომი საქმიანობით. იყო სიმღერა, ცეკვა, მხიარულება...

მოწვეულ სტუმრებს, ანუ სკოლის კურსდამთავრებულებს კი ევალებოდათ გამოსულიყვნენ მოგონებებით, სტუმრებს შორის ბევრი იყო ცნობილი პიროვნება სხვადასხვა სფეროდან. ამიტომ ძალიან რთულია მათი ჩამოთვლა, უმთავრესი კი ის არის, რომ ყველა სიყვარულით და დიდი სითბოთი იხსენებდა აღმზრდელ მასწავლებლებს, სკოლაში გატარებულ წლებს, მეგობრებს.

თქვენმა მონა-მორჩილმა კი, შეძლებისდაგვარად, ლექსად გამოხატა თავისი სათქმელი:

**ასორმოცი წლის გამხდარა**
**ჩვენი აღმზრდელი კერა,**
**კვლავ ბავშვთა ჟრიამულია,**
**წლებმა ვერ დააბერა...**

**ჯემალ ოიკაშვილი,**

**30-ე საშუალო სკოლის აღზრდილი, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი.**

# განჩინება

## გაკოტრების მმართველის დანიშვნის შესახებ

ქ. თბილისი — 13 მარტი, 2006 წ.

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ი. ადეიშვილმა ერთპიროვნულად განვიხილე სს „თბილგაზის“ გაკოტრების მმართველის დანიშვნის საკითხი.**

**სარეზოლუციო ნაწილი**

ვიხელმძღვანელე რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით, „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“

საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-6 პუნქტით, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით

**დავადგინე**

1. სს „თბილგაზის“ გაკოტრების მმართველი გიორგი გვიჩიანი გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან;

2. სს „თბილგაზის“ გაკოტრების მმართველად დაინიშნოს ილია ბასიშვილი (დაბ. 04.09.1968 ქ. თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, დიღმის მეურნეობა, კორპ. 2, პროფესია – ენერგეტიკოსი);

განემარტოს გაკოტრების მმართველს თავისი უფლებები და მოვალეობები;

3. დაევალოს ილია ბასიშვილს გამოაქვეყნოს განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად;

4. სს „თბილგაზის“ კრედიტორთა კრება მოწვეულ იქნეს 2006 წლის 21 მარტს, 11 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში;

5. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული არ არის.

**ი. ადეიშვილი, მოსამართლე**

საქმე №2-39-06

13 მარტი, 2006 წელი — ქ. გარდაბანი

# გარდაბნის რაიონული სასამართლო

# განჩინება

**გარდაბნის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ქეთევან ლუაშვილმა, ერთპიროვნულად განვიხილე სს „თბილსრესის“ კრედიტორთა მიერ დაგვიანებით გაცხადებული მოთხოვნების შესამოწმებელი სხდომის მოწვევის საკითხი.**

**გამოვარკვიე:**

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 6 იანვრის განჩინებით სს „თბილსრესის“ ქონების მიმართ გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება, დაინიშნა გაკოტრების მმართველი, ამასთან განიმარტა, რომ ვალაუვალი მოვალის კრედიტორები ვალდებულნი იყვნენ 2004 წლის 28 იანვრამდე წარმოედგინათ გაკოტრების სასამართლოში (ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის №14ძ თავიანთი მოთხოვნები ვალაუვალი მოვალის მიმართ მოთხოვნის ოდენობის (შესაბამის ვალუტაში) და მისი წარმოშობის საფუძვლის ჩვენებით. აგრეთვე მიეთითათ ვალაუვალი მოვალის კრედიტორებს, რომ მოთხოვნათა წაყენების ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი მოთხოვნები განიხილებოდა როგორც დაგვიანებით გაცხადებული მოთხოვნები და მათი გათვალისწინება არ მოხდებოდა გაკოტრების მასის განაწილებისას.

2005 წლის 15 მარტისთვის დაინიშნა სს „თბილსრესის“ კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი სხდომა და კრედიტორთა პირველი კრება.

2005 წლის 10 მაისისთვის დაინიშნა სს „თბილსრესის“ კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი სხდომა.

2005 წლის 10 მაისის შემდეგ მოვალის კრედიტორთა მიერ გაკოტრების სასამართლოში წარმოდგენილ იქნა განაცხადები, რომლებიც „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად განეკუთვნება დაგვიანებით გაცხადებულ მოთხოვნებს და მათზე ვრცელდება აღნიშნული ნორმით დადგენილი წესები, კერძოდ, მათი შემოწმება უნდა მოხდეს მოთხოვნების შესამოწმებელ დამატებით სხდომაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოწვეულ უნდა იქნეს დაგვიანებით გაცხადებულ მოთხოვნათა შესამოწმებელი სხდომა.

ვიხელმძღვანელე რა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით, 21-ე მუხლით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით

**დავადგინე:**

1. 2006 წლის 28 აპრილს 12 საათზე დაინიშნოს სს „თბილსრესის“ კრედიტორთა მიერ დაგვიანებით გაცხადებულ მოთხოვნათა შესამოწმებელი სხდომა.

2. აღნიშნული განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“; და გამოცხადდეს ქვემო ქართლის რეგიონალურ ტელევიზიაში; სასამართლო საინფორმაციო დაფაზე, გამოქვეყნების ხარჯები დაეკისროს გაკოტრების მასას.

3. განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივრის შეტანა მისი გამოქვეყნებიდან 14 დღის განმავლობაში.

**მოსამართლე: ხელმოწერილია ქ. ლუაშვილი**
**ასლი დედანთან სწორია, კანც. გამგე ნ. სვანი**

## განცხადება

**2006 წლის 5 აპრილს 15 საათზე ჭავჭავაძის პროსპექტი 62, შედგება სააქციო საზოგადოება „ენერგოტექკომპლექტის“ აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

საზოგადოების საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანის შესახებ.

**სამეთვალყურეო საბჭო, ადმინისტრაცია.**

## განცხადება

**სს „ავტოშემკეთებელის“ დირექცია იწვევს აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2006 წლის 5 აპრილს 15 საათზე თბილისში, მექანიზაციის ქ. №1-ში მდებარე საზოგადოების ოფისში.**

**დღის წესრიგი:**

1. 2005 წლის წლიური ანგარიში;

2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შრომითი ანაზღაურება;

3. სხვადასხვა საკითხების განხილვა.

**სს „ავტოშემკეთებელის“ გენერალური დირექტორი**

◎ უბრალო წამალი

# ვინც დიდხანს ღეჭავს, ის დიდხანს იცოცხლებს

**დღეს ჩვენ ყველაფერს სწრაფად ვაკეთებთ, სულ გვეჩქარება, ყველაფრის გაკეთება და ყველგან მისვლა უნდა მოვასწროთ. ამიტომაც საჭმლის მიღება მის ჩქაროსნულად გადაყლაპვად გვექცა. შედეგად კი უკვე 30 წლის ასაკში კბილებიც გვიფუჭდება და გასტრიტი, წყლული და სხვა უამრავი დაავადებაც გვიჩნდება. მაგრამ, საბედნიეროდ, ამ სიტუაციის გამოსწორება ადვილად შეიძლება თუ... სწორად დაღეჭვას ვისწავლით.**

ჯერ ერთი, საკვებს საგულდაგულოდ რომ ღეჭავთ, ამით თქვენ მის საერთო ფართობს ზრდით. ჯერ კიდევ ქიმიის სასკოლო კურსიდან კი ცნობილია, რომ ზედაპირის დიდი ფართობის მქონე ნივთიერებები (სითხეები, ფხვნილები) ადვილად შედის რეაქციაში და მაშასადამე, ორგანიზმი უფრო უკეთესად და უფრო სწრაფად ითვისებს მას.

მეორეც – საკვები უფრო უხვად ერევა ნერწყვს. მასში შედის: ფერმენტები, ჰორმონები, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, ვიტამინები B1, B2, B6, B12, C, H, A, D, E, K, ქოლინი, აგრეთვე მინერალური კომპონენტები: კალციუმი, მაგნიუმი, კალიუმი და ნატრიუმი. საჭმლის მონელება იწყება პირში და არა კუჭსა და ნაწლავებში. ნერწყვში შემავალი ცილოვანი ნივთიერება ამილაზა რთულ ნახშირწყლებს (მაგ. კარტოფილს, ბურღულეულს, პურს, შაქარს) უკვე პირში ნაწილობრივ გარდაქმნის მარტივ ნახშირწყლებად, რომლებიც შემდეგ ადვილად კუჭს ქმნის. სალეჭი რეზინის დადებითი ეფექტიც სწორედ ნერწყვის ზემოქმედებით აიხსნება და არა რაღაც განსაკუთრებული ნივთიერებებით, რომლებსაც ის შეიცავს.

გარდა ამისა, საჭმლის საგულდაგულოდ ღეჭვა გახდომის ყველაზე იაფი საშუალებაა, რადგან მიღებული საჭმლის რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება.

თუ ჭამისას ყურადღებას არ გეფანტებათ და მხოლოდ ჭამაზე ფიქრობთ, თქვენი ორგანიზმი ყოველთვის ზუსტად განსაზღვრავს, როდის უნდა შეწყვიტოთ ჭამა. თუ ჭამის დროს ყურადღება გაფანტული გაქვთ, აუცილებლად ზედმეტი რაოდენობის საჭმელს შეჭამთ. ღეჭვა კბილებისა და ღრძილებისათვის იგივეა, რაც სხეულის კუნთებისთვის ფიტნეს-კლუბში ვარჯიშები. ღეჭვის დროს კბილებზე ძალზე ძლიერი – 20-დან 120 კგ-მდე დაწოლა ხდება. ეს კი კბილებსა და ღრძილებში სისხლის მიმოქცევის გაძლიერებას იწვევს, რაც პაროდონტიტის საუკეთესო პროფილაქტიკაა.

**✱ საკვებში ბოსტნეული, ხილი, ნიგოზი, მარცვლეული, მწვანილი, პარკოსნები უნდა ჭარბობდეს.**

**✱ საკვების მიღების წინ გამართულად უნდა დაჯდეთ და მოეშვათ. წვივები თეძოებისა და იატაკის პერპენდიკულარულად უნდა გეჭიროთ. თქვენ დაინახავთ, რომ ზურგი ავტომატურად გაგემართება. თუ ჭამის დროს მოხრილი ხართ, ეს აუცილებლად გამოიწვევს კუნთების დაძაბვას, შინაგანი ორგანოების მიჭყლეტვას და საჭმლის მონელების გაუარესებას.**



შეიწოვება კუჭსა და ნაწლავებში. თუ საჭმელი კარგად არის დაღეჭილი და ნერწყვით დასველებული, ის სწრაფად მიედინება საჭმლის მომნელებელ ტრაქტში და ჯერ მარტო ამით შეიძლება გასტრიტის ან წყლულის თავიდან აცილება. ნერწყვი თავისი ქიმიური შემადგენლობით სუსტი ტუტეა. ხანგრძლივი ღეჭვის შედეგად ნერწყვის დიდი რაოდენობა გამოიყოფა, ნერწყვი კი კბილების მდგომარეობას აუმჯობესებს. ღეჭვისას ათჯერ მეტი რაოდენობის ნერწყვი გამოიყოფა, ვიდრე მშვიდ მდგომარეობაში. ნერწყვის საშუალებით კბილების მინანქარი იღებს კალციუმს, მაგნიუმს, კალიუმს, ნატრიუმს და ფტორს, რაც მას ამაგრებს. გარდა ამისა, ნერწყვის კომპონენტები კბილების მინანქრის ზედაპირზე დამცველ აპკს (პელი-

**✱ ჭამის დროს სხვას ნურაფერს გააკეთებთ, არც ილაპარაკოთ, არც იკითხოთ და არც ტელევიზორს უყუროთ.**

**✱ მანამდე ღეჭეთ თითოეული ლუკმა, ვიდრე ის სითხედ არ გადაიქცევა. ოპტიმალურია 75-100 ღეჭვითი მოძრაობა.**

**✱ რიგ-რიგობით ღეჭეთ ყბების როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხარით, რათა კბილებზე დაწოლა თანაბრად განაწილდეს.**

**✱ ნუ დააყოლებთ საჭმელს სითხეს – ჩაის, ყავას, რძეს, წვენს, წყალს, სითხედაყოლილი საჭმელი თითქმის არ ილეჭება და არ მუშავდება ნერწყვით. წყალი და სხვა სითხეები ჭამიდან მხოლოდ ერთი საათის, საათნახევრის შემდეგ უნდა დალიოთ.**

◎ ეს წვრილმანი არ არის

# „კვალსათბურული“ ფრჩხილები

**რასაკვირველია, ხელოვნური, ბუტაფორული, „გამოყვანილი“ ფრჩხილები შესახედად ლამაზია, მაგრამ ცოცხალთათვის მავნე ხომ არ არის?**

გაიკეთოს თუ არა, ქალის გადასაწყვეტია, თუმცა რაღაც პრობლემები კია მოსალოდნელი. „ზედნადებ“ ფრჩხილებს იდეალური პირობების შექმნა შეუძლიათ სოკოსებრი ინფექციის ასაყვავებლად. ისიც ხდება, რომ ხელოვნური საფრჩხილებო ფირების მოხსნისას, პაციენტ ქალს მახინჯი საკუთარი ფრჩხილები დახვდება.

ფრჩხილების მოდელირება შეიძლება მხოლოდ ჯანსაღი ბუნებრივი ფირებით, თანაც მოკლე ხნით. ჰელიუმის ფრჩხილების გამოყენება ნაკლებსახიფათოა, მაგრამ კვალსათბურულ“ ეფექტს ისინიც ქმნიან.

# გაზეთზე ხელმოწერის ფასი იაფდება

## გმადლობთ, მკითხველო!

მართლაც დიდი და გულწრფელი მადლობა თქვენ, ძვირფასო მკითხველო, ეკონომიკური შეჭირვების მიუხედავად რომ არ ივიწყებთ თქვენს საყვარელ გაზეთს „საქართველოს რესპუბლიკას“.

სწორედ ამის გათვალისწინებით და იმის მიუხედავად, რომ ეკონომიკურად არც ჩვენ გვილხინს, გადავწყვიტეთ, 2006 წლის მეორე კვარტალიდან (1 აპრილიდან) შევამციროთ გაზეთზე ხელმოწერის ფასი. თუ აქამდე „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერა ერთი თვით 13 ლარი ღირდა, აპრილიდან ეს თანხა 11 ლარს შეადგენს (შესაბამისად, სამი თვით – 33 ლარს, ექვსი თვით – 66 ლარს).

საცალო ქსელში გაზეთი კვლავ 50 თეთრი ეღირება.

„საქართველოს რესპუბლიკა“ მუდამ ხალხის, ჩვენი გონიერი, ინტელექტუალური საზოგადოების თანამდგომი, სიხარულისა და ჭირ-ვარამის გამზიარებელი იქნება.

შეგახსენებთ იმ უწყებებს, სადაც დაუბრკოლებლად შეგეძლებათ ჩვენი გაზეთის გამოწერა: „საქპრესა“ (ტელ: 35-51-40), „მაცნე“ (37-40-49), „უწყებანი“ (93-64-72), „პრეს-ექსპრესი“ (96-23-11), „პლანეტა-ფორტე (93-38-73), „ინფოსერვისი“ (34-09-35), „ელვასერვისი“ (36-35-75).

რაიონებსა და ქალაქებში მიმართეთ „საქპრესის“ ადგილობრივ განყოფილებებს.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ უშუალოდ რედაქციაში – კოსტავას ქ. № 14, ტელ: 98-96-32; 899- 797679.

კიდევ ერთი სიახლე:

მკითხველთა თხოვნით „საქართველოს რესპუბლიკა“ მარტიდან მცირე, ეგრეთ წოდებული A-3 ფორმატით გამოდის, ასე უფრო მოსახერხებელი და ადვილად საკითხავიაო.

ნება თქვენია...

კიდევ ერთხელ გმადლობთ რჩევისა და თანადგომისთვის.

**„სრ“ სარედაქციო კოლეგია**

---

### მიმართვა

## გთხოვთ, დაასახელოთ ღირსეულნი!

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდი „ოქროს ფრთა“ ემზადება მორიგი, 2006 წლის „ოქროს ფრთით“ დაჯილდოებისთვის. იმისათვის, რომ გავითვალისწინოთ საქართველოს მოსახლეობის აზრი, გთხოვთ, დაასახელოთ თქვენი კანდიდატი საუკეთესო ჟურნალისტები და ქველმოქმედები.

დაგვიკავშირდით მისამართზე: მ. კოსტავას 14 (ჭოველიძის მხრიდან). გამომცემლობა „სამშობლო“, ოთახი 18. ტ. 98-36-44.

**ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის „ოქროს ფრთის“ პრეზიდიუმი**

---

### ლარის კურსი

**15 მარტიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,1707 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,8275 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1886 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0653 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 2,0060 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4035 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,6113 ლარი. |
| თურქული ლირა | 1 | 1,3542 ლარი. |

---

### ანეკდოტები

– როგორც გავიგე, თქვენი ცოლი რეჟისორი ყოფილა.

– დიახ.

– თუ საიდუმლო არ არის, ახლა სად და რაზე მუშაობს?

– სახლში მუშაობს ოჯახური სცენების რეჟისორად.

* * *

ჰილარი კლინტონი შესაძლოა 2008 წელს ამერიკის პრეზიდენტი გახდეს.

მონიკა ლევინსკის ქმარი თეთრი სახლის ადმინისტრაციაში მუშაობის დასაწყებად ემზადება.

* * *

– რად ხარ ასე მოწყენილი? – ეკითხება ტიპი ძმაკაცს.

– ცოლი სამი კვირით ზღვაზე მიდის.



– რაღაც არ მესმის შენი...

– რა არ გესმის, მოწყენილი სახით თუ არ ვიარე, წასვლას გადაიფიქრებს.

* * *

– სიდედრი დამიავადდა...

– რამე სერიოზულია?

– არა. ვგონებ, უბრალო ფრინველის გრიპი ჭირს.

* * *

რუსეთის სიახლენი: გუშინ ალა პუგაჩოვასა და ფილიპ კირკოროვის ბინაში ბოროტმოქმედები შევიდნენ. მოპარულია რამდენიმე ფრჩხილების ლაქი, მისაწებებელი წამწამები და საფირმო პომადა. საბედნიეროდ, პუგაჩოვას ნივთებიდან არაფერი დაკარგულა.

---

### დარია თუ ავდარია

## დღეს, 15 მარტს:

**დასავლეთ საქართველოში** – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით $+2^0 - +5^0$, ღამით $-1^0 - -5^0$.

**აღმოსავლეთ საქართველოში** – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით $+2^0 - +4^0$, ღამით $-2^0 - +5^0$.

**თბილისში** – ცვალებადი მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: ღამით $+4^0$ დღისით $+10^0$.



**ბათუმი** – ღ. $+8^0$, დ. $+16^0$; **სოხუმი** – ღ. $+8^0$, დ. $+13^0$; **ქუთაისი** – ღ. $+6^0$, დ. $+13^0$; **ოზურგეთი** – ღ. $+5^0$, დ. $+12^0$, **ზესტაფონი** – ღ. $+4^0$, დ. $+12^0$; **რუსთავი** – ღ. $+4^0$, დ. $+10^0$; **ფოთი** – ღ. $+11^0$, დ. $+16^0$; **მესტია** – ღ. $-5^0$, დ. $+2^0$; **სტეფანწმინდა** – ღ. $-4^0$, დ. $+2^0$; **თელავი** – ღ. $+4^0$, დ. $+8^0$; **გორი** – ღ. $+4^0$, დ. $+7^0$; **ახალციხე** – ღ. $+3^0$, დ. $+9^0$; **ბორჯომი** – ღ. $+4^0$, დ. $+8^0$; **ცხინვალი** – ღ. $+2^0$, დ. $+8^0$; **სამტრედია** – ღ. $+9^0$, დ. $+17^0$; **ზუგდიდი** – ღ. $+8^0$, დ. $+14^0$; **ჭიათურა** – ღ. $+5^0$, დ. $+11^0$.

---

### თითქმის ნატურიდან

## დაჭაფრული

ბაჩომ ქუჩაში შემთხვევით გადაყრილი სიყრმის მეგობარი ლუდის ბარში შეიპატიჟა. იგი როგორღაც აბუზული და მოწყენილი ეჩვენა.

– რა ცხვირი ჩამოგიშვია, ბიჭო, – შეეცადა გაემხნევებინა, – მოიხადე ეგ ქუდი და კაცურად დაჯექი.

– ვერ მოვიხდი, – იუარა ვაჟამ.

– რატომ?

– დაწებებული მაქვს და იმიტომ.

– დაწებებული?

– ჰო, დაწებებული, რა გაგიკვირდა.

– მერედა რატომ დაიწებე?

– მეშინია, ქარმა არ მომხადოს.

– მოგხადოს რა, ქვეყანა ხომ არ დაინგრევა, ბოლოს და ბოლოს გამოეკიდები და დაიჭერ.

– ჰო, მაგრამ მაგ დროს ქედანმა ან იხვმა რომ გადაიფრინოს?

– ქუდის მოტაცებისა გეშინია?

– არა, დასკინტვლების.

– შენ რა, სუ გააფრინე?



შალვა თოფურიას ნახატი.

– რატომ, ძმაო, ამაში რას ხედავ გასაფრენს?

– რაღა მაინც და მაინც შენ ქუდს ჩაუსაფრდება ფრინველი? მეორეც, ვთქვათ დაგასკინტლა, მაგით რა, აშენებული დემოკრატია დაგვექცევა?

– საქმე ეგ არის, რომ უკვე დამასკინტლა.

– როდის?

– გუშინ, შუადღისას.

– მომილოცავს, – გადაეხვია ბაჩო, – ეგ ხომ ბედნიერების ნიშანია. ჩემს ბავშვობაში ჩიტი რომ დამასკინტლავდა, მთელ დღეს გახარებული დავრბოდი.

– ეგ მაშინ, ახლა კი ხომ ხედავ...

– კარგი ერთი, ფრინველს ვისთვის არ დაუსკინტლავს. შენ ეგ მითხარი, „ყაზბეგი“ დავლიოთ თუ „ნატახტარი“?

– ვერც ერთს ვერ დავლევ.

– მაშინ არაყი.

– არც არაყი, ჯერ უნდა გავარკვიო.

– რა უნდა გაარკვიო?

– ის სკინტლი გადამფრენი ფრინველისა ხომ არ იყო.

– როგორ, კაცო, თავიდან ჯერაც არ მოგიცილებია? – შეშინდა ბაჩო, – ახლავე ცხელ ხაზზე დავრეკავ.

– არ გინდა, გუშინ უკვე ვიყავი ვაშლიჯვრის ლაბორატორიაში.

– მერე, რა გითხრეს?

– სკინტლი ციმციმ აიღეს თავიდან და საანალიზოდ დაიტოვეს.

– პასუხი რამდენ ხანში იქნება?

– ორ კვირაში.

– გადამრევს ეს კაცი, სკინტლის ანალიზს ორი კვირა რად უნდა?

– აქ კი არ აკეთებენ, საანალიზოდ ლონდონში გაგზავნეს.

– რატომ ლონდონში?

– უნდა გაარკვიონ, სკინტლი ყვავისა იყო, ქედნისა, თუ იხვის?

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

– აქვს, თანაც გადამწყვეტი.

– რას ამბობენ, რომლისა უკეთესიაო?

– ამ შემთხვევაში, ყვავის.

– რატომ, კაცო, ყრანტალა ყვავი ღმერთს არაფერში უქნია და რაღა მაინც და მაინც სკინტლი აღმოაჩნდა ბაჯაღლო ოქროსი?

– ასეა, ქედანი და იხვი გადამფრენი ფრინველები არიან, ყვავი არა და ამდენად – არც საშიში.

– ამ ორ კვირას გაძლება არ გინდა?

– აბა, სულ იმის ნატვრაში ვარ, ის სკინტლი ყვავისა აღმოჩნდეს.

– აფსუს, რა დრო დაგვიდგა! – დაიბოლმა ბაჩო, – კომუნისტების დროს ჩაკეტილ, არადემოკრატიულ სივრცეში ყვავი, გნებავთ, ქედანი და იხვი დასკლინტებას გაბედავდნენ?!

**ოტია ჩართოლანი**

---

ოთარ ბულია, რემი დეისაძე, გოგი თოდუა, ვაჟა კეიდია, გენო კობახიძე, არსენ ლოლუა, თენგიზ მეუნარგია, ანზორ შონია ოჯახებით, თანაგრძნობას უცხადებენ სკოლის მეგობარს ფელიქს იზორიას მეუღლის

დოდო ფარცვანია-იზორიას

გარდაცვალების გამო.

---

ედვარდ სურმანიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ოთარ ბეჟანიძე

და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი, კორპორაცია „ქართული ტელეფილმი“, სს „ქართული ფილმი“, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი, კინოოპერატორი

ირაკლი ონოფრიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

პანაშვიდი 16, 17 III, 17 სთ-ზე. მისამართი: ამბროლაურის 166 (ბუდაპეშტისა და ამბროლაურის ქუჩების გადაკვეთა) პირველი კორპუსი, მესამე სადარბაზო.

გამოსვენება საბურთალოს ცენტრალური პანთეონის ეკლესიიდან 18 მარტს, 15 საათზე.

---

სს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე ინსტიტუტის თანამშრომლის ია მელიას მეუღლე

შოთა ქაჯაია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის ქ. №12, ტ: 71-68-81, 899 797679

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილე: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.